ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№12 (54)
დეკემბერი, 2017 წელი

ფასი
2 ლარი

ნომრის ავტორები
მარი ბექაური & ბარბარა პოგაჩნიკი

პოეზია
ნიკა ლაშხია
გელა ჩქვანავა
ნიკა ქამიაშვილი
გიორგი შონია

პროზა
ბესო ხვედელიძე

დრამატურგია
გია ეძგვერაძე

კრიტიკა
ლელა კოდალაშვილი - თამთა მელაშვილზე

ახალი თარგმანები
ჯონ ეშბერი
თოზან ალქანი

თეატრი
ალინა ქადაგიშვილი – „საჩუქარზე“

Barbara Pogačnik

№12 (54) დეკემბერი, 2017 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ეკა ქევანიშვილი, მარი ბექაური, დალილა გოგია, თამარ კოტრიკაძე, ნიკა ლაშხია, გელა ჩქვანავა, ნიკა ძამიაშვილი, გიორგი შონია, ბესო ხვედელიძე, გია ეძგვერაძე, ლელა კოდალაშვილი, ზვიად რატიანი, ოქტაი ქაზუმოვი, ალინა ქადაგიშვილი

გამომცემლობა «საუნჯე»
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;
www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

მარი ბექაური

ეკა ქევანიშვილი – მარი, რომელიც აცინებს, იმიტომ, რომ ცხოვრება სევდიანია

ერთხელ დედამ უთხრა, რომ 9 აპრილს მან და მამამ მაგ რად იჩხუბეს, რადგან მამა მარტო წავიდა და დედა არ წაიყვანა, და არ წაიყვანა იმიტომ, რომ დედას მუცელში მარი ეჯდა. მარის და კი თვეების იყო. მერე, როგორც კი 1990 წელი დადგა, მარი დედამისის მუცლიდან გამოვიდა და დახვდა არეული დრო და არეული ქვეყანა. ასე იწყება მარი ბექაურის ამბავი. თანამედროვე პროზაიკოსის, რომლის სულ ახალი წიგნი «ანას მომენტი» ჯერ ისევ ცინცხალია. დიდი სასაცილო გოგოა ეს მარი, პეპისნაირი. სანამ თავის წიგნებს დაწერდა, ერთხელ მისგან პირადი შეტყობინება მივიღე – მეტროში ერთი ყვითელი შუზები შემიყვარდა, ზედ დავაკვდი და ვუყურებდი, თვალი რომ ავაყოლე მის პატრონს, შენ შემრჩი ხელშიო – მგონი, ამით დაიწყო ჩვენი ნაცნობობა. და განწყობა კიდევ, ადამიანის მიმართ, რომელიც ყველაფერს განსაზღვრავს, მე თუ მკითხავთ. მარიმ რომ აქტიურად წერა დაიწყო, მე მისი კითხვა დავიწყე და მივხვდი, რომ თუ ეს გოგო წერას არ შეწყვეტდა, აუცილებლად დაწერდა ისეთ წიგნს, რომლის გვერდზე გადადების სურვილი არ გამიჩნდებოდა – მუხტიანს და ნაღდს. უფრო სწორად, ისეთს, როგორიც თვითონაა.

«მე დავიბადე ქალაქში, სადაც ადამიანები ერთმანეთს ესროდნენ და პური არ იყო. იცი, რა არის ჩემი სულ პირველი მოგონება? ღამეა. მე, ჩემს დას და დედაჩემს ერთად გვძინავს და კარზე საშინელი ბრახუნია. დედა გიჟივით წამოხტება და კარისკენ გარბის. მე და ჩემი და შეშინებულები ვეფარებით ოთახის კარს, და უცნობ კაცებს

სახლში სისხლიანი სხეული შემოაქვთ, ტახტზე დებენ, დედაჩემი ტირის, ის კაცები დედაჩემს რაღაცას უხსნიან და მიდიან, და მე ვუყურებ ამ სისხლიან სხეულს და ვხვდები, რომ მამაჩემია... მამაჩემი აფხაზეთში იბრძოდა».

მაშინ მარი სამი წლისაც არ იყო. დაჭრილს პირველად ხედავდა. დღესაც ამ კითხვას სვამს, პირდაპირ სახლში რატომ მოიყვანეს? არც არასდროს უკითხავს, რადგან ამბობს, რომ არსებობს კითხვები, რომლებსაც ვერ სვამ, ძნელია.

«საერთოდ, ძნელი იყო ჩემი ბავშვობა, ისევე, როგორც ჩემი თაობის ადამიანების ბავშვობა. მამას თავისუფლების სჯეროდა. მე დღემდე არ მინახავს ადამიანი, რომელსაც ისე უყვარდეს თავისი ქვეყანა, როგორც მამაჩემს და მამა ყველგან მიდიოდა, სადაც ამ ქვეყნის დაცვა ხდებოდა საჭირო. დედაჩემი კიდევ, სამგან მუშაობდა და როცა სახლში ბრუნდებოდა, «ვეფხისტყაოსანს» გვიკითხავდა სანთლის შუქზე. ეს არასდროს დამავიწყდება და ვერასდროს ვერცერთი წიგნი ვერ იქნება ჩემთვის ისეთი ჯადოსნური, როგორიც «ვეფხისტყაოსანია». ჩემმა მშობლებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ დროის მიუხედავად, ჩვენთვის განათლება მოეცათ და სწორ ადამიანებად გავეზარდეთ. პირველად «პინკ ფლოიდი» მამაჩემმა მომასმენინა, მამაჩემმა მასწავლა ჯაზი და ის, რომ ცხოვრებაში ყველაზე მთავარი პიროვნული თავისუფლებაა. ყოველთვის მიმეორებდა, რომ «ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია» და მეც

არასდროს მქონია განცდა, რომ ვინმეზე ნაკლები ვარ იმის გამო, რომ ქალი ვარ, და ეს, ჩვენი რეალობის გათვალისწინებით, ძალიან მნიშვნელოვანია»

დასთან და მშობლებთან ერთად

არ ვიცი, რწყავდა თუ არა წვიმაში ყვავილებს, მაგრამ თურმე იმდენად ცელქი იყო, რომ ბავშვობის ნაიარევები დღემდე დარჩა მუხლებზე, ნიკაპზე, იდაყვებზე. სულ დარბოდა, ხეებზე ეკიდა. ბაღში ერთი თვე იარა და მერე გამოიყვანეს. ვერ ძლებდა. ახლაც ასეა – ვერ ძლებს რაღაც ადგილებში და მიდის. იმიტომ, რომ შეგუება არ შეუძლია.

«ჩემი ბავშვობის ფოტოებში ძირითადად სულ თეთრები მაცვია, თვითონაც ძალიან თეთრი, მსუქანი და სასაცილო

ვიყავი. როცა ბავშვობის ფოტოებს ვათვალიერებ, ყოველთვის მეღიმება და მეტირება ერთდროულად... კიდევ რა იყო... ხო, ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ვაჟა-ფშაველა, ესეც, ალბათ, მამაჩემის გავლენით. შვიდი წლისამ «სტუმარ-მასპინძელი» ზეპირად ვისწავლე. თუმცა, წიგნის სამყარო მაინც «გრაფი მონტე-კრისტომ» აღმომაჩენინა. 12 წლის ვიყავი, როცა წავიკითხე და იმ მომენტიდან ნამდვილ წიგნის ჭიად ვიქეცი».

არის რამე, რაც გაგიკეთებია სწორედ მაშინ, როდესაც პატარა იყავი და რამაც მაშინვე გამოკვეთა შენი ხასიათი? – ვეკითხები.

«მეხუთე კლასში ვიყავი, როცა მე და ჩემმა კლასელმა ფანჯრიდან ტომარამოკიდებული ბავშვები დავინახეთ. ტომრები ბავშვებზე დიდი იყო. მაშინვე გავიქეცით და ამბები გამოვკითხეთ. საშინელ გაჭირვებაში ცხოვრობდნენ. მშობლები სვამდნენ, ამათ არაფერი ჰქონდათ, ხუთი და-ძმა იყო და ერთმანეთის გადარჩენას ცდილობდნენ. ეს ყველაფერი მერე გავიგე. მანამდე კი, მეორე დღეს სკოლაში რომ მივედი, მასწავლებლის მაგიდაზე ყულაბა დავდგი და კლასს გამოვუცხადე, რომ ამ ბავშვებისთვის ფული უნდა შეგვეგროვებინა. მახსოვს, რომ გაბრაზებული ვლაპარაკობდი. გაბრაზებულმა შევაგროვე ფული და გაბრაზებულმა მივუტანე. ეს ჩემი ხასიათის ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ნიშანია. როცა მტკივა, ვერ ვტირი, ვერ ვწუწუნებ, ვერ ვაღიარებ და ყოველთვის გაბრაზებული ვლაპარაკობ».

რაც ზუსტად იცოდა და ზუსტად ახსოვს, ყოველთვის უნდოდა, მწერალი გამოსულიყო. – და ახლაც იმას ვცდილობ, მწერალი გამოვიდეო, – ამბობს მარი. კარგად სწავლობდა, მაგრამ სკოლა არ უყვარდა. მასწავლებლები

კი ყოველთვის ამბობდნენ, რომ გამორჩეული ბავშვი იყო. მერე ამის გამო ბავშვებიც ხშირად ისე უყურებდნენ, თითქოს უცხოპლანეტელი იყო.

«ზოგჯერ მგონია, რომ ჩემი მიდრეკილება მარტოობისკენ, აქედან მოდის. ძალიან სოციალური ვარ, ადვილად შევდივარ კონტაქტში ადამიანებთან, მაგრამ აბსოლუტურად ყველასთან რაღაც დისტანცია მაქვს, რომლის იქითაც ვერ ვუშვებ ადამიანებს... თუმცა, ყოველთვის მემახსოვრება ჩემი მათემატიკის მასწავლებელი ზოია შენგელია და ყოველთვის სადღაც დამრჩება სინანული, რომ მათემატიკას არ გავყევი, რადგან ახლაც მგონია, რომ ყველაზე დიდი ნიჭი, რაც ცხოვრებაში მქონია, – მათემატიკის ნიჭი იყო.

მერე გაჩნდა ისეთი მარი, რომელმაც წერა დაიწყო: 5 წლის იყო და როგორც ბევრმა, ლექსით დაიწყო: ლექსი კი იყო ასეთი: «ჩვენს საყვარელ ნაძვის ხეს ფიფქები ჩამოუყრავს, მაგრამ საოცარი – კაცი მოუკლავს». ამაზე იდიოტური და აბსურდული წაგიკითხავს რამე? მეკითხება მე – არა. აი, ასე დაიწყო ყველაფერი.

«გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ წერამ გადამარჩინა. წეღანაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ – მე ვარ ადამიანი, რომელიც ვერ ლაპარაკობს, ჰოდა, წერს. ყველა სიმძიმე, რაც ცხოვრებაში მხვდებოდა, მერე ტექსტის სახით გამოდიოდა ჩემგან. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ამ ამბებზე ტრაგიკულად ვყვებოდე. «სამხრეთის უბანში» სასაცილოდ აღვწერ იმ ამბავს, როგორ იპოვა გაეროს ვერტმფრენმა ფეხმოტეხილი მამაჩემი საზღვარზე... თუმცა, ახლა, როცა უკვე გავიზარდე, წერა ჩემთვის, თერაპიის ნაცვლად, უფრო სოციალურ თემებზე და პრობლემებზე საუბრის საშუალებად იქცა, იმაზე

საუბრის საშუალებად, რაც მაწუხებს და რასაც რეალობაში ვერ ვცვლი... «ანას მომენტამდე» მე მგონი ჩემი ყველა გმირი რეალური იყო. პერსონაჟები ხდებიან ადამიანები, რომლებიც ჩემზე კონკრეტულ მომენტში შთაბეჭდილებას ახდენენ. მაგალითად, ერთ-ერთი გმირი გახდა დილის 6 საათზე, აივნიდან შემთხვევით დანახული ბიჭი, რომელმაც ქუჩაში ვიღაცის დატოვებული ლუდის ბოთლი აიღო და მოიყუდა. და მე რაც შემეხება, ისევ და ისევ «ანას მომენტამდე» ძალიან დიდი დოზით ვიყავი ჩემს ტექსტებში, რადგან, როგორც ვთქვი, აქამდე წერა ჩემთვის თერაპიის საშუალებას წარმოადგენდა. თუმცა, ისიც უნდა ვაღიარო, რომ ანა ნაკაშიძე საკუთარი თავისგან გამოვიგონე».

ამაზე გამახსენდა, ფეისბუკზე ვლაპარაკობდით ლიტერატურაში კომპრომისების შესახებ – მე ვამბობდი, რომ ლიტერატურას კომპრომისი არ სჭირდება, ყველაფერი ისე უნდა დაწერო, როგორც მოდის-მეთქი, თქრიალით. სხვა ამბობდა, რომ რატომაც არა, საჭიროა და ხელოვნებაც ეგ არის, სადავეები ხელში გეჭიროსო. მარისაც ვკითხე:

«ჩემთვის არ არსებობს კომპრომისი ლიტერატურაში. მე ყველაფერს ისე ვყვები, როგორც მოხდა, როგორც აღვიქვამ, როგორც ვგრძნობ. შიშველი ვარ. არასდროს არ დავმალავ რამეს მკითხველის შიშით, ან იმის შიშით, რომ ვინმე ნაცნობი პერსონაჟთან გამაიგივებს. გამაიგივოს, მერე რა? თუ რაღაცას არ ვიტყვი, დავმალავ, გამოვა, რომ ვიტყუები, მე კიდე არ მიყვარს არც ტყუილი და არც სიყალბე. პირიქით, ლიტერატურა მგონია საუკეთესო საშუალება იმისთვის, რომ სინამდვილეზე გულწრფელად ილაპარაკო».

როცა წერას იწყებს, ხან სათაური ჩნდება, ხან გმირი, ხან ვიღაცის გაკეთებული შემთხვევითი მოქმედება, რომელსაც იმახსოვრებს. ყველაფერი მაინც განწყობების ამბავი მგონიაო. მე კი მაინტერესებს, თუ არსებობს ისეთი მწერალი მარისთვის, ვისნაირად წერაც სულ უნდოდა და დღესაც ასეა? არის ასეთი წიგნიც და მწერალიც – მარის სიყვარული ლათინურ ამერიკაშია. «მარტოობის ასი წელი» მე რომ დამეწერა, ალბათ, ყველაზე ბედნიერ ადამიანად მოვკვდებოდიო.

ერთი პერიოდი წიგნის მაღაზიაში მუშაობდა. წარმოიდგინეთ ბევრი წიგნი, მყიდველი, რომელსაც წიგნებზე ელაპარაკები და კიდევ ბევრი დრო – საკითხად:

«ამ პერიოდმა ჩემზე ნამდვილად დიდი გავლენა მოახდინა. «დიოგენეში» მეხუმრებოდნენ ხოლმე, წიგნებს კი არ კითხულობ, ჭამო. იქ მუშაობა, პირველ რიგში, ნიშნავდა საშუალებას, მეკითხა ყველაფერი, რაც მაინტერესებდა. დღეში 8-9 საათს ვკითხულობდი. მერე მხედველობის პრობლემები გამიჩნდა და ექიმმა მაქსიმუმ 1 საათზე მეტ ხანს კითხვა ამიკრძალა. რა თქმა უნდა, კითხვის დრო არ შემიმცირებია და ისევ 9 საათს ვკითხულობდი, თუმცა, ვაღიარებ, რომ ყველაზე მეტად დაბრმავების მეშინია.

წიგნზე გამოხმაურებები ყველაზე მეტად მის ავტორს ამახსოვრდება. რატომღაც მგონია, რომ ინდიფერენტული ავტორი არ არსებობს, ვისაც აბსოლუტურად არ აინტერესებდეს, მასზე რას იტყვიან.

«ანას მომენტი» რომ გამოვიდა, ბევრი წერილი მივიღე უცნობი ადამიანებისგან, რაც ძალიან მიხაროდა. მწერდნენ, რომ მაგარი მწერალი ვარ, ქართველი ვირჯინია ვულფი ვარ და ასე შემდეგ, რის დასაჯერებლადაც

ამპარტავნება არასდროს მეყოფა. თუმცა, ერთმა გოგომ მომწერა, რომ მე ძალიან მართალი და ადამიანური ვარ და ალბათ, საუკეთესო კომპლიმენტიც ეს იყო... რაც შეეხება კრიტიკას, ახლა ანიკო ჭაბაშვილი და შოთა იათაშვილი მახსენდებიან, ვისგანაც ჩემი მისამართით კრიტიკა მომისმენია. მაგრამ კრიტიკა არასდროს მწყენია. შევამჩნიე, რომ ქართველი ავტორები კრიტიკას თითქმის ყოველთვის პირად შეურაცხყოფად აღიქვამენ, რაც დიდი შეცდომაა. მე პატივს ვცემ ადამიანებს, რომლებიც საკუთარ აზრს გულწრფელად გამოთქვამენ, იმიტომ, რომ სიმართლე ჩემთვის ყველაზე დიდი ღირებულებაა. ეჭვი არ შეგეპაროთ, საკუთარ ტექსტზე სხვისმა აზრმა რომ დამაინტერესოს, პირველს ანიკოს და შოთას მივაკითხავ, იმიტომ, რომ რეალობის ცოდნა გეხმარება, გაიგო, რას აკეთებ კარგად და რას – ცუდად, მერე კი ეს ცუდი გამოასწორო».

თავის წიგნებს შორის ჯერჯერობით ყველაზე კარგი «ანას მომენტი» ჰგონია, ყველაზე «მისი» – «მეორე მხარე» და ყველაზე საყვარელი – «სამხრეთის უბანი». ყოველთვის გრძნობს, როცა რაღაც არ გამოდის და თუ ტექსტი არ არის ისეთი, როგორიც უნდა, ეგრევე შლის. აი, მაგალითად, «მეორე მხარეში» ქვინის ეპიზოდი მილიონჯერ დაწერა თავიდან, სანამ ისეთი არ გამოვიდა, როგორიც უნდოდა ყოფილიყო.

მაგიური რეალიზმი და ანტიკური ლიტერატურა მარი ბექაურის სუსტი წერტილებია. წელიწადში ერთხელ მაინც კითხულობს ხოლმე «ილიადას», რომელიც მისთვის, როგორც ამბობს «ლიტერატურის ბიბლიაა». ანტიკური ისტორია და მითოლოგია ღრმა ბავშვობიდან უყვარდა. მეოთხე თუ მეხუთე კლასში იყო, როცა რვეული აიღო და ძველი რომის და საბერძნეთის ისტორიიდან ყველა ის

ფაქტი ჩამოწერა, რომელიც განსაკუთრებით იზიდავდა. არ უყვარს ფენტეზი და ფანტასტიკა.

ახლაც წერს:

«ახლა ვმუშაობ, ალბათ, ყველაზე მართალ წიგნზე, რომელიც დამიწერია. ეს წიგნი «ანას მომენტის» სერიის წიგნი იქნება – არა ანა ნაკაშიძის ამბის გაგრძელება, არამედ სრულიად ახალი ისტორია, სადაც «ანას მომენტიდან» პოლიციელის პერსონაჟი გადმოვა. ცოტათი გაფანტული წიგნი იქნება, როგორც ვწერ კიდეც, თუმცა დასასრულს ყველა ამბავი შეკოწიწდება და მკითხველიც მიხვდება, რატომ ჰქვია წიგნს «ილუზიის თამაში». დარწმუნებული ვარ, ყველა მწერალს აქვს გონებაში ცხოვრების «მთავარი წიგნი» და მეც ასე ვარ. თუმცა, არ ვიცი, როგორი იქნება ჩემი ეს «მთავარი წიგნი». ნიჭის გარდა კი, ძალიან, ძალიან ბევრი შრომაა საჭირო. თუ არ იშრომებ, არაფერი გამოვა.

ისევ ბოლოს გამოსულ მის წიგნს მივუბრუნდეთ – სანამ წიგნი ახალია, მასზე ლაპარაკიც საჭიროა. უფრო სწორად, ცოტა მეტი ლაპარაკი. აი, როგორ იწერებოდა და რა გახდა ამ წიგნის დაწერის მთავარი ბიძგი:

«რუსულის გაკვეთილები», ნეკრასოვის დოკუმენტური ფილმი, სადაც ვხედავთ, რომ BBC ქართველ შვილმკვდარ დედას წარმოაჩენს ოს ქალად, რომელსაც ქართველმა ჯარისკაცებმა შვილი მოუკლეს. ამან ისე გამაცოფა, რომ

BBC-ის წერილიც მივწერე, თუმცა, პასუხი, რასაკვირველია, არ მომსვლია. ჰოდა, წიგნის იდეა იმ უსამართლობიდან გაჩნდა, რომელსაც ჩვენდამი სჩადიან, პირველ რიგში, რუსეთი, რომელიც ჩემთვის ძალიან სენსიტიური თემაა. იცი, მამაჩემს არ უყვარს წარსულზე ლაპარაკი და ერთადერთი, რაც აფხაზეთის ომზე უთქვამს, ისაა, თუ როგორ ცეკვავდნენ მთვრალი რუსი ჯარისკაცები ქართველი 16-17 წლის ბიჭების გვამებზე, და მე ვკითხულობ: რა უნდა იყოს ამაზე ძნელი ამბავი? რუსეთი დამნაშავეა. რუსეთი დამნაშავეა ჩემი ქვეყნის, ჩემი ოჯახის და პირადად ჩემ წინაშე. ერთხელ თაბუკაშვილზე ტაქსიში ჩავჯექი და ცოტა ხანში შევნიშნე, რომ მძღოლს ერთი ფეხი არ ჰქონდა. აღარ მახსოვს, რანაირად დავიწყეთ ლაპარაკი, მაგრამ მითხრა, რომ ფეხი აფხაზეთში დაკარგა. ამ კაცს ვუყურებდი და სიკვდილი მინდოდა. ისევ ვკითხულობ: რა უნდა იყოს ამაზე ძნელი ამბავი? ამ კაცზე ძნელი ამბავი, რომელმაც ომში ფეხი დაკარგა და მერე ასე, ცალფეხიანი ტაქსაობს, რომ საჭმლის ფული იშოვოს. ტაქსიდან რომ გადმოვდიოდი, იმ მძღოლს დავპირდი, რომ აუცილებლად დავწერდი წიგნს, სადაც ვილაპარაკებდი არა პათეტიკურად და სიტყვების ყალბი რახარუხით, როგორც ეს სადღეგრძელოების თქმისას გვჩვევია, არამედ სინამდვილეზე, უსამართლობაზე, რომელიც მამაჩემს, ამ კაცს და მათ თაობას დაემართა, უსამართლობაზე, რომელსაც ვერ ვცვლით და ისღა დაგვრჩენია, წიგნებში მაინც ვილაპარაკოთ».

ყველაზე სასაცილო ამბებს მაშინ ჰყვება, როცა დათოს ახსენებს. დათო მარის ქმარია.

«ზუსტად ვიცი მომენტი, როცა დათო შემიყვარდა. «ელვი-სიდან» გამოვედით, სხვებიც იყვნენ და დათომ ზურგზე

მომიკიდა და ფილარმონიასთან მარბენინა. მაშინ მსუქანი ვიყავი და ამხელა გმირობის ფონზე, შემიყვარდებოდა, აბა, რას ვიზამდი... ხო ხედავ, ეს მომენტიც სასაცილოდ მოვყევი. მაგრამ სერიოზულად: დათო ძალიან კეთილია და ძალიან მშვიდი. მისი სიმშვიდე კი ჩემს ბობოქრობას აწონასწორებს. ერთ წამში შემიყვარდა, როგორც მიყვარდებოდა ხოლმე ყოველთვის. მე იმის ნახევარი არ მჯერა საკუთარი თავის, როგორც დათოს სჯერა ჩემი და იცი, ეს ძალიან მაგარია, იმიტომ, რომ ეს არის ძალა, რომელიც დაცემის მომენტებში გეხმარება. დათო ძალიან მიწყობს ხელს. როცა ვწერ ხოლმე, სხვანაირი ვხდები, რეალურ ცხოვრებაშიც ვიცვლები. უფრო სწორად, თითქოს რეალური ცხოვრებიდან გავდივარ და რაც აქ ხდება, წესიერად ვერც აღვიქვამ. იმ ამბავში ვარ, რომელსაც ვიგონებ. დათოს ეს ძალიან კარგად ესმის. არასდროს ცდილობს, ამ რეალობაში შემოვიდეს, რადგან იცის, რომ ეს მხოლოდ ჩემია. სამაგიეროდ, მერე ჩემს გამოგონილ ამბებს კითხულობს და გულწრფელად მეუბნება, რა მოსწონს, რა – არა და რისი შეცვლა იქნებოდა უმჯობესი. როცა «ანას მომენტს» ვწერდი, შემჭამა. წიგნმა ისე ჩაითრია, საღამოს სახლში გიჟივით მორბოდა ხოლმე, რომ ახალი თავი წაეკითხა. ასეთი ქცევით, ფაქტობრივად, მაიძულებდა, დღეში ერთი თავი მაინც დამეწერა».

ბოლო დროს სულ რაღაც კინოზე და სცენარებზე პოსტავს. სამსახურზე. სამსახურებზე. მე სულ მაინტერესებს, რას აკეთებენ მწერლები, როცა არ წერენ. როგორია მათი რუტინა. შეიძლება, ჩემსას ვადარებ ხოლმე.

«სამსახურებში ყოველთვის მიმართლებდა. ყოველთვის ძალიან კარგ ადამიანებთან ვმუშაობდი და ახლაც ასეა. ადამიანები კი ძირითადი ფაქტორია, რაც მაყვარებს ან პირიქით – არ მაყვარებს სამუშაო გარემოს, რადგან კარგი

ადამიანები ჩემთვის კომფორტის ზონას ნიშნავს. ამჟამად კინოს საინფორმაციო საიტის – Cinemania.ge-ს რედაქტორი ვარ, ყოველდღიურად უამრავ საინტერესო ინფორმაციას ვიგებ, ვწერ სტატიებს და ვმუშაობ მართლა საოცარ ადამიანებთან, რომლებიც ძალიან მალე იქცნენ ჩემს მეგობრებად.

შენი თავი პენსიონერი როგორ წარმოგიდგენია? არ ვიცი, რატომ გადავახტი წლებს, მაგრამ ვკითხე და დიალოგის რეჟიმში გავაგრძელეთ:

«მგონია, რომ პენსიონერიც სულ წიგნებს ვიკითხავ (თუ არ დავბრმავდი) და დარწმუნებული ვარ, რომ ისეთივე უბრალო და უშუალო ვიქნები, როგორიც ვარ».

შენ ამბობ ერთ ვიდეოში, რომ ძალიან ბევრს ვზრუნავთ იმისთვის, რომ გვქონდეს კარგი ტელეფონი და სახლი, გვყავდეს კარგი მანქანა, მაგრამ არაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ გავხდეთ უფრო ადამიანურებიო – რას ნიშნავს შენთვის ეს ადამიანურობა?

იცი, მე ხშირად ვაცინებ ადამიანებს. ვაცინებ მეგობრებს, ოჯახის წევრებს, ახალგაცნობილ ადამიანებს, უცნობ ადამიანებს, ვაცინებ მარკეტში მოლარეებს, ვაცინებ ონკოლოგის კაბინეტთან რიგში მდგომ ადამიანებს და ვაცინებ იმიტომ, რომ ცხოვრება სევდიანია. მე ვიცი, რას გრძნობენ ქალები, რომლებიც ექომამოგრაფიით ხელში ექიმის კაბინეტთან დგანან, ადამიანები, რომლებსაც ქუჩაში სძინავთ; რას გრძნობს მოლარე, რომელსაც რიგში მდგომი 40 ადამიანი თავზე დასჩხავის. ეს არ არის პათეტიკური სიტყვები. ეს ყველაფერი მე თვითონ გამოვცადე და ზუსტად ვიცი, რასაც ვლაპარაკობ. ჩვენ ხშირად საკუთარი ცხვირის იქით ვერაფერს ვხედავთ, რაღაც უაზრო მიზნები გვაქვს – გვგონია, რომ

ძვირადღირებული მანქანა ან სახლი გაგვაბედნიერებს, მაგრამ ეს ასე არ არის. ამ უაზრო მიზნებისკენ სწრაფვაში კი ვერ ვხედავთ ქალებს, რომლებიც ექომამოგრაფიით ხელში ექიმის კაბინეტთან დგანან, ბავშვებს, რომლებსაც დაგლეჯილი ფეხსაცმელი აცვიათ, მაღაროელებს, რომლებიც ყოველდღე სიკვდილზე მიდიან და მათი ხელფასი 300 ლარია. ჩვენ ბევრ რამეს ვერ ვხედავთ და შესაბამისად, არც ვცდილობთ, მათთვის რაიმე გავაკეთოთ.

რა არის ის, რაც ყველაზე ხშირ და დიდ პროტესტს იწვევს?

ჩაგვრა – ნებისმიერი სახის და ნებისმიერი ფორმით. თუ პირადად ვესწრები ფაქტს, სასტიკად ვბრაზდები და აუცილებლად ვრეაგირებ.

ბარიკადებზე დგომა თუ გიზიდავს? რომელი იყო ბოლო აქცია, თუ არის ასეთი, სადაც წახვედი და რაღაც გააპროტესტე?

აქციებზე არასდროს დავდივარ. აგორაფობია მაქვს და ამის გამო ვერც აქციებზე, ვერც მაგალითად – მუსიკალურ ფესტივალებზე და კიდევ ბევრ სხვა ადგილას ვერ - ვჩნდები, ვგულისხმობ ისეთ ადგილებს, სადაც სივრცე დიდია და ხალხი – ბევრი. მომენტალურად პანიკის შეტევა მეწყება. თუმცა, არასდროს ვერიდები, დავაფიქსირო ჩემი აზრი რაიმე საკითხთან მიმართებით, რადგან ისევ და ისევ მგონია, რომ ყველაზე მთავარი ღირებულება სიმართლეა.

შენ და კორტასარი – როგორ არ გკითხო. მომიყევი ამ სიყვარულზე პირველი შეხებიდან მის საფლავზე ჩასვლამდე – როგორ იყო ეს ამბავი და რატომ მაინცდამაინც ის?

17 წლის რომ ვიყავი, თავისუფლების მოედანზე, მიწისქვეშა გადასასვლელში ერთი ბიჭი გავიცანი,

შემთხვევით. მერე ძალიან ბევრი ვიარეთ და როცა ერთმანეთს ვემშვიდობებოდით, ამ ბიჭმა მითხრა, რომ აუცილებლად წამეკითხა კორტასარი. სახლში რომ დავბრუნდი, მოვძებნე და რადგან მოთხრობების კრებულს «მდევარი» ერქვა, პირველი სწორედ ეს მოთხრობა წავიკითხე. როცა იმ მომენტს მივადექი, სადაც ჩარლი პარკერის პერსონაჟი ნაგვის ურნებზე წერს, მივხვდი, რომ აღმოვაჩინე კაცი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე მეყვარებოდა. კორტასარი ჩემი მწერალია – ყველაფერი, რასაც ის ხედავს, რასაც გრძნობს, როგორც გრძნობს, ჩემთვის ძალიან ნამდვილია. კორტასარის პერსონაჟები მუდმივად ძიებაში არიან, სჯერათ, ან უნდათ, სჯეროდეთ, რომ ცხოვრება მარტო ეს არ არის, რაც არის. აი, «კლასობანაში» ერთი მომენტია, როცა ტრეველერი და ორასიო რაღაც ფილოსოფიურ თემაზე საუბრობენ და უცებ ორასიო ტრეველერს აცინებს და ყოვლად სულელურ რაღაცას ეუბნება, ძალიან ჩვეულებრივს და ყოველდღიურს, და ეს მართლა ასეა ცხოვრებაში. ჩვენ ასე ვლაპარაკობთ, ასე ვგრძნობთ – ქაოტურად, ასე გვჯერა რაღაცების, და ასე ვკარგავთ რწმენას, ასე ვართ მარტოები და ამის აღიარების ასე გვრცხვენია. მე პარიზში, კორტასარის ასი წლის იუბილეზე, მის საფლავზე გავაცნობიერე – მთელი ჩემი გონებით და სხეულით, რომ მოვკვდები, დავმთავრდები და ამის ასე შეგნებული გაცნობიერება ცოტათი უცნაურ შეგრძნებას ბადებს. მაგრამ მე საკუთარი სიკვდილის ფაქტი მიღებული მაქვს

და არ მეშინია. მხოლოდ ის მინდა, რომ სრულყოფილად შევიგრძნო ცხოვრება, როგორც ეს კორტასარმა გააკეთა. ყოველ შემთხვევაში, მე მგონია, რომ გააკეთა და მგონია იმიტომ, რომ სრულყოფილად რომ არ შეეგრძნო, ვერასოდეს დაინახავდა ჩარლი პარკერის ნაგვის ურნებს და ვერც სამხრეთის გზატკეცილს, სადაც მანქანების ჭედვაში ადამიანის ბედისწერა ვლინდება.

შენი წიგნი, «ბებია რეი დ ამერიკაც» ვახსენოთ – შენი «ამერიკული ოცნება» რა არის?

სიმართლე გითხრა, არც «ამერიკული» და არც არანაირი ოცნება არ მაქვს. იმდენად დამპალი რეალისტი ვარ, რომ ზოგჯერ ამის მრცხვენია კიდეც.

ფილმი «8 წუთი» და უცებ კინოსცენარები და საერთოდაც, კინო – როგორ გადაინაცვლე ამ საქმეში?

ეს ძალიან შემთხვევით მოხდა და ახლა კინოს ფაქტობრივად იმდენივე ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში, რამდენიც ლიტერატურას. ჯერ კიდევ «დიოგენეში» მუშაობისას, ერთხელ დათო აბრამიშვილი მოვიდა რაღაც ლიტერატურულ საღამოზე, ჩემი წიგნი ახალი წაკითხული ჰქონდა და განცდებში იყო. უცებ მითხრა, რომ ის და მისი მეგობრები სცენარის დაწერას აპირებდნენ და იქნებ მეც მეცადა. ასე აღმოვჩნდი იმ ადამიანებთან, რომლებიც დღეს ჩემთვის ძმებივით არიან. ასე დავწერეთ «ინგა». Sibler Films ჩემთვის მართლა ოჯახია და მე გულით მჯერა, რომ არავის თავში ჩნდება ისეთი მაგარი იდეები, როგორიც ამ ბიჭების, შეიძლება იმიტომაც, რომ ძალიან კარგად ხედავენ ცხოვრებას და ძალიან ნაღდები არიან. «8 წუთმა» კი თითოეული ჩვენგანის ცხოვრება შეცვალა.

აქამდე რა გგონია შენი ყველაზე დიდი წარმატება და როგორ შეგიძლია ხოლმე წარმატებების მიღება და გადახარშვა?

მანჰეტენის ფესტივალზე გამარჯვებას. როცა ეს გავიგე, მართლა შოკი მქონდა. ისე ვტიროდი, თითქმის ერთი საათი ვერავინ მეკარებოდა. წარმოგიდგენია? მთელს მსოფლიოში 100 000-ზე მეტი ადამიანი კინოთეატრებში მივიდა, ფინალისტი ფილმები ნახა და გამარჯვებულად ჩვენ დაგვასახელა. მე ვნახე ინტერნეტში ამერიკელი ქალის ბლოგ-პოსტი, სადაც ის წერდა, რომ «8 წუთი» სასწავლო პროგრამაში უნდა შეიტანოს. ვნახე კომენტარები, სადაც ამერიკელები, გერმანელები, ინგლისელები, ფრანგები წერდნენ, რომ ადამიანები, რომლებმაც «8 წუთი» შექმნეს, ძალიან ნიჭიერები და ინდივიდუალურები არიან და დიდი მომავალი აქვთ. არც მჯეროდა, რომ ამ ყველაფერს ჩვენზე წერდნენ. მაგრამ კი, ჩვენზე წერდნენ და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მინიმუმ 100 000-მა ადამიანმა გაიგო, რომ არსებობს ქვეყანა – საქართველო და ამ ქვეყანაში კეთდება კინო, ხოლო 2017 წლის მანჰეტენის კინოფესტივალზე მათ საუკეთესოდ სწორედ ეს კინო დაასახელეს.

დამწყები მწერლებისთვის გაქვს რამე განსაკუთრებული რჩევა?

ერთადერთი, იმას ვურჩევდი, რომ ყოველთვის გულ-წრფელები იყვნენ და არასდროს შეეშინდეთ გულწრფელობის.

ქართველი ავტორებიდან როგორ გგონია, ვის აქვს შანსი, გახდეს მსოფლიო მწერალი, თუ ის კარგად ითარგმნება?

აკა მორჩილაძეს, არჩილ ქიქოძეს.

ხვალეზე – ბევრს ფიქრობ ხოლმე?

არა, რა აზრი აქვს ხვალეზე ფიქრს? ხვალე შეიძლება - ქუჩაში გახვიდე და მანქანამ დაგარტყას, ამიტომ არ არსებობს «ხვალ», არსებობს მხოლოდ «დღეს».

შენი ხვალ როგორი გინდა იყოს?

მე კმაყოფილი ვარ იმით, რაც დღეს მაქვს. ყველაფერს, რასაც ვიღებ, ჩემი შრომით ვიღებ და ალბათ, ჩემი ხვალეც ისეთი იქნები, როგორსაც შევქმნი.

მოხუცი

(ფრაგმენტი რომანიდან «ილუზიის თამაში»)

პირველი კაცის ხელები, რომლებიც მის მკერდს შეეხებიან, მოხუცის იქნება. ეს შეხება მოხდება ჩაკეტილ ოთახში, წმინდა ადგილას, და მომენტში, როცა ბებერი ხელები მის ნორჩ ძუძუებს დაუწყებენ ფათურს, როცა მოულოდნელობისგან თავზარი დაეცემა და შიში ადგილზე გააქვავებს, დიაკვანი ზარს ჩამორეკს და ბავშვის ძახილი გაისმება.

«ბავშვმა დედას დაუძახა,» – იტყვის მოგვიანებით, კაცებთან, რომლებმაც მის ამბავს განაჩენი უნდა გამოუტანონ და ისინი გაოცებულები გადახედავენ ერთმანეთს. მათი გაოცება იმდენად აშკარაა, რომ გადაწყვეტს, განმარტოს:

«ბავშვს რომ არ დაეყვირა, შეიძლება, ვერ გამენძრია ფეხი, ნაბიჯი ვერ გადამედგა და ყველაფერი მომხდარიყო. დავრჩენილიყავი ეგრე – ქვად... როგორც სხვა გოგოებს დაემართათ.»

ამ უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისას ის მთავარ კაცს შეხედავს და ისე დაჟინებით ჩააშტერდება თვალებში, რომ აიძულებს, თავი დახაროს. თავად კი მზერას მაგიდაზე შემოდგმულ ყვავილებიან ლარნაკზე გადაიტანს. «ყვავილები,» – გაიფიქრებს სრულიად უკონტექსტოდ, – «ამათ უნდათ, ამ ყვავილებივით სათუთი ვიყო. საწყალი ვიყო იმისთვის, რომ რაღაც გააკეთონ.» და სიძულვილს მიხვდება. იგრძნობს, რომ იმდენად სძულს თითოეულს, ვინც იმ ოთახში ზის, რომ ჰაერიც კი მძიმეა მათი -

სიძულვილით, მათი იმედგაცრუებით – საცოდავის ნაცვლად ასეთი მტკიცე და შეუვალი რომ აღმოჩნდა.

«საქმე ისაა,» – დაიწყებს ერთ-ერთი, – «რომ ჩვენ მას - ვერაფერს მოვუხერხებთ. მისი ძალაუფლება ზედმეტად დიდია იმისთვის, რომ რაიმე მოვიმოქმედოთ.»

«ძალაუფლება?» – გაიმეორებს და სიტყვის გაგრძელებამდე იმხელა პაუზას გააკეთებს, რომ დაძაბულობისგან ჰაერში რაღაც გასკდება. ის კი მოულოდნელად საშინლად ირონიულად გაიცინებს და წამოდგება: «თქვენ გეშინიათ. მე კი იმდენად მართალი ვარ, რომ არაფრის განცდა აღარ შემიძლია საკუთარი სიმართლის გარდა.» ოთხ ნაბიჯს გადადგამს კარისკენ და სანამ ამ მძიმე, საზარელ ოთახს დატოვებს, კიდევ ერთხელ გადაწყვეტს შემობრუნებას, რათა თქვას (შეიძლება იმისთვის, რომ მათ შიშს დასცინოს):

«მარტო ვიბრძოლებ, და თუ მართლა მომკლა, გახსოვდეთ, რომ ერთი კაცი მაინც მოიძებნება ამ ქვეყანაზე, რომელიც ჩემ გამო შურს იძიებს. თქვენ კი შეუნდეთ, როგორც ეს თქვენს სახარებაში წერია.»

წლების მერე, როცა საკუთარი სახლის აივნიდან მძინარე ქალაქს გასცქერის, უცებ ის შუადღე გაახსენდება და გაიფიქრებს: «მაგიტომ დავბერდი ასე ადრე, რომ ბებერი იყო ხელები, რომლებიც პირველად მკერდზე შემეხო.»

მაგრამ მანამდე – აქ დგომამდე წლებით ადრე, იმ შუადღის მერე, ოთხი თვეა – უძილო, წამლებით გაჭყეპილი და უთქმელი, არეული ღამეებით, როცა შვიდჯერ, რვაჯერ მაინც დგება და მძინარე სახლში სიარულს იწყებს. როცა ცდილობს, ზიზღი დაძლიოს და შეურაცხყოფა მოინელოს, რადგან საკუთარ თავს იმ წამიერ თავზარდაცემას და

გაქვავებას ვერ პატიობს. (ამ ოთხ თვეში ისე გაიზარდა, რომ ჰგონია, ცხოვრება მოითავა. მერე კი, გადაწყვეტს, წმინდა ადგილას მივიდეს და მოხუცს თვალებში ჩახედოს, – აბა, ახსოვს თუ არა, აბა, ნანობს თუ არა. (და თუ ნანობს, იქნებ აპატიოს კიდეც, ბიბლიაში თავჩარგული ანაფორიანი კაცებივით).

მაგრამ მოხუცი არ ხვდება. სხვა ხვდება, რომელსაც ჰკითხავს და რომელიც მიუგებს, რომ მოხუცი მალე დაბრუნდება, ერთ კვირაში, რომ მოხუცი ცოტა ხნით დაითხოვეს, რადგან მოხუცია და დაიღალა (სინამდვილეში კი მოხუცი იმიტომ დაითხოვეს, რომ წმინდა ადგილას გოგო მოვარდა, პატარა და შეურაცხყოფილი. გოგო, რომლის საშოსაც მოხუცის წყალობით წითელი წინწკლები დააჩნდა და მერე ეს წინწკლები სისხლის ნაკადად ექცა. და ეს პატარა გოგო – ჯერ კიდევ ბავშვი, თურმე წირვის აღსრულებისას მოხუცს ღრიალით ლანძღავდა და ღვთისმშობლის ხატს ხელებს ურტყამდა. იქ შეკრებილებმა ჩათვალეს, რომ გოგო გიჟია და გაათრიეს. საავადმყოფოში გამოკეტეს და წამლებით გაჭყიპეს, იმიტომ, რომ ბავშვი მართლა გაგიჟდა, და მიუხედავად მისი სიგიჟისა, ოჯახი – ქალი და კაცი, რომლებმაც ეს ბავშვი შვეს, გაჩუმდნენ. ასე გადაწყვიტეს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მაინც გაჩუმება სჯობს. მან კი სწორედ მაშინ, როცა გოგოს ამბავი გაიგო, მიზნად დაისახა: ყველა გოგოსთვის, რომელთა სხეულებსაც მოხუცის ბინძური შეხება დაღად ასვია და პირველ რიგში – ამ ბავშვისთვის, რომელიც გამწარებული ურტყამდა ხელებს ღვთისმშობლის ხატს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, აუცილებლად მოითხოვს პასუხს და შურს იძიებს. (და როცა ეს გადაწყვიტა, იგრძნო, რომ წარმოუდგენელი სისასტიკის ჩადენა შეუძლია.)

მან იცის: საკუთარი თავისგან აღარაფერია დარჩენილი იმ ამბის მერე, რომელიც მაინცდამაინც წმინდა ადგილას მოხდა, მზიან შუადღეს, ოთახში, სადაც ვიწრო სარკმლიდან შემოდიოდა მზის შუქი და იმ ადამიანთა ჩუმი საუბრები, რომლებიც აქ სალოცავად მოვიდნენ. წლების შემდეგ, როცა საკუთარი ცხოვრების თვალიერებას იწყებს, ყოველთვის უკვირს, რატომ ემართება ხოლმე ის, რაც ათასში ან მილიონში ერთ კაცს ემართება. «ბედუკუღმართი დავიბადე», – გაახმოვანებს ერთხელ საკუთარ ფიქრს და იქვე ინანებს, რადგან იცის, რომ სულაც არ არის უბუდურებისთვის განწირული. მას ხშირად იმაზე მეტად უმართლებს, ვიდრე მთელ სამყაროს მის გარშემო. იქნებ სწორედ იმიტომაც, რომ ზედმეტად ბევრი მოითმინა და თან მოითმინა ისეთი სიმტკიცით, რომ მისი საქციელი თავხედურიც შეიძლება მოგვეჩვენოს. მაგრამ ერთხელ, როცა მოჩვენებად ქცეული, მერვედ ადგება იმ ღამეს და მძინარე სახლში ბორიალს დაიწყებს, წყლის ონკანთან გაჩერდება და უნებლიეთ წამოსცდება: «პირველი დაღი მაშინ დამასვეს, როცა იმ ქალის სახელი დამარქვეს, რომელმაც ღმერთი შობა», – და რატომღაც იმ მომენტში მოხუცი გაახსენდება. (ალბათ, მისი გაქცევის მერე ცოტა ხანს ჩუმად იდგა. ან შეიძლება მაშინვე დატოვა ოთახი, რათა წირვაზე არ დაეგვიანა. მერე კი წაიკითხა ლოცვები რაღაცნაირი გაბრაზებით, და ეკლესიაში შეკრებილებმა მისი ბრაზი იგრძნეს და გაუკვირდათ, რატომ იმეორებდა ქრისტეს სიტყვებს ასე მოხუცი, და ალბათ, ვერცერთმა მათგანმა წარმოიდგინა, რომ შეიძლება იმიტომაა ასე გაბრაზებული ეს კაცი, რომელიც შემაღლებულ ადგილზე შემომდგარა და ღმერთის სიტყვებს ქადაგებს, რომ მისი მამაკაცური ეგო დამცირებულია, მისი ასო კი – ამდგარი და დაუკმაყოფილებელი, რომ ვიღაც ლაწირაკმა გოგომ, რომელიც პირველად ნახა და ოთახში შეიყვანა აღსარების

მისაღებად, რომელსაც თავზე ანაფორა გადააფარა და მომენტალურად ძუძუებში დამჭკნარი ხელები შეუცურა, რომლის სხეულიც სურდა (და ალბათ, მას განსაკუთრებით აღაგზნებდა სისხლის დანახვა ნორჩი სხეულების საშოზე, ან იქნებ ქალწულები აღაგზნებდა და უფრო ის ფაქტი, რომ ეს პატარა გოგოები, – ეს ბავშვები პირველად მისი გახდებოდნენ (იქნებ არის ამაში რაღაც ღვთაებრივი მოხუცისთვის), ჰოდა ამ ლაწირაკმა გოგომ შეწინააღმდეგება გაბედა. გამხდარმა და ერთი შეხედვით, სუსტმა, მოულოდნელად ასი კაცის და ასი ცხენის ძალა გამოიჩინა და მისი ხელები ისე ძლიერად მოიშორა, თითქოს ათასკაციან ჯარს ებრძოდა. «ხელი გამიშვი!» – თქვა იმდენად მკაცრად და მბრძანებლურად, რომ მოხუციც გაქვავდა წამიერად. ზედმეტად სასტიკი იყო ეს ხმა იმისთვის, რომ არ გაქვავებულიყო, ხმა, რომელიც ოთახში ექოდ გავრცელდა, თითქოს გოგო კი არა, ხატებით დახუნძლული კედლები ამბობდნენ: «ხელი გამიშვი! ხელი გამიშვი!» და მერე გოგო შებრუნდა და გაიქცა (და შეიძლება სწორედ გაქცევის მომენტში, როცა მის სწრაფად გადადგმულ ნაბიჯებს თვალს აყოლებდა, მოხუცი მიხვდა კიდეც, რომ სწორედ ის დაღუპავდა, სწორედ ეს გოგო იძიებდა შურს ყველაფრისთვის, რაც მარტო მას კი არა, სხვა გოგოებსაც გაუკეთა, რომ ამ თავხედ ბავშვზე არანაირი მუქარა არ გაჭრიდა, რადგან ხმას შეუძლია, ადამიანის შინაგანი ბუნება და სისასტიკე გაამჟღავნოს და ამისთვის სულაც არ არის საჭირო გრძელი მონოლოგი. საკმარისია ორი სიტყვაც, მაგალითად: «ხელი გამიშვი.»)

ხელის გაშვებიდან იმ მომენტამდე, როცა ეკლესიაში მოვარდნილი ბავშვის ამბავს გაიგებს, ოთხი თვეა. ის ღამეში, სულ მცირე, შვიდჯერ მაინც დგება და სიარულს იწყებს ოთახებში. დადის, დადის, დადის და თუ

შემთხვევით მამას გაეღვიძა და ჰკითხა, რას აკეთებს, ის პასუხობს, რომ წყალი მოსწყურდა, ან ტუალეტში გამოვიდა და მერე მართლა მიდის ტუალეტისკენ, რათა თავისივე ნათქვამი გაამართლოს. და როცა ტუალეტის კარს მიხურავს, სარკეს უახლოვდება და საკუთარი თავის ყურებას იწყებს. ეს ყურება სახიფათოა და ხანგრძლივი. (როცა ტუალეტიდან გამოდის, მამა უკვე ჩაძინებილი ხვდება ხოლმე და თუ მის მძინარე სახეს მოჰკრა თვალი, ყოველთვის ყოვნდება წამიერად და ეკითხება: «რას იზამ, თუ ერთხელაც შენი შვილი მოვა და გეტყვის, რომ წმინდა ადგილას შეიყვანეს და მის მკერდს მოხუცის ხელები ეფათურებოდა, რომ, აი, მამა, შენ რომ ისევ პატარა გოგო გგონივარ, მე ისე გავიზარდე, რომ ჩემს ძუძუებს ეხებიან – ხელები, რომლებიც ასეთი ბებრულია და ასეთი დამჭკნარი, ხელები, რომლებიც მერე სახარებას აიღებენ და წაუკითხავენ ეკლესიაში შეკრებილ ადამიანებს, ხატებისკენ იმედით რომ იცქირებიან. მე კიდე მგონი არც არასდროს მწამდა წმინდანების, ჰოდა რას იზამდი, მამაჩემო?» მაგრამ ეს კითხვა მხოლოდ მის გონებაში გაისმის და მან იცის, რომ ხმამაღლა არც არასდროს გაისმება, რადგან ეს მარტო მისი ომია, და თუ ამ ომში სხვაც ჩაერთვება, ვეღარ ჩამოირეცხავს შეურაცხყოფას და დაღდასმული ივლის ყოველთვის, სირცხვილის განცდით, რომ თავისი ცხოვრების იმ ყველაზე ხანგრძლივ მომენტში ისე შეეშინდა, ქვად გადაქცევა დაიწყო...) სარკეში ყურებისას ყოველთვის უჩნდება განცდა, რომ თვითონ არ არის. სხვა არის, ოღონდ ვინ – არ იცის. თითქოს საკუთარი თავიდან გამოდის. თუმცა, როგორც კი სარკეს თვალს აშორებს, მაშინვე ყველაფერი ლაგდება და გრძნობს, რომ ეს მხოლოდ ხანმოკლე ილუზიაა, სარკის ანარეკლი... მაგრამ ერთხელ, ოთხი თვის მერე, იმ ღამეს, როცა ეკლესიაში მივარდნილი ბავშვის ამბავს გაიგებს, ის

სარკის წინ დგას, ძალიან დიდხანს, საკუთარ თვალებს მიშტერებული, და ამ მომენტის ხანგრძლივობის მიუხედავად, ვერცერთხელ ახერხებს თავისივე პიროვნებიდან გამოსვლას, თითქოს ოთხთვიანი ილუზია სადღაც გამქრალა. ზუსტად იცის, რომ ეს მაგრად მოკუმული პირი და ერთმანეთზე ლამის ჩამტვრევამდე დაჭერილი კბილები მისია. მას ეკუთვნის ეს თვალებში ჩამდგარი ბრაზიც (ცოფი – უფრო შესაფერისი სიტყვა იქნებოდა) და ახლა სწორედ იმას უყურებს, ვინც სინამდვილეშია: ადამიანი, რომელმაც იცის, რომ შიში საბოლოოდ დაამარცხა და როცა დაიწყებს, რაც არ უნდა მოხდეს, უკან დამხევი აღარ იქნება, ლაჩარი არ იქნება, რადგან სწორედ ახლა, აი, ამ სარკის წინ, ბოლოს და ბოლოს დადგა მომენტი, როცა მას შეუძლია თქვას: «ჰო, ეს მე ვარ». და ომი დაიწყოს.

ომი ხანგრძლივია და მუქარებიანი. ანაფორიანი კაცები აფრთხილებენ: არ გინდა. გაჩუმდი. მას თავისი კაცები ჰყავს, ბევრი და ძლიერები, შენ კიდე მარტო ხარ. თუ სხვები გაჩუმდნენ, რატომ არ შეგიძლია შენც გაჩუმება? (ცდებიან ისინი. მას, რა თქმა უნდა, შეუძლია გაჩუმება, უბრალოდ, – არ უნდა. იმიტომ, რომ გაბრაზებულია, იმიტომ, რომ კიდევ ბევრი გოგოა, რომელიც შეიძლება, სრულიად შემთხვევით, სწორედ ამ წმინდა ადგილას მივიდეს და სრულიად შემთხვევით, სწორედ ეს კაცი შეხვდეს ღმერთთან შუამავლად.)

მერე კი მის ამბავს მოხუციც გაიგებს. რომ ვიღაც გოგო მოსულა, ყველაფერი უთქვამს, და მისი გაძევება მოუთხოვია. კი არ უთხოვია – მოუთხოვია. და მოხუცი მისი ვინაობის გარკვევას არ დაიწყებს, რადგან თავიდანვე მიხვდება: შეუძლებელია, ასეთი თავხედობა იმ ლაწირაკი გოგოს გარდა, ვინმეს გაებედა. გოგოსთან კი ერთ-ერთს

აგზავნის, ანაფორიანს, რომელიც, უნდა ვაღიაროთ, ცოტათი შეშინებული და დამორცხვებულია და მორიდებით ეუბნება: «გირჩევნია, გაჩერდე, რადგან ის ამბობს, რომ თუ არ გაჩერდები (და აქ, ამ უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმამდე, ანაფორიანი ჯერ გვერდზე გაიხედავს, მარცხნივ, მერე კი თავს ჩახრის), მოგკლავს.» ამის გაგონებისას გოგო გრძნობს, როგორ იბადება მასში ბრაზი, რომელიც ელვისებური სისწრაფით იზრდება. ისე იზრდება, რომ ჰგონია, სისხლი ტვინს აუდუღებს. «მოითმინე, მოითმინე,» – უმეორებს გულში საკუთარ თავს და კაცს მანამდე არ პასუხობს, სანამ ტვინი სისხლისგან არ დაიწრიტება და სიმშვიდეს არ დაიბრუნებს. «კარგი», – იტყვის მერე და წამოდგება, – «რახან ეგრეა (და აქ, ამ უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმამდე ის თავს ასწევს და ანაფორიანს პირდაპირ თვალებში ჩახედავს), მომკლას.»

მოგვიანებით, როცა ამ ამბიდან დიდი დროა გასული, ის ქუჩაში ბიჭთან ერთად მიაბიჯებს. ბიჭი ძალიან გამხდარია და როცა იცინის, გოგოსაც უნებურად ეცინება. იმდენად კარგად იცნობენ ერთმანეთს, რომ ერთი მარტივი მოძრაობით შეუძლიათ, გამოიცნონ, რას ფიქრობს ან რას გრძნობს მეორე. მათი ურთიერთობა სამარცხვინოდ გულწრფელია და ბუნებრივი, და ხანდახან გოგოს ეჩვენება, რომ ამაზე ადამიანური მის ცხოვრებაში არც არაფერი მომხდარა. მიუხედავად ამისა, იმ ქუჩაში ბოდიალისას, ბიჭი მოულოდნელად გაჩერდება და რაღაცაზე ეტყვის: «წარმოიდგინე, შენზე რომ ვინმეს ეძალადა, როგორი ისტორია გექნებოდა» და ძალიან ხმამაღლა გაიცინებს. გოგოს კი მოეჩვენება, რომ მის გარშემო მთელმა სამყარომ ნგრევა დაიწყო. მომენტალურად მანძილი მასა და ბიჭს შორს კატასტროფულად გაიზრდება, ასობით, ათასობით,

მილიონობით კილომეტრი გახდება და იგრძნობს, როგორ ეთიშება ტვინის უჯრედები. «წარმოიდგინე, შენზე რომ ვინმეს ეძალადა, როგორი ისტორია გექნებოდა» (გოგო ამ ფრაზას და ადგილს, სადაც ეს სიტყვები გაისმა, სამუდამოდ დაიმახსოვრებს). იმ წინა ამბავივით, ერთ ადგილას გაქვავდება და ძალიან მოუნდება, ბიჭს უყვიროს და სახეში გაარტყას. იღრიალოს, რომ ამაში სასაცილო არაფერია, რომ მისი ბრალი არაფერია. რადგან იმ დამპალ, მზიან შუადღეს ცხოვრებაში პირველად ნახა ის კაცი და როცა ჩარაზული ოთახისკენ მიჰყვებოდა, ოდნავადაც არ ეჭვობდა, რომ წმინდა ადგილას მსგავსი რაღაცის გაკეთება შესაძლებელია. რომ იმდენად შეურაცხყოფილი იყო, მერეც – ამ ამბის დასრულებიდან კიდევ დიდი ხანი – ვერ ინელებდა შეურაცხყოფას, იმ ერთ შეხებას, რომელიც შეიძლება სხვა დროს არც არაფრად მიეჩნია, მაგრამ კონტექსტმა გაანადგურა. რომ ის ოთხი თვე კატასტროფულად ეშინოდა და შიშზე მეტად – ეზიზღებოდა საკუთარი თავი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არაფერი დაუშავებია. რცხვენოდა, მაინცდამაინც მას რომ დაემართა ეს ამბავი, და იმისთვის, რომ სირცხვილი მოენელებინა, ყოველ ღამე დგებოდა – შვიდჯერ, რვაჯერ, თხუთმეტჯერ და მძინარე სახლში დადიოდა, რადგან ლოგინში წოლა არ შეეძლო. უნდა ამდგარიყო და ევლო, რაიმე მოქმედება გაეკეთებინა, რათა აღარ ეფიქრა და საკუთარი თავისთვის ტირილის უფლება არ მიეცა. რომ მერეც ეშინოდა, როცა ანაფორიან კაცებთან დადიოდა და მოხუცის გაძევებას მოითხოვდა. ყოველ წამს ელოდა, რომ აი, ახლა მოვიდოდა ვიღაც, საიდანღაც და იარაღს მიუშვერდა, და ისე მოკლავდნენ, მის ამბავს კაციშვილი ვერ გაიგებდა. ზედმეტად მკაცრი და პირდაპირი იყო მოხუცის მუქარა იმისთვის, რომ არ შეშინებოდა. და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, არ

გაჩერდა. ძალიან, ძალიან იყო გაბრაზებული, იმიტომ, რომ ის – პატარა და გამწარებული ბავშვი ეკლესიაში მივარდა და ღვთისმშობლის ხატს ხელები ურტყა, და კიდევ იმიტომ, რომ აკვიატებულად სჯეროდა – ვერაფერი, მათ შორის სიკვდილიც კი, ვერ იქნება შეურაცხყოფაზე უარესი და მან ეს შეურაცხყოფა აუცილებლად უნდა ჩამოირეცხოს. (მაგრამ ეს ყველაფერი გოგომ გონებაში დაიყვირა, მერე კი თავადაც გაიცინა და ბიჭთან ერთად გააგრძელა გზა, ოღონდ უკვე სხვანაირმა – ძალიან გაჩუმებულმა, ერთმანეთზე მაგრად დაჭერილი კბილებით და თვალებში ჩამდგარი ცოფით, – ისეთმა, როგორიც მაშინ იყო, როცა საპირფარეშოში, სარკის წინ დაიფიცა, რომ ლაჩარი არ იქნებოდა და ომი დაიწყო.)

(ომი უცნაურად დასრულდება. ის ჩაივლის გრძელ დერეფნებს, სადაც ანაფორიანი კაცები დგანან და ამ საიდანღაც მოსულ უცხო გოგოს თვალს ეჭვით აყოლებენ. დერეფნები მუქია და დამთრგუნველი. ის ნაბიჯებს ძალიან მტკიცედ ადგამს. დაძაბულია, მაგრამ თავი უჭირავს. იცის: თვალები არ უნდა დახაროს, არავის მზერა არ უნდა აარიდოს, რათა ყველამ კარგად იცოდეს: მართალია.

მთავარ შესასვლელთან შეაყოვნებენ. ეტყვიან, ცოტა ხანს დაიცადოს, რადგან კაცს, რომელიც ამ ამბის მთავარი მსაჯულია, სხვა კაცები ჰყავს მიღებაზე. თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევს და დაიცდის. (წესით ახლა გაუთავებლად წინ და უკან უნდა დადიოდეს, ნერვიულობისგან თითებს ფრჩხილებს ხორცის გამოჩენამდე იჭამდეს და შუბლზე ჩამოდენილ ოფლის წვეთებს სახელოთი იმშრალებდეს. ამის ნაცვლად კი, გაქვავებული დგას კართან და ერთ წერტილს მიშტერებია. მშვიდი აქვს სახე და უფრო სწორად – მკაცრი, რადგან ის აქ სათხოვნელად არ მოსულა. გადაწყვეტილი აქვს, როცა კარს გააღებს და შიგნით შევა,

ისე მოყვეს ყველაფერი, რომ ხმა არ აუკანკალდეს და ტონალობა მხოლოდ მაშინ შეცვალოს, როცა კულმინაციურ მომენტს მიადგება. უფრო ხმამაღლა და მკვეთრად წარმოთქვას, რომ თუ მოხუცს არ განკვეთენ, სირცხვილის მიუხედავად, მზადაა, ყველაფერი საქვეყნოდ მოყვეს და ხალხს სთხოვოს სამართლის აღსრულება. რომ ის მთელს სისტემას და მათ სიბინძურეს ამხელს და არაფერზე, აბსოლუტურად არაფერზე უკან არ დაიხევს, რადგან (განსაკუთრებით მკვეთრად კი სწორედ ეს სიტყვები უნდა გაისმას) – ყველაზე დიდი სისასტიკის ჩადენა შეუძლია მართალ ადამიანს, რომელიც შეურაცხყვეს.)

(მაგრამ მთელი ეს გონებაში დალაგებული ტექსტები მაშინვე დაავიწყდება, როგორც კი კარს მიხურავს და შეხედავენ. მას ამის მოლოდინი არ ჰქონია, და ღმერთო ჩემო, რატომ ვერ გაითვალისწინა, რომ შესაძლოა, ამბავს ამ ოთახამდე მის მოსვლამდეც მოეღწია და დაბნეული სახის ნაცვლად, ასეთი თვალები დახვედროდა, თვალები, რომლებიც თითქოს ლაპარაკობენ, ბოდიშს უხდიან – მოხუცის ნაცვლად, ყველას ნაცვლად და ის გრძნობს, რომ ასეთი შეხედვისთვის მოუმზადებელია, აბსოლუტურად უიარაღო და აღარ იცის, როგორ მოიქცეს, რადგან მთელი ამ ხნის მანძილზე მას პირველად უყურებენ არა სიძულვილით, არა შიშით, არამედ ისე, როგორც ბავშვს, რომელსაც არაფერი დაუშავებია და რომელიც საზიზღრად დაამცირეს, და ის მიხვდება: ლაპარაკი საჭირო აღარაა, არაფრის მოყოლა საჭირო აღარაა, რადგან ეს თვალები მისდამი სიბრალულითაა სავსე და ისეთი წყლიანი, რომ სრულიად ნათელია: უკვე ყველაფერი იცის პატრიარქმა.)

მეოთხე დღეს, როცა თითქმის ოთხმოცი საათია გასული, რაც მას ერთი წუთითაც კი არ სძინებია, ტელეფონი

ახმაურდება და როცა უპასუხებს, არქიმანდრიტის მშვიდი ხმა გაისმება:

«კაბა გახადეს. მოხუცი სამუდამოდ განკვეთილია.»

ტელეფონს გათიშავს და ამ გამარჯვების მომენტში, იმის ნაცვლად, რომ გაიღიმოს, თვალებს დახუჭავს და ძალიან დიდხანს ასე დარჩება. გრძნობს, რომ განძრევა არ შეუძლია, თითქოს მისი სხეული პარალიზდა. გონებაში კი ფიქრები არეულად დარბიან, ერთმანეთს აწყდებიან და საბოლოოდ, აზრის გამოტანას ვერ ახერხებს. გათიშულია, მაგრამ ამავდროულად იმასაც გრძნობს, რომ მასში რაღაც იბადება, განცდა, რომელიც სხვანაირია, არაფერს ჰგავს და შესაბამისად, სახელის დარქმევაც არ გამოსდის. განცდა კი იბერება, იბერება და ფეთქდება. და ის მოულოდნელად ტირილს დაიწყებს. ისე ტირის, რომ ვეღარ ჩერდება. ისე ტირის, ვერ აცნობიერებს, რომ ისტერიკაშია. მერე კი სწრაფი მოძრაობით კედელთან ინაცვლებს და გამეტებით ურტყამს ხელებს, ვიდრე ნეკა თითის ძვალს არ ჩაილეწს. თუმცა, ამას იმ მომენტში ვერც კი მიხვდება და გიჟივით გააგრძელებს ხელების რტყმას. იქამდე, სანამ სრულიად არ გამოშრება ცრემლებისგან, რომლებიც ასე უწყვეტად და ღვარად სდის თვალებიდან და არც ცდილობს, შეაჩეროს, და არ ცდილობს იმიტომ, რომ ახლა, როცა ყველაფერი დამთავრდა და ომი მოგებულია, მას ბოლოს და ბოლოს შეუძლია, გააკეთოს ის, რასაც მთელი ეს თვეები ნებისყოფის საშინელი დაძაბვით უკრძალავდა საკუთარ თავს: იყოს ბავშვი, რომელსაც ისე ატკინეს, რომ რამდენიმე თვეში მოხუცის ხელებივით დაბერდა.

ამონარიდები

«მართალია, «ლიტვურ ვოიაჟში» ასე წერს, მაგრამ მე მგონია, რომ მარი ბექაურის პროზა ეროტიკული კი არა, გულწრფელია. მე კი გულწრფელობა ლიტერატურაშიც ისევე მიყვარს, როგორც – ცხოვრებაში და როგორც არ უნდა წარიმართოს მისი ლიტერატურული ცხოვრება, ყოველთვის სიამოვნებით წავიკითხავ მარის მოთხრობებს. საერთოდ, ძალიან მაინტერესებს ქართველი პროზაიკოსი ქალები, რადგან მათი ტექსტები უფრო მოულოდნელია ხოლმე ჩემთვის, ვიდრე პოეტი ქალების ემოციები და მარი ბექაურის გამბედაობამ კი დასაწყისშივე გამაკვირვა და გამახარა. მაშინვე, როგორც კი ეს ავტორი გავიცანი, მივხვდი, რომ თანამედროვე ლიტერატურულ პროცესს ისეთი განსხვავებული და გამორჩეული ხმა შეემატა, როგორიც განსაკუთრებით მიყვარს – თან მხიარული და თან ძალიან, ძალიან სევდიანი...»

დათო ტურაშვილი
«ელექტროთაობის» წინათქმა

«მე პირადად არ მახსენდება მეორე ქართული რომანი, სადაც ამდენი მასშტაბური და სიუჟეტის განმავითარებელი რამე ხდება ასე სწრაფად. რაღაც მომენტში ისეთი გრძნობაც კი შეიძლება გაგიჩნდეს, რომ ეს ისტორია, შესაძლოა, არასდროს დასრულდეს, რადგან მას ნამდვილად აქვს ამის პოტენციალი.»

ზაზა კოშკაძე
«ანას მომენტის» შესახებ «ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის» საიტზე.

«მარი ბექაურის «ანას მომენტი» არის იმის შეხსენება, რომ სამყაროში არაფერი იკარგება, მათ შორის, სამწუხაროდ, არც ძალადობა. და რომ მისი ექო შეიძლება სრულიად მოულოდნელ დროსა და ფორმატში გაისმას.»

პაატა შამუგია
«ანას მომენტის» შესახებ «ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის» საიტზე.

იმაზე მსჯელობა, თუ რა არის ამერიკა სინამდვილეში, მხოლოდ დროის ფუჭი ხარჯვაა, რადგან მგონი მოსაზრებაც იმდენია, რამდენიც ამ ქვეყნის მოსახლეობა. ბევრისთვის ეს თავისუფლების მიწაა, გახსნილობის, უშტამპობის. ბევრისთვის აღვირახსნილობისა და გადაგვარებულობის, ზოგისთვის გართობის, ჰედონისტური ცხოვრების საწყისია.

ახალგაზრდა ქართველი მწერლის, მარი ბექაურის მცირე რომანში კი ამერიკა აუხდენელ ოცნებადაა წარმოჩენილი, რეი ჩარლზის, ელვის პრესლისა და ბურბონის სამშობლოდ, სადაც «კადილაკს მიაქროლებ ტექსასიდან მისისიპისკენ და სულ ცალ ფეხზე გკიდია ცხოვრება.» «ბებია, რეი და ამერიკა» ავტობიოგრაფიული რომანია და ამერიკაზე შეყვარებული ახალგაზრდა გოგოს უბრალო ისტორიას მოგვითხრობს, რომელიც ერთხელაც ამერიკაში წასვლას გადაწყვეტს, თან ისე, რომ არავის არ გააფრთხილებს. მთავარი გმირი გათხოვილი, ქმარზე ყურებამდე შეყვარებული სასოწარკვეთილი დიასახლისია, რომლის წინაპარიც თურმე თავის დროზე ერეკლე მეორეს გაუბახებია. სასოწარკვეთილი დიასახლისი, რომელსაც ბავშვობა ენატრება. ყოველთვის ყველაზე მზრუნველი ბებია, სოფლის ეზო და მთები. დიასახლისი, რომელსაც ხშირად აქვს დეპრესია.

ერთი შეხედვით (კიარადა, ორითაც, სამითაც და ოთხითაც) «ბებია, რეი და ამერიკა» არაფრით გამორჩეული, პატარა, სასიყვარულო, ოცნებებით სავსე წიგნია, მაღალღირებულებიანი პროზის სტატუსზე რომ არ აქვს პრეტენზია. მსუბუქი, მომენტებში სასაცილო, მომენტებში კი – საკმაოდ სევდიანი. პრინციპში, ეს არც არის რომანი, უფრო ვრცელი წერილია, რომელიც განუხორციელებელ გეგმებს, აუხდენელ ოცნებებს, მოკლედ, ამერიკას მიეძღვნა. სენტიმენტალური პრელუდია, მხოლოდ პირველი საფეხური რაღაც დიდის და მრავლისმომცველისკენ მიმავალი კიბისა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომანი მცირე ზომისაა და საკმაოდ ადვილად იკითხება. ხოლო ავტორისეული იუმორნარევი, დახვეწილი წერის სტილი კიდევ ერთხელ გაძლევს მიზეზს თანამედროვე ქართველი ქალი მწერლებით იამაყო.»

ლაშა მილორავა
«სენტიმენტალური პრელუდია»
«არილი», 2 სექტემბერი, 2014 წელი

«ჩემთვის რომანის მთავარი მესიჯი ანას ფინალურ მონოლოგში იკითხება, სადაც იგი საკუთარ თავს გადამხდარ მთელ ამბავს «ტომსოიერობანას» არქმევს. «ჯერ მე ვამბობდი: «ტომ!» და პასუხი არ იყო. მერე სხვები მეუბნებოდნენ: «ტომ!» და პასუხი არ იყო». ეს გაუცხოება, უფრო სწორად, წაყრუება, კომუნიკაციაზე ხშირ შემთხვევაში უარის თქმა იმიტომ, რომ მან შეიძლება პრობლემები გააჩინოს, აწყობილი კონიუნქტურა დაანგრიოს, ავტორის თვალთახედვით, არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ დანაშაული მუდამ იჩქმალება, ძლიერი მხარისგან დახმარება დროულად არ მოდის და

ამიტომ სუსტი მხარე ღიზიანდება და თავად ამბობს უკვე კონტაქტზე უარს, თავად იგუბებს პირში წყალს და ასე პირში წყალჩაგუბებული აგრესიული ხდება.»

შოთა იათაშვილი
«მარი ბექაურის ტომსოიერობანას სინდრომი», რადიო თავისუფლება. 16 ივნისი, 2017 წელი.

მარი ბექაურმა მოახერხა, შეექმნა არა მარტო საინტერესო წიგნი, არამედ საინტერესო პერსონაჟი ქალიც, რომელიც ძლიერია, წერს, არც ქმარზეა დამოკიდებული, ძალიან ბევრ რამეს აკეთებს და ახერხებს იმას, რის გაკეთებაც ძალიან ცოტა ვინმეს თუ შეუძლია – სხვა ადამიანებით მანიპულირება, მათი მოტყუება და თითქმის მთელი სამყაროს ყურადღების მომართვა 32 წლის ქართველი ქალისკენ. მარი ბექაურის ანა სიმართლის დასადგენად არაფრის წინაშე არ დაიხევს უკან. მას არც ხმის ამოღების ეშინია და არც რადიკალური მოქმედებისა. ალბათ დამერწმუნებით, რომ ამგვარი ქალი ქართული ლიტერატურისთვის ძალიან უცხო და ახალი პერსონაჟია.

ზურა აბაშიძე
ბლოგი «ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის» საიტზე.
5 მაისი, 2017 წელი.

ბარბარა პოგაჩნიკი

ვერ ვიტანდი შეკითხვას „რისი თქმა სურს პოეტს?“

(ონლაინ-დიალოგი შოთა იათაშვილთან. 21-22 დეკემბერი, 2017 წელი)

სლოვენიელი პოეტი, მთარგმნელი და ლიტერატურის კრიტიკოსი ბარბარა პოგაჩნიკი (1973) ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში, ბელგიაში და სორბონის უნივერსიტეტში, პარიზში სწავლობდა რომანულ ლინგვისტიკას და ლიტერატურას. ავტორია ოთხი პოეტური კრებულის: Poplave (2007), «ქაღალდის ფურცლები ბრბოში იკარგება» (2008), «სახლის ცისფერი» (2013) და «ალისა პალტოების ქვეყანაში» (2016). მისი ლექსები ნათარგმნია 28 ენაზე, ხოლო ცალკე კრებულები გამოცემულია ფრანგულ, ესპანურ და რუმინულ ენებზე. მონაწილეობა აქვს მიღებული 50-მდე საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში. თარგმნის ფრანგულიდან, ინგლისურიდან, იტალიურიდან, სერბულიდან, ხორვატულიდან და ესპანურიდან. ნათარგმნი აქვს 150-მდე პოეტის ლექსები. არის სლოვენიის პენ-ცენტრის და მწერალთა ასოციაციის წევრი, მთავარი სლოვენიური ლიტერატურული გამოცემის, «ლიტერატურა»-ს სარედაქციო საბჭოს წევრი.

შოთა იათაშვილი: ბარბარა, როგორ მიხვედი პოეზიამდე?

ბარბარა პოგაჩნიკი: როდესაც პატარა ვიყავი, ვგიჟდებოდი წიგნის კითხვაზე, თუმცა ჩემი სიყვარულის საგანი სულაც არ იყო პოეზია. ჟურნალისტებისა და იურისტების ოჯახში დავიბადე, ბაბუა ცნობილი ჟურნალისტი იყო, მამაც. ბაბუა ამბობდა, რომ წერა ძალიან მნიშვნელოვანია და ამისთვის განსაკუთრებული ნიჭია საჭირო. როდესაც ის სულ პატარას მაკვირდებოდა, ამბობდა, რომ წერის ნიჭი მემკვიდრეობით გადმომეცა. მე საბავშვო მოთხრობებს

ვწერდი, და ბავშვებს მოსწონდათ, როგორ ვყვებოდი ისტორიებს. თუმცა, მალე მომბეზრდა ჩვეულებრივი სტილით, მე ვიტყოდი, ჟურნალისტური სტილით წერა. უარი ვთქვი იოლი გზით სიარულზე. მხოლოდ ისეთი ტექსტები მიზიდავდა, რომლებიც ჩემს გაოცებას ახერხებდნენ. გამოხატვის ხერხებს, ენის სიღრმეებს ვეცნობოდი, მინდოდა გამეგო, თუ როგორ უნდა გამომეყენებინა ენა იმისთვის, რომ ჩანაფიქრისთვის მიმეღწია. არსებობს ტვინის მდგომარეობა, როდესაც ენა ისეთი მნიშვნელოვანი ხდება შენთვის, რომ ამის გამო ძილი გიტყდება, ყოველდღიური რეჟიმი გერღვევა. ენას შეუძლია ჩვენთვის ჯერაც უცნობ ადგილებში წაგვიყვანოს. მგონია, რომ პოეზია ენის ის მდგომარეობაა, სადაც ის ყველაზე ღრმად ჩადის, მან შეიძლება აზრის, გონებისა და სულის უამრავი შრე გაიაროს.

შ. ი.: არსებობს მოსაზრება, რომ პოეზია გულიდან მოდის. შენი სიტყვებიდან გამომდინარე, შენთვის პოეზიაში ტვინი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც გული, შეიძლება მეტადაც კი. სხვათაშორის, ჩემთვისაც ასეა. თუმცა, როცა ტვინი ქმნის პოეზიას, ის შესაძლოა ძალიან კარგი გამოვიდეს, მაგრამ ბუნებრივი არა. ამ დროს პოეტი ქმნის კონსტრუქციებს, სტილს, ახალ ენას და შემდეგ ამ სამყაროში აგრძელებს ცხოვრებას. ამ ახალმა კი შეიძლება პოეტის ბუნება შეცვალოს. შენმა პოეზიამ თუ შეცვალა შენი ბუნება?

ბ. პ.: პოეზია გულის გარეშე წარმოუდგენელია, თუმცა, ის ითვალისწინებს აგრეთვე იმასაც, რასაც ძველმა ბერძნებმა ლოგოსი დაარქვეს. ენა არის სისტემა, ხოლო პოეტი მას სამუშაო იარაღად იყენებს. თუმცა, ხშირად ენაში ბევრი რამ მოულოდნელად, იმპულსურად ხდება, რაც კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ენა

დაკავშირებულია ჩვენს ქვეცნობიერთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ისეთი რაღაც ვთქვათ, რაც დიდი ხნის წინანდელი განცდების შედეგია. რაც შეეხება დროს, ის ენის შექმნის პროცესში არა სწორხაზოვანი, არამედ წრიულია, როგორც მუსიკაში, მუსიკის შექმნის დროს. ადამიანისთვის, ვინც ენას სამუშაო იარაღად არ იყენებს, ის მხოლოდ სოციალური შეთანხმების საშუალებაა. მათთვის ენა თითქოს მიძინებულია, გამოღვიძება კი საკუთარი გრძნობების შესახებ ახლის შეცნობას ნიშნავს. გამოღვიძება იმ დროსაც ხდება, როცა ადამიანი სხვა ენის შესწავლას იწყებს. როცა ხედავ, რომ სხვადასხვა ერები ემოციებისა და მდგომარეობების აღწერისას სხვადასხვა იდიომატურ გამოთქმებს იყენებენ, სურვილი გიჩნდება, დააკვირდე, რა სახეს იღებს ესა თუ ის ფრაზა და იცვლის თუ არა ფერს სხვადასხვა კონტექსტში. როცა ფიქრს ამ კუთხით იწყებ, შენს გონებაში შემოდის ჯადოსნური სამყარო, სადაც ყველაფერი შესაძლებელია. ენის კომბინაცია ადამიანის წარმოსახვაზეა დამოკიდებული. ბევრია ადამიანი, ვინც მიიჩნევს, რომ ადამიანთა ურთიერთობები, ემოციური მდგომარეობა და მისი გამოხატვის საშუალებები თავისთავადი, ანუ ავტო-მატურია. ისინი ფიქრობენ, რომ ემოციები თავისთავად გასაგებია და თავს არ იწუხებენ, რომ მის გამოსახატავად უფრო ღრმა სტრუქტურები ეძებონ. ჩემი აზრით, პოეზიის საშუალებით ბევრს ვამბობთ საკუთარი გრძნობების შესახებ მანამდეც კი, ვიდრე ამას ჩვენი გონება აღიქვამს. პოეზიას შევადარებდი შორეულ მოგზაურობას, ის ნამდვილად არ არის ხანმოკლე მხიარული წვეულება.

შ.ი.: ანუ პოეტი ბარბარა იგივეა, რაც პიროვნება ბარბარა? თუ არა?

ბ. პ.: ჰოც და არაც. არა მგონია, პოეზია მხოლოდ აღსარება იყოს. ხშირად მკითხველი ლექსებში მე მხედავს და მეკითხება: *რატომ ხარ ასეთი ნაღვლიანი? რატომ არ აძლევ თავს მეტ თავისუფლებას?* არადა, აუცილებელი არ არის, მე მეხებოდეს ყველაფერი, რასაც ვწერ. ზოგჯერ სხვების გრძნობებს ვაკვირდები და ამის შესახებ პირველ პირში ვლაპარაკობ. ერთხელ წავიკითხე, რომ ჩვენი ემოციების 95% სხვა ადამიანებისგან მოდის. საოცარია, არა? თუ მგრძნობიარე ხარ, სხვათა ენერგიას უფრო მეტადაც გრძნობ. მე ჩემი ნიჭი, ვიგრძნო სხვა ადამიანების ემოცია, პოეზიაში გამოვიყენე. პოეზია თანაგრძნობაა. პოეზიის კითხვისას და წერისას, ჩემი ძირითადი იმპულსი, არის უჩვეულო გრძნობების შეცნობა. მგონი, ჩვენს ირგვლივ საკმაოზე მეტადაა კომერციული აქტივობები, გაზეთები, ტელეშოუები, ადამიანის ქცევის კვლევები. პოეზია კი არის ამბოხი, ის ეწინააღმდეგება ადამიანის მიმართ კომერციულ მიდგომას.

შ.ი.: შენი ლექსები კომენტარებს საჭიროებს. ეს კარგია თუ ცუდი? კომენტარებით შენი ლექსები კარგად იკითხება, კომენტარების გარეშე უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს. შეიძლება ვთქვათ, რომ ჰერმეტული პოეტი ხარ?

ბ. პ.: კომენტარების გაკეთება არ მიყვარს, რადგან მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში მკითხველს ლექსის კითხვისას ნაკლები ემოცია ექნება. ჩემი აზრით, პოეზიას არ სჭირდება პასუხები, ის უნდა ბადებდეს შეკითხვებს.

რაც უფრო მეტია შეკითხვა, მით უკეთესი. ჩემთვის იდეალური ლექსი ისაა, რომლიც არასოდეს მთავრდება, დიდაქტიკურად რომ ვთქვათ, ერთი კონკრეტული «ამოხსნით». მე კომუნისტურ სკოლაში დავდიოდი, იმ რეჟიმის დროს, რომელსაც ლიტერატურული იდეალები განსაზღვრული ჰქონდა. რუსული სკოლა მოითხოვდა, რომ ლიტერატურას რაღაც კონკრეტული ეთქვა, რაც იქნებოდა მესიჯი მკითხველისთვის. მაგრამ თუ მკითხველი სხვადასხვაგვარია და სხვადასხვა გამოცდილებიდან მოდის? ჩვენ გვეკითხებოდნენ: რისი თქმა სურს პოეტს? ამ შეკითხვას ვერ ვიტანდი, რადგან ისე უნდა გვეფიქრა, როგორც მოგვეთხოვებოდა. როდესაც ბელგიის უნივერსიტეტში დავიწყე სწავლა (ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი იყო), პროფესორმა თავიდანვე გაგვაფრთხილა: *გამოცდაზე ვინც იტყვის, რომ პოლ ვალერის ლექსს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს, ჩაიჭრება.* ეს საჩემო მიდგომა იყო. მნიშვნელობის მრავალფეროვნება. მნიშვნელობათა ფენები. სიტყვა ცოცხალი არსებაა: როგორ იქცევა ის ამ კონტექსტში? ოჰ, რა საინტერესოა. შემდეგ იღებ და ის სიტყვათა სხვა ოთახში შეგყავს და ისიც იცვლება. აქაც საინტერესოა. ლექსი კალეიდოსკოპს ჰგავს – სხვადასხვა პოზიციაში ყველა სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობას იღებს, როგორც კალეიდოსკოპში ფიგურები იღებენ სხვადასხვა ფორმასა თუ ფერს. და შენც პოეტური ენის შესაძლებლობებს სიტყვათა ლოგიკური და ალოგიკური შეთანხმებების კომბინაციებით იკვლევ. ძალიან მიყვარს, როცა ვინმე ჩემს ლექსს განსხვავებულად იგებს. არა მგონია, ეს ჰერმეტულობა იყოს. მეორე მხრივ კი, როგორც ამბობენ, ჰერმეტიზმი იმითაა კარგი, რომ თუ უბრალო ადამიანებს, ვთქვათ, ბუნდოვან ლექსებს წაუკითხავენ, მათ ემოციები აღეძვრებათ, ინტუიცია განუვითარდებათ და იმის

გააზრებას დაიწყებენ, რომ არსებობს აუხსნელი რაღაცებიც.

შ. ი.: შენ ნამეტანი სერიოზულად ხომ არ უყურებ პოეზიას? ცხადია, პოეზია სერიოზული რამაა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ის უნდა იყოს მსუბუქი და იუმორით სავსეც. სხვათა შორის, კარგი იუმორი რთულად მისაღწევია. რას ფიქრობ იუმორზე პოეზიაში?

ბ. პ.: გეთანხმები, რომ იუმორი ინტელექტის უმაღლესი დონის გამოხატულებაა. რთულ სიტუაციაში უფრო იოლია ყვირილი, ვიდრე სიცილი. ერთხელ, ერთმა შვედმა პოეტმა, რომელსაც მოსწონდა ჩემი ლექსები, მითხრა, რომ მისი - აზრით ჩვენ ყველა უნდა ვწერდეთ გაცილებით ბნელ - პოეზიას, რათა ელიტა კომფორტულად ვერ გრძნობდეს თავს. მე ვუპასუხე: პოეზია ვერ შეძლებს ამის გაკეთებას, თუკი საგანთა ტრაგიკულ და იუმორისტულ ბუნებას ერთდროულად არ გამოხატავს. მე მომწონს ამ ორის კომბინაცია, დაძაბულობა ამ ორს შორის.

შ. ი.: როგორი ენაა სლოვენიური? რა არის მასში განსაკუთრებული, თავისებური, ჯადოქრული? შენ იცი რამდენიმე ენა ღრმად. საინტერესო იქნება, თუკი სლოვენიურს სხვა ენებს შეადარებ.

ბ. პ.: სლოვენიურ ენაში ძალიან საინტერესო თვისებები აქვს გრამატიკულ მახასიათებლებს – ზმნებს, არსებით სახელებს, ნაცვალსახელებს. მაგალითად, ჩვენს ენაში ერთმანეთისგან განსხვავდება საუბარი ორ ადამიანსა და სამ ადამიანს შორის. სატრფიალო პოეზიის წერისას ყოველთვის ჩანს, რომ საუბარია ორ პერსონაზე, და ეს არ შეიძლება ეხებოდეს, ვთქვათ, მთელ კაცობრიობას. ეს თვისება არსებობდა ძველ ბერძნულში, ჰომეროსის ეპოქაში. არსებობს ზოგიერთ ენაში, მაგრამ ენების

უმრავლესობაში, თარგმნისას ძნელია ამ განსხვავების გადმოტანა. ზოგადად, სლოვენიური არის სამხრეთ-სლავური ენა, და ყველაზე მეტი მსგავსება აქვს სერბულთან და ხორვატულთან (და ხორვატულთან ერთად, მხოლოდ ის იწერება ლათინური შრიფტით), მაგრამ საკმაო განსხვავებებიცაა მათ შორის. იმდენად, რომ სლოვენიური სახელმწიფო ძირითადად ენობრივმა ცნობიერებამ ჩამოაყალიბა. მასზე ძალიან იმოქმედა გერმანულმა სინტაქსმა, 500 წლიანი ავსტრო-უნგრული კოლონიალიზმის პერიოდში. რამდენადაც ჩვენ გვაქვს ბევრი გერმანული სიტყვა, იმდენად არა გვაქვს თურქული სიტყვები, რომლებიც ჭარბობს სერბულ და ბოსნიურ ენებში. მე ვთარგმნი სლოვენიურ პოეზიას ფრანგულად და აქედან გამომდინარე, ვგრძნობ დიდ ნაპრალს ამ ორი ენის «გენიას» შორის. განსაკუთრებით მაშინ, როცა ვცდილობ გამოვხატო ზმნის ნიუანსები. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, სლოვენიურიდან მთარგმნელები იმავე პრობლემებს აწყდებიან, რომელსაც რუსულიდან მთარგმნელები, რადგანაც ფრანგებს აქვთ გაცილებით მეტი მანერული და სასაცილო იდიომატური გამონათქვამები.

სლოვენიურ ენაში საკმაოდ ბევრი დიალექტია. განსაკუთრებით საინტერესო და ძალიან ძველია რეზიას დიალექტი სლოვენიის დასავლეთ საზღვართან, რომელიც ამჟამად იტალიის ტერიტორიაზეა, ფრიულის რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ სლოვენიური მუდამ პატარა ენა იყო, ის ერთ-ერთი პირველი ენაა, რომელზეც ითარგმნა ბიბლია. ეს მოხდა რეფორმაციის პერიოდში, მე-16 საუკუნეში, 1551 წელს. ამ ენის არსებობის ნიშნები მე-10 საუკუნიდან ჩანს. გამომდინარე იქიდან, რომ მხოლოდ 26 წელია, რაც გვაქვს დამოუკიდებელი სახელმწიფო, ჩვენი ენა უნდა ყოფილიყო გამძლე, რათა რომელიმე სხვა

ინსტიტუციის გარეშე გადავრჩენილიყავით. გარდა ამისა, ჩვენს პატარა ენას, გარშემორტყმულს ბევრი ენით, ზოგადად, აქვს განსაკუთრებული დამოკიდებულება თარგმანის ფენომენისადმი: მე ვფიქრობ, ეს პატარა ენების ინტელექტუალური სტრატეგიაა თავის გადასარჩენად. წარსულში, სლოვენიელი ხალხისთვის ენას, პრინციპში, ტრანსცენდენტული მისია ჰქონდა და პოეზიაც ძირითადად ამისკენ იყო მიმართული. მაგრამ დამოუკიდებლობის პერიოდში ეს საპატიო მისია გაქრა და ენა ნაკლებად ტრანსცენდენტული გახდა, მიწაზე დაეშვა. შესაძლოა მეც ყოველივე ამის ნიმუშს წარმოვადგენ: აბსტრაქტულისა და კონკრეტულის ნაზავს.

შ. ი. და მშვენიერ ნაზავსაც. ნაზავს, რომლის პოეტიკასაც უცხო, ჩინებული გემო დაჰკრავს.

P. S. მიუხედავად იმისა, რომ ბარბარამ თქვა, არ მიყვარს საკუთარი ლექსების კომენტირებაო, თარგმანებზე მუშაობის პროცესში ის რაღაც ნიუანსებს და კონტექსტებს გვინმარტავდა. საბოლოოდ, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, ეს განმარტებები ლექსებისთვის დაგვერთო, რაზეც ის სიამოვნებით დაგვთანხმდა.

ლექსები

თარგმნა დალილა გოგიამ

გოგრები მინდორში

ღამესთან არეული დილის ჭვარტლი.
მატარებელი ზაფხულის გადამწვარი მინდვრებიდან
კივილით მოჰქრის.
სიმშვიდით სავსე გოგრები ჰორიზონტზე გაწითლებული
მზის ქვეშ წვანან.
თაღებქვეშ, თავგადახდილ ცისფერ მანქანაში,
მერყევი ანგელოზებივით ვსაუბრობთ ჩვენ.
მსუბუქი სიო ნაღებივით ათქვეფილ ღრუბლებს ერეკება
ჩვენ თითებს შორის.
ვარსკვლავები თავზე გვაბიჯებენ,
როცა არგუმენტების უხეშ საწოლზე ვწვებით.
ღამე თაღებქვეშ შავ ფაფარს იბერტყავს და გზას მიუყვება.
ლუბლიანას ქუჩებში ფასადებიდან ქვის პატარა ვაშლებს
ვიღებ და ვჭამ
და ქარი ანგელოზის ცრემლებს ისე იტაცებს, თითქოს
ქვიშის მარცვლები
ყოფილიყოს, და გასაყიდად სუპერმარკეტებში
მიაქროლებს.
ზღვა დუდუნებს შენი შიშველი წელის ირგვლივ,
რომელიც მას უფლებას აძლევს, მხოლოდ სიტყვებით
მოეხვიოს.
გოგრები მინდორში წვანან.
ზაფხულმა თავისი ნაყოფი მშვიდ სუფრებზე დატოვა,
მოკრძალებული ორმოები დროის სქელი ჯავშნის ქვეშ
ჩამალა.
მზე ხელით წვდება ტყეს,
მატარებელი წამით გვერდზე იხედება, ლიანდაგებს იქით.

Fauteuil à queue de poisson

[1]

ზღვის ქვეშ.
ზღვის ქვეშ.
დაღარული პეიზაჟის ხორკლიან ფსკერს
შეიგრძნობ მზერით, რომელიც სწრაფად გაივლის ქალაქს,
ნარინჯისფერ სიტყვებს და ნაგავს.
ყოველ დილით ამოდიხარ ხოლმე ზღვიდან და
შენი სხეულის ნაჭუჭი გიცავს.
ყოველდღიურად ვეება შხეფი ჩამოგირეცხავს მხრებიდან
დუმილს,
ჩაგიღვრის გულში, შიგნით მთელი დღით გამოგიკეტავს.
ყოველდღიურად ციფრთა ჟღარუნი
შენს მუცელში ამრგვალებს სივრცეს.
დღე გიხრჩობს სუნთქვას, მაგრამ გვიან ღამითაც კი
არ თანხმდები, ჩაიძირო ფსკერზე, როგორც რკინის
მონეტა.
ეს უხმო ფსკერი საზიარო ტომარაა,
მისკენ გავრბოდით.
შენ ზღარბი ხარ, ღრუბელასავით რბილი ეკლებით.
როდესაც იქ თვალებს ვახელთ, უკუნეთი დგას,
კანი გეხსნება ისე, როგორც კეფასთან ელვა
და მთელი სევდა გამოდის გარეთ,
თეთრ მუხლუხოდ იქცევა და
ზედ ნაზად გეკვრის.
ვეღარ სუნთქავ
და იღვიძებს დღე, უპეპლებო.

როცა სიჩუმე არაფერს ამბობს

ნამი, ნამი, შუბის ფორმის ფოთლებიდან
ნამი გვეცემა, მთლიანად გვფარავს.
გვიანი ბალახის ალესილი პირი ზღურბლზე,
თვალთა ნაკადი იღვრება ნამში.
როგორ არ ისმის ნამი
ჩვენს ყელში, არც გუბის შლამში.
რა მსუბუქს ვხდით
მიწის ჯავშანს, ცივსა და დამზრალს.
როგორ დავწრიტოთ მძიმე ღამე,
ცვარ-ნამს რომ ჯაბნის,
ხელები არ აქვს ნამს, ღამეს კი გზას უღობავენ
ჯოხები, ანკესის კაუჭები და შუბის წვეტები.

ნამი, ნამი ახლადგამოჩეკილი ბარტყივით რომ
უჩინარდება,
ღამეში თითქოს იმისათვის ჩასახლდა, რომ
უყუროს, როგორ ცხოვრობს სინათლე,
მანამდე, სანამ ხეობაში ჩაესვენება.

გაქცევა ფილმიდან

შონ პენი შეყვარებულია, მაგრამ კრედიტორები ჩნდებიან მის კართან.
შონ პენი ქუჩებში დარბის, მერე ტყეში, მაგრამ ისინი თავს არ ანებებენ და
კინომდეც მისდევენ და ეკლესიებამდეც.
ფატალურად ფეხშიშველი გოგო ფილმის განვითარებას აკვირდება.
შონ პენი დიდი ლიმუზინის წინ ზურგით დგას.
წელთან ორი რევოლვერი ულაპლაპებს, უცებ იღებს და ხელში ატრიალებს.
გოგონა ფეხშიშველი თვალებით მუცელში ნემსის ჩხვლეტას გრძნობს.
ქუჩაში ნაცრისფერი უბრალო ჟაკეტით დგას და გარს საოჯახო
კინოთეატრის ვიდეოფირები, დი-ვი-დი და ფილმები აკრავს –
აურაცხელი შეთავაზება, ქვიშა, რომელიც ფეხქვეშ იშლება.
მისი თვალების წყალში ჩაძირული, მაინც ხედავ გასროლას.
რაც შეეხება ტკივილს, ის საათები გრძელდება.

ეს ლექსი არის მცდელობა იმის ჩვენებისა, თუ როგორ აღვიქვამთ ჩვენ ისტორიებს და ფილმებს. ლექსში არის რეალური მსახიობის ცხოვრება (ამიტომაც მე მას კონკრეტული სახელი, შონ პენი შევურჩიე), და ამავე დროს როლი, რომელსაც ის თამაშობს ფილმში. ეს ორი ფიგურა ერთმანეთში ირევა, იხლართება. გოგონა, რომელიც უყურებს მას, შესაძლოა იყოს ფილმშიც, შეიძლება იყოს მსახიობის ცხოვრებაშიც და შეიძლება იყოს უბრალოდ ის

გოგონაც, რომელიც ფილმს უყურებს. როცა ის საკუთარ თავს აიგივებს იმ გოგონასთან, რომელიც ფილმშია, ის გასროლის შემდეგ გრძნობს ტკივილს. არის ეს რეალობა და რამდენად რეალურია ის ტკივილი, რომელსაც ის გრძნობს? მან შესაძლოა ვერ იგრძნოს ტკივილი, როცა უყურებს ფილმს, ოღონდ საკმაოდ მოგვიანებით. ეს ლექსი, პრინციპში, არის პასუხი კითხვაზე, თუ როგორია იმ საზოგადოების სახე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ: რატომ უნდა ვგრძნობდეთ ჩვენ რეალურ ტკივილს, როცა ტკივილი მხოლოდ და მხოლოდ ფიქტიურია? ზოგიერთმა კრიტიკოსმა ამ ტექსტს ბოდრიარისეული უწოდა.

პეიზაჟი მედუზით

მედუზა 90% წყალია,
მდუმარე ყელით.
სასარგებლო სოკო კომბუჩა წყალში იზრდება.
არავინ შემამზადა საიმისოდ, რომ ამ გამომშრალი,
წითელრგოლებიანი ყელისთვის გადამებიჯებინა,
სადაც კეთილ ბაქტერიას უნდა გადავწყდომოდი, და დამიჯერეთ,
ვიდრე ღამე ჩამოწვება, გამზირზე ხეები ძალიან მაღალი ჩანს,
და, დამიჯერეთ, ხანგრძლივი და უიმედო
ლოდინიც გავა, თითებს შორის აბრეშუმივით უხმოდ გასრიალდება.
ერთ წამში, ბიჭი ჩემი ხელების წინ
შიშველი აღმოჩნდება, პროჟექტორები
პირდაპირ ჩვენ მოგვანათებენ, და ჩვენც მედუზებივით დავდუმდებით.
ბინძური წყალი წვენსაწურში ჩხრიალებს,
რამდენი თეთრეული გაირეცხა,
ყელმა კი სიწითლე ვერ მოიშორა.
ყელის რგოლებს ცნობისმოყვარეობა კლავთ,
კოცნის გამო ხომ არ ხდება ეს ყველაფერი.
ყველაზე რთული პეიზაჟის შეცვლაა.
და მაინც, ყველამ უნდა მოისმინოს ამბავი
ხეებისა და პეიზაჟისა,
მედუზით ყელში.

ჰოლოგრამა

ჩვენს ნავებს თავზე ადგას თაღი მრავალი ფენით.
ზეცის კიდის ბარელიეფს ვეხებით და ვგრძნობთ მის
სიღრმეებს.
ამ წამს კი ცის სხვა კამარები კანს იცვლიან
მხურვალე მზის ქვეშ. ხელისგული
ზღვის ჰორიზონტის ხაზზე ძევს მშვიდად.
ყვავილივით იხსნება თავი კოცნის მომენტში
და მის ჯამში ყვავილის მტვერი
თაღების ახალი და უსასოო კიდეების
კონტურებს ხაზავს.

ჩაძირული ყურძენი

Eux, comme un vil sursaut d»hydre...
Mallarmé, Le Tombeau d»Edgar Poe

სამყარო ირწევა გადატვირთულ ფირფიტაზე
და ყველა, ვისაც მაგიდის საყიდელი ფული არ აქვს,
ყურძნის მწიფე მარცვალივით აქეთ-იქით დასრიალებს.
ხვალ უკვე გვიანი იქნება, ნახო,
თუ რა საუზმე მოგვიმზადა ქაღალდის ომმა.
ენა გრძელი გვაქვს, უსასრულო,
უწყინარი გველი დახვევია ყველა მხრიდან
ჩვენს შემწვარ თუ შეუმწვარ ხელებს,
პურის ნატეხებს შორის გზას მიიკვლევს
და გიკვირს, შიმშილს გარეთ გარეთ ჩაძირული კაპიტანი
აქ ბრძანებებს როგორ იძლევა.

ეს ლექსი მსოფლიოში არსებულ სოციალურ განსხვავებებს ეხება. ხშირად, გაჭირვებული ადამიანები უთქმელები და თავმდაბლები არიან. ხშირად ისინი სულიერ საზრდოზე უფრო მეტად ფიქრობენ.

ლექსი არის სტეფან მალარმეს ლექსის, «Le tombeau d»Edgar Poe» პერიფრაზი, რომელშიც პოეტი ედგარ პოს პოეტურ ენას მაღალ შეფასებას აძლევს და იცავს მას. ის ედგარ პოს საზოგადოებისთვის მიუღებელ ქცევებზე ჭორაობას ადარებს გველურ ღვარძლიან ენას, და მიანიშნებს, რომ ის, ვინც მას ცუდად მოიხსენიებს, ვერ წვდება მისი დიდებული ხმის ჟღერადობას.

სტიქიები

ეს ლექსი ულისეს (ოდისევსის) ბოლო მოგზაურობის პერიფრაზია. Ultima Thule ქვეყნის დასალიერს ნიშნავდა, ის მითიური ადგილია, მიჯნაა, სადაც მთავრდება ანტიკურ ხანაში ცნობილი სამყარო. ბერძნული მითოლოგიის თანახმად, «ოდისეას» გმირები, ითაკაში ჩასვლის შემდეგ, ისევ გრძნობდნენ დაუძლეველ სურვილს, ახალი ადგილები აღმოეჩინათ და ამიტომ, თავიანთ ბოლო საზღვაო მოგზაურობაში გაემგზავრნენ, რათა ქვეყნის კიდე ენახათ. ამ ლექსში, მე მათთან ერთად გემზე მოგზაურ ქალებსაც ვხედავ. ლექსი ერთი წყვილის შესახებ საუბრით მთავრდება და იმაზე მიანიშნებს, რომ ახალი სამყაროს აღმოჩენა ორივეს, ქალსაც და კაცსაც ერთნაირად სურს და წყვილი ყოველთვის იკვლევს, სად სრულდება მათთვის ერთმანეთში უკვე აღმოჩენილი სამყარო.

ბოლო სტრიქონში პარადოქსული დროის ორმაგი მნიშვნელობაა მოცემული: Ultima Thule «ისე ახლოს» იყო, და ისე შეუყვარდათ იგი, რომ მასზე ფეხიც არ დაუდგამთ, და ამავე დროს, შესაძლოა, ამ მიწამდე უკვე მიაღწიეს კიდეც. აქ მკითხველი წარმოსახვას უნდა მიენდოს: წარმოიდგინოს, როგორი გრძნობაა, როცა უკვე იქ ხარ და ამავდროულად ჯერ იქამდე არ მიგიღწევია. ჩემი აზრით, ლექსები ზოგადად ასე იკითხება – მკითხველი კონკრეტულ ამბავსაც კითხულობს და აქვეა ამბავიც, რომელიც არც ზუსტადაა განსაზღვრული და არც დასრულებულია. ყველაფერი მკითხველის აღქმაზეა დამოკიდებული.

წითელი წყალი

ხომალდი შეაკეთეს, წითლად შეღებეს, აი, ისიც...
გემბანიდან
ზღვაში ვხტები, ვყვინთავ, ვცურავ, ჯერ ერთ ხელს ვუსვამ,
მერე მეორეს.
ზღვის ნაპირას, ძვალივით მყიფე სასახლეში,
სადაც ფარდები ლიმონივით დღის თაღქვეშ ირხევა,
პალატა დავდგით,
წითელი გემის თვალებში სისხლი
წყალს წითლად ღებავს. ხოლო გემი თავის წყლის კისერს
ღუნავს, როცა პორტში ბრუნდება.

წყვილი სეირნობს ზღვის ნაპირთან, ზღვა არის თეთრი,
აქვს ხორკლიანი ზედაპირი, და ისინი ეხებიან თითებით
ხორკლებს,
ლიმონივით დღის სიფრიფანა თაღების ქვეშ კი
მყიფე თოვლი ნაოჭებად ატყვია წყლის კანს.

რა ახლოს იყო Ultima Thule[2],
ერთმანეთი რომ შეუყვარდათ.

წნული

გულში მძიმე მახვილი გველის, ხოლო მთებზე
დიდი თოვლი დევს: იქ დედები თავს მაღლა წევენ.
ტირიფს რომ ვჭრიდი, უნდა მეთქვა, თუ რა მოხდა ამ ჩემს სიზმარში.
გზას რანაირად იკვალავდნენ ის სიტყვები კალათისკენ,
ამ ტირიფით მოწნულისაკენ,
უნდა მეთქვა, რომ გონებაში ვწერდი ამ სიტყვებს,
და თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს გადამწყვეტ წერტილში დაიხოცნენ
ყველანი მზით გაჯერებულნი. თითქოს თავისი სურვილით მოკვდნენ
ამ სქელსა და სითეთრემდე გავარვარებულ სიბრმავეში.

აი, ეს არის ფორმის სიკვდილი; მის საზღვრებს გარეთ
სიყვარული ისეთი უნდა ვაღიაროთ, როგორიც არის.
ის მიაჭენებს ცხენს ცეცხლოვანი ქარიშხალივით. არ მიიხედო
იმ ჩენჩოსკენ, მას ფლოქვებქვეშ რომ უყრიან ეჭვიანები.

ფრანგმა ფილოსოფოსმა და ლიტერატურულმა კრიტიკოსმა, მორის ბლანშომ თქვა, რომ ყოველ ლიტერატურულ ნაშრომში არსებობს ცენტრალური, საკვანძო მომენტი. ეს მომენტი ისეთივე სახიფათოა, როგორც მზე, როცა ვინმე მასთან მიახლოებას მოინდომებს. ლექსი ეხება იმას, თუ როგორ უნდა მივიდეთ ახლოს ამ წერტილთან, და როგორ გამოვიდეთ იქიდან უვნებლად.

ამ ლექსში საუბარია საზოგადოებაზე, სადაც კაცი დომინანტია. კაცი თავისი ბუნებით მონადირეა და ამიტომ, ყოველთვის გამარჯვებისკენ მიისწრაფის, ხოლო იმ

საზოგადოებაში, სადაც კაცი დომინანტია, მონადირე ხდება საზოგადოებისთვის მისაბაძი მოდელი. თუმცა, ქალები კაცის ასეთ ქცევას უმწიფრობად აღიქვამენ. ამ ლექსში ასევე, დასმულია შეკითხვა: ოდესმე იქნებოდა თუ არა ომი, კონფლიქტები ქალის მოსაგვარებელი რომ ყოფილიყო. ამაზე მიანიშნებს ოქროს ვაშლი, რომელიც ბერძნული მითოლოგიის ალუზიაცაა. ტროას ომი ხომ ქალის გამო დაიწყო. და საერთოდ, ვინ არის ქალი – დედის ფიგურა (ხელშეუხებელი, ღვთიური) თუ ველური ცხოველი, რომელიც სიყვარულს ეძლევა?

ლითონი

ჩვენს გამარჯვებაში დაკონსერვებულები,
კონსერვებივით ვიცინით და ვიხსნებით,
დატენილი თოფის წინ კი მოულოდნელად ირემი
გადარბის.

ფლეშის ფონზე უძრავად დგას კაცი, დაბრმავებული,
ბავშვივით თეთრი.
სიტყვის უთქმელად, ის ტოტებს ერწყმის.

ვაშლის სქელ, ოქროს კედელს ვეღარავინ უახლოვდება.
მკლავები აწყდება ყველას, ვისაც ოქროს მტვრით
დაფარული ბავშვი ხელში აჰყავს.
და მეწამულ საღამოს ზარების საზეიმო რეკვისას
შიშის ჟრუანტელი უვლის იმას, ვინც ამ ღვთიური ბრინჯაოს
დედის
პირდაპირ დგება, დედის, რომელიც იმ დროს იხსენებს,
როცა სიყვარულს ეძლეოდა.

ეს ლექსი ხორვატიაში ომის დასრულების შესახებ დაიწერა. სამშვიდობო მოლაპარაკებები თამაშს ჰგავს, თუმცა, საშიშროება მშვიდობის დროსაც არსებობს. ლტოლვილთათვის მყარი მიწა ქრება და სიცოცხლე სიზმარს ემსგავსება.

ჰაერი

დღეს ევროპა მხოლოდ და მხოლოდ ცარიელი ოკეანეა
ერთი მუჭა ღრუბლის კუნძულებით, სადაც კოქტეილს
უზრუნველად ვწრუპავთ. მიწა არსადაა.
შეთანხმების მიხედვით, უმჯობესია, არ იყოს მიწა.
მწვანე ჭრიჭინობელას სიმღერას ამოფარებული ქალი
კენჭივით კონტინენტებს ნაზი მოძრაობით
ერთიმეორის მიყოლებით კრეფს.
სინათლის ნამცეცი ყელს უჩხაპნის.
მზიანი ქარი დაჰქრის იქ, სადაც ადრე მიწა იყო. მიწა გაქრა.
და მთელი ევროპა, მოჯადოებული, გარინდებულია.

ქალაქი და ლექსი

(ესე)

თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

რა შეუძლია ლექსს? სადმე, რამით თუ ძალგვიძს გავზომოთ მისი ზემოქმედება, ან რა მოვუხერხოთ მის გამოუსადეგობას? ამგვარ შეკითხვებს პოეტს ხშირად უსვამენ ისეთ საზოგადოებაში, რომელიც ცდილობს, წარმატებულის სახელი დაიმკვიდროს, ანდა ისეთ საზოგადებაში, რომელსაც შინაგანი სიმშვიდე აკლია.

ლექსი გვიჩვენებს, უფრო სწორედ კი გვიდასტურებს იმას, რომ ადამიანის სული მოჯადოებულია, გარკვეული დროის შემდეგ კი ივიწყებს ამ მოჯადოებულობას, მაგრამ სრულიად მოულოდნელ მომენტში ეს მივიწყებული რაღაც ძალას კვლავ ზედაპირზე ამოაქვს. ზოგიერთი კორპორატიული კომპანია მსგავსი ეფექტის შესაქმნელად თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებს, თუმცა ეს მასებზე გათვლილი, არაინდივიდუალური მოვლენაა; აქედან გამომდინარე, მოჯადოების ეს მეორე ხერხი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის სულის დამონების ვერაგული ხრიკი, მაშინ, როდესაც პოეზია სრულიად საპირისპიროს სჩადის: ის ადამიანში რომელიღაც ნაწილს ათავისუფლებს, საკუთარ თავს აპოვნინებს და პიროვნებად შეაგრძნობინებს. ეს მიკრომასშტაბი – ცალკეული პიროვნება, რომელიც საკუთარი თავის

შეცნობას ახორციელებს – მომავალში მთელი კაცობრიობის ბედს გადაწყვეტს და, შესაძლოა, მისი გადარჩენის საწინდარადაც კი იქცეს.

მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობის გადარჩენასთან პოეზიის დაკავშირება შეიძლება მეტისმეტად გაბედული მოგვეჩვენოს, ერთი ცხადია: კაცობრიობა ვეღარ განაგრძობს ისეთ არსებობას, რომლის მთავარი აზრიც მატერიალური ფასეულობების ხარჯვა და ნარჩენებით გარემოს დაბინძურებაა, ხოლო თანამედროვე ტექნოლოგიები თითქმის მთლიანად გვითავისუფლებენ იმ დროს, წინათ სამუშაოს რომ ვანდომებდით. ჩვენს ეპოქაში, რომელიც ეკოლოგიური საფრთხითა და ჭარბი მოსახლეობის პრობლემითაა აღბეჭდილი, იმ პიროვნებამ, რომელიც სრულად აცნობიერებს იმას, რომ სხვა ცოცხალ არსებებთან თანაარსებობა უწევს, ყურადღების დიდი ნაწილი აუცილებლად უნდა მიაპყროს სულიერ პრობლემებს და ისიც უნდა შეძლოს, რომ სხვასაც გაუზიაროს თავისი სულიერი სფერო, როგორც ადგილი, სადაც არ ხდება გარემოსადმი ზარალის მიყენება. ეს ზარალი, რომელიც ლოგიკურად ახლავს თან მოსახლეობის უპრეცედენტო მატებას, განსაკუთრებით ქალაქების მოსახლეობის ზრდას, სადაც საკვები პროდუქტები მზადდება და მათ შეფუთვას უამრავი ქიმიური ნარჩენის გადაყრა მოჰყვება, ეპოქალური კატასტროფით ემუქრება ჩვენს პლანეტას, სადაც ადამიანი სხვა ცოცხალ არსებებსა და ბუნების ელემენტებთან თანაარსებობს.

და ამ პირობებში რა შეუძლია ლექსს? რა შეუძლია ერთ ცალკეულ პიროვნებას? ამბიციური ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ხარბი ინდუსტრია ყველა ღონეს ხმარობს საიმისოდ, რომ გავლენის ქვეშ მოაქციოს მატერიალურ

ფასეულობათა მომხმარებელი ერთფეროვანი, პასიური მასა, რომელიც უკვე მილიარდობით აღირიცხება, თუმცა უმარტივესი მათემატიკური ლოგიკაც კი ცხადჰყოფს, რომ ხანგრძლივად ან, თუნდაც, დროის საშუალო მონაკვეთზე, კაცობრიობის ასეთი მატება არამხოლოდ ირაციონალურია, არამედ, უბრალოდ, სრული სიგიჟეა. გარემოს დაბინძურების ვერგაკონტროლების საფრთხე ჭარბად დასახლებულ პლანეტაზე სრულიად რეალურია. არსებობს წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, მუდმივი მატების კანონსა და იმპერატივს და, მეორე მხრივ, განმარტოებისაკენ იმ სწრაფვას შორის, რომლის ილუზიასაც დაგროვებული სიმდიდრე გვიქმნის. ხალხით გადავსებულ ქალაქებში ეს განმარტოება მხოლოდ ვირტუალური რეალობების მეშვეობით მიიღწევა. მატერიალური მატების შედეგია სიმდიდრის ნაცვლად გადატვირთული ქალაქები, გადატვირთული ცა, გადატვირთული ტვინები.

ვირტუალური რეალობები წარმოსახვას საჭიროებენ, ამიტომ, საფიქრალია, მათ ლიტერატურას მიმართონ. ამგვარად, ლიტერატურა – რაღაც სრულიად არამატერიალური – შეიძლება მატერიალურ ვალუტად იქცეს. ვირტუალურ რეალობად ქცეული წარმოსახვითი იდეების კომერციული და მასობრივი გამოყენების უკვე მრავალი მაგალითი გვაქვს, რადგან ვირტუალური რეალობა გადატვირთულ საზოგადოებაში არსებობის ერთადერთ საშუალებად გვრჩება. სულიერი და, ამგვარად, რამდენადმე ვირტუალური ცხოვრების მოთხოვნილების თვალსაზრისით არსებობს განსხვავება ამ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი მასობრივი პროდუქციის ნიმუშებსა და შემოქმედების იმ დიდოსტატურ, გამორჩეულ და განუმეორებელ ქმნილებებს

შორის, რომლებიც ლიტერატურის მარგალიტებს წარმოადგენენ. თუკი ვირტუალურ სფეროში დავრჩებით, ლექსიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც რაღაც ვირტუალური, ამ სიტყვის აღმატებული გაგებით, იმ განსხვავებით, რომ მისი გამგები იშვიათია. ლექსის ვირტუალური თვისება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მისი საზრისი არასოდესაა მარტივი, ცალსახა და სწორხაზოვანი. ლექსს უნდა მოეძებნოს ენობრივი ფორმა ისევე, როგორც ვირტუალური ფორმა; ეს იმგვარი ენა უნდა იყოს, რომელსაც საბოლოოდ დასრულებული მნიშვნელობა არ გააჩნია; ნებისმიერ მკითხველს უნდა შეეძლოს, ლექსის მნიშვნელობა განსხვავებული კუთხით დაინახოს, ახალი გეზი მისცეს, ახალი სიცოცხლე შთაბეროს: დიდი სიამოვნებით ვუყურებ ლექსს, როგორც საზრისთა კალეიდოსკოპს: თუკი მინას შეატრიალებთ, ის სრულიად ახალი წახნაგით შემოგვიბრუნებს საზრისს. პოეზიად წოდებული ესა თუ ის ტექსტი ისეთი უნიკალური ქმნილებაა, რომელშიც დრო, ერთი მხრივ, მაქსიმალურადაა შემჭიდროვებულ-კონცენტრირებული და, ამავე დროს, უსასრულოდ განგრძობადია. სადმე სხვაგან აუცილებლად განვავრცობ ამ მსჯელობას დროის ფენომენზე და ამ თვალსაზრისით პოეზიას შევადარებ სხვა სულიერ პრაქტიკებსა და შემოქმედების სხვა დარგებს, მათ შორის, მხატვრობასაც.

პოეზია წყლად გარდასახული სინათლეა, როგორც გაბრიელ გარსია მარკესის მოთხრობაში «სინათლე წყალივითაა», სადაც ბავშვები პატარა ბინაში ნავით მოგზაურობენ და სინათლის სხივებში ყვინთავენ, რადგან ზღვაზე გამგზავრება არ შეუძლიათ. მიყვარს ამ სახის თხრობა, როდესაც ესა თუ ის მოვლენა პირველ რიგში იმიტომ ხდება, რომ მას ენა ხდის შესაძლებელს. პოეზიაც,

ზუსტად ასევე, ის საშუალებაა, რომელიც ადამიანს იმდენსავე სიამოვნებას ანიჭებს, რამდენსაც რეალური ცხოვრება. როდესაც გვესმის მსგავსი ფრაზა: «სინათლე წყალივითაა», ვხვდებით, რომ ის შეიძლებოდა მხოლოდ პოეზიის სახით დაწერილიყო, ამგვარად, პოეზია, თუკი მას სულის კარს გავუღებთ, უნიკალურ გამოცდილებას გვანიჭებს და სიცოცხლის გადარჩენაც კი შეუძლია, რადგან ყველაფერი ენისა და მისი შესაძლებლობების ფარგლებში ხდება. როდესაც ცხოვრება მეტისმეტად ტლანქია, განსაკუთებით ისტორიული განსაცდელის პერიოდებში, ადამიანი თავს აფარებს პოეზიას, როგორც მართლაც ერთგვარ ვირტუალურ რეალობას.

თუმცა მაშინ, როდესაც ბევრი ადამიანი ვირტუალურ სინამდვილეზე დამოკიდებული ხდება, ჭეშმარიტი სინამდვილე კი ავიწყდება, პოეზიას, ვირტუალური სინამდვილისაგან განსხვავებით, ერთი შეზღუდვა ახასიათებს: გამორიცხულია მისი ინდუსტრიული «წარმოება» (როგორც, თუნდაც, კომპიუტერული თამაშებისა) და მას მატერიალური მოგება არასოდეს მოაქვს. ამ მხრივ პოეზია «სუფთაა». იქნებ ეს მრავალი ვირტუალური წახნაგის ხარჯზეა შესაძლებელი, რომლებიც სინამდვილეს აკეთილშობილებს, მაშინ, როდესაც სხვა ვირტუალური რეალობები, პირიქით, სინამდვილის განზომილებების გამარტივებასა და დაკნინებას ახდენს. მასობრივი პოეზია ან ილუზიაა, ან სიყალბე. ამგვარად, პოეზიას, როგორც სულის «ბუნებრივ» მუხტს, ბევრად უფრო მეტად შესწევს განკურნების უნარი, ვიდრე კომერციულ ონლაინ-თამაშებს.

რატომაა ასე? «იქცე დუმილად, / ხმაში რომ ჩამალულა, / ანდა იყო აქ, / ბორბლების კვალში, / იყო ის, / ვინც საკუთარ სახეს წყალს აწვდის / და ამით პოულობს», – ასე

გამოთქვამს ამ აზრს ფრანგი პოეტი ტიერი მეტცი. პოეზია შემოქმედების ყველაზე სუფთა ჟანრია სწორედ იმიტომ, რომ ამ დუმილის შესაძლებლობას შეიცავს, დუმილი კი, თავის მხრივ, ამქვეყნად ყველა შესაძლებლობისა და უშრეტი პოტენციალის შემცველია. ლექსი თავისთავად მთელი ქალაქია. თუნდაც უკიდურესად მოკრძალებულად ეჭიროს თავი, ლექსი მაინც უწევს წინააღმდეგობას ველურ სამყაროს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კაცობრიობა სრულიად დაიცლება პოეზიისაგან, შეიძლება, ვამტკიცოთ, რომ «ვაი ჭკუისაგან» დაგვემართა, ანდა რომ მექანიზმებად ვიქეცით, ეს კი კაცობრიობის ნელი თვითგანადგურება იქნება: ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანური არსის დვრიტა სრულებით დაშრა და მასში სულის დასარწყულებლად ერთი წვეთი წყალიც კი აღარ არის.

მოგზაურობა ზ.-ში

თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

ვერც კი გავაცნობიერე, როგორ მოხდა, რომ ერთ წვიმიან ღამეს ლიუბლიანაში, უამრავი სასმელის, სიგარეტის, ცეკვისა და უსასრულო საუბრების შემდეგ როგორ ამოვყავი თავი სამგზავრო პორტში, რომელიც თეთრი გემებით ისეა გამოტენილი, როგორც თუნუქის ქილა – სარდინით. მზის კაშკაშა სხივებქვეშ ქვა და ბეტონი ერთურთს ენაცვლება. თითის წვერებზე ვდგები, თვალს ვარიდებ და გავურბივარ ბიჭს, რომელიც სამსართულიან სამგზავრო იახტაზე ცხოვრობს (იყო დრო, როცა ასეთებს თვითონვე დავდევდი). მაგრამ უეცრად, როგორც ჩანს, რაღაც ხდება, ის მექანიზმი გამოდის წყობიდან, გემის ვეება რკინის პირის გახსნას რომ უზრუნველყოფს – იმ პირის, მანქანებს თევზებივით რომ ყლაპავს, – ამ ხარვეზის შედეგად მეც მანქანებთან ერთად შევდივარ შიგნით, რამდენიმე შედარებით ვიწრო კარს გვერდით ჩავუვლი და საბოლოოდ ნიჩბებიან პატარა ნავზე ამოვყოფ თავს.

მალევე ვხვდები, რომ ეს მაშველი კანჯოა. და რომ ვიღაცის სიცოცხლეს შველა სჭირდება. უცნაური თანხვედრაა: კანჯო მიუბმელია, და, მიუხედავად იმისა, რომ ზღვა თითქოს მშვიდია და ცაც უღრუბლოა, დინებას ის გემისაგან შორს მიაქვს. ფიქრის დრო აღარ არის. მხოლოდ გემს კი არ ვცილდები, არამედ ნაპირსაც სულ უფრო ვშორდები. ეს განცდა იმ სხვა განცდას მაგონებს, როდესაც ცრემლი ღვარად მოედინება. ცრემლის ამ ნიაღვრების მოვალეობაა, ერთურთთან ის ხმები დააკავშირონ, რომლებიც ვიღაცამ ნაძალადევად გააცალკევა.

გამალებით ვეძებ ჩემს მობილურ ტელეფონს, მაგრამ, ვიდრე გემს ხმას მივაწვდენ და მომხდარის შესახებ შევატყობინებ, ზედა გემბანზე კაპიტნის თეთრქურთუკიან ადამიანს ვხედავ (ვერაფრით დავადგინე, ნაცნობია თუ უცნობი), რომელიც მეძახის: «არ იდარდო, ერთმანეთს ზ.-ში შევხვდებით!» მისი სიტყვებიდან გამომდინარე, ზ.-ში გამგზავრება რაღაც ისეთივე თავისთავად ცხადი უნდა იყოს, როგორც საღამოობით ტახტზე ჯდომა, თანაც ამ სიტყვებში ისეთი უეჭველი ცოდნა იგრძნობა, თითქოს ამ კაცმა მერიდიანებითა და სხვა კოორდინატებით წინასწარ გამოთვალა ის დრამატული შემობრუნება, მოგზაურობისას რომ უნდა მომხდარიყო. ის მხოლოდ წამით ჩნდება, მაგრამ მის ხმაში ისეთი დარწმუნება ჟღერს, უცნაურად რომ მაგონებს ნავის სქლად დაგრეხილ ბაგირებს. წყლის ერთი შხეფიც კი ვერ მისწვდება იმ სიმაღლეს, საიდანაც მისი ხმა მაშველი კანჯოსკენ ჩამოღწევას ცდილობს. კანჯო იმდენად სწრაფად მიჰყვება ტალღებს, რომ ის ჩემს ვერცერთ სიტყვას ვერ არჩევს. მთელი მისი იერი მზის ფარფლებიანი ქუდის ჩრდილით შექმნილ ილუზიას ჰგავს. მისი ტანისამოსი ისე თვალისმომჭრელად ქათქათებს, თითქოს საცაა, შუქმა მთლიანად უნდა შეისრუტოს.

მომდევნო სცენაში სწრაფ დინებასთან შერკინება მიწევს, რადგან ერთბაშად ზღვიდან მდინარეზე აღმოვჩნდი. ჩემ გარდა კანჯოში სხვა მგზავრებიც სხედან, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ყველანი ერთად, მოუქნელად ვუსვამთ წყალს, ოფლიან ხელებს, დინებას მაინც ვერ ვერევით. დინება კანჯოს რიყის ქვებს ახლის, მისგან გატაცებულნი გვერდს ვუვლით შარაგზას, სხვა ქალაქებისკენ მიმავალ რკინიგზას, სველი ფოთლებით დახუნძლული დრეკადი ტოტები სახეში გვეხლება, მდინარე მაღლა-მაღლა იზვირთება, თვალებში ქვიშას გვაყრის. ზოგიერთი ჩემი თანამგზავრი ნაკლებად დრამატულ მომენტებში იმაზე მსჯელობას განაგრძობს, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ, არადა, ინტუიცია მკარნახობს, რომ მათი სიტყვები მეტწილად ამაო ბჭობაა. და როდესაც დინებას ქვის რომელიღაც ხიდის ქვეშ გავყავართ, რომის იმპერიის ეპოქაში აშენებულს რომ ჰგავს, გასაგები ხდება, რომ ხიდის იქით დინება სულ სხვა მხარეს გადაგვახვევინებს.

როგორც იქნა, უფრო მშვიდ წყლებში შევდივართ, ნაპირთან მისვლას ვახერხებთ და მყარ ნიადაგზეც გადავდივართ. ნიჩბები დაგვემტვრა და სწორი მიმართულებაც საბოლოოდ დავკარგეთ. ტანისამოსიდან მდინარის ქვიშას ვიბერტყავთ, ათინათები წყალზე ბზინავს რუხი ღრუბლების ქვეშ, რომლებს შორისაც ირიბად ატანს კაშკაშა სხივები. ყველა ძირითადი მიმართულებით ვიყურები: გადარჩენილთაგან თითოეული საკუთარ გზას უნდა დაადგეს. ამავე წამს ვხვდები, რომ ქალაქი, სახელწოდებით ზ. იმ მხარეთაგან არცერთში არ მდებარეობს, საითკენაც სხვები იშვერენ ხელს. უბადრუკი ნავიდან ნაპირზე გადმოსული ეს ადამიანები, რომლებიც სულ მალე თავ-თავიანთ სახლებს მიაღწევენ, ლამის

ერთხმად ცდილობენ, საკუთარ სიმართლეში დამარწმუნონ. მშობლიური ადგილების სახელწოდებებში ეჭვი არ ეპარებათ და ამაში ვერც გავამტყუნებ. ნებისმიერი იმედი იმისა, რომ აქ ამ მიდამოების რუკა მოიძებნოს, უკიდურესად საეჭვოა. ჩემი დარწმუნების კეთილგანწყობილ მცდელობებში, რომლებიც იმ ადამიანთაგან მოდის, ცხოვრებაში მაინც არსად რომ აღარ მოუწევთ ჩემთან შეხვედრა, რაღაც მსგავსებას ვამჩნევ იმ ათინათებთან, რასაც ციდან ირიბად ჩამოსული სხივები ისვრის, ყოველწამს რომ შეიძლება შეიცვალოს მიმართულება. თუმცა გინდ მზე იყოს, გინდ წვიმა, ჩვენ ხომ ყველაფერი გვინახავს. სრულიად ვაცნობიერებ იმას, რომ ჩვენს მოგზაურობაზე საუბარს აზრი არ აქვს, არც მის დამოწმებას აქვს აზრი, მაინც არავინ დადის მთელ ამ ცარიელ მუზეუმებში, არავის მიაჩნია ისინი გარდასული დროის კულტურის ნიშნებად. უნივერსიტეტიც იმ გაღმა ნაპირზე დარჩა, რომელსაც მოვწყდით და რომლის მიტოვებაც არასოდეს მქონია აზრად. ავდრისწინა გაყუჩება უძლიერესად შეიგრძნობა.

ამ გაყუჩების წიაღში თვალწინ ერთი განგრძობილი წუთი მიდგას, როდესაც ვზივარ და კლავიატურას ხელით ვეხები. წერილი უნდა დავწერო, რომლის მიწერასაც მოგზაურობამდე შევპირდი ადრესატს. მაგრამ შეცდომით ვშლი მის სახელს, ისევ და ისევ. თითები კლავიატურაზე მიდევს და ჩემს თავს თვითონვე ვუშლი ხელს. ჩემი თითები ბოცვრებივით ცდილობენ ერთურთს გადაახტნენ, შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით თავშესაფრისკენ გარბიან.

ამ განმეორებული ხელმოცარვების შემხედვარე ვფიქრობ, რამდენად აჯობებდა, ეს საქმე ერთბაშად, სატელეფონო ზარით მომეგვარებინა. მიუხედავად ამისა, თუმცა უზომო

ცნობისმოყვარეობით დაველოდებოდი ყურმილში ხმის გაგონებას, მაინც ვერ ვბედავ იმაზე ფიქრს, რომ ამ ხმაში აღმოვაჩენდი იდუმალი ქალაქ ზ.-ს რუკას, ანდა რომ ეს ხმა, თავის მხრივ, აღმოაჩენდა რუკას იმ ბობოქარი წყლებისა, რომლებმაც თან წამიყოლეს.

ჩემი მოგზაურობა დასასრულს ფერხდება. გზისპირა სასტუმროში ვჩერდები ღამის გასათევად. სადღაც ჰორიზონტზე რაღაც საგანი მოჩანს, რომელიც ჩამავალი მზის ნათელს უერთდება. ეს შეიძლება ამოუცნობი მფრინავი ობიექტიც იყოს, ჩემ თვალწინ სწრაფად რომ უჩინარდება.

ამონარიდები

«ბარბარა პოგაჩნიკი თავის პოეზიაში კონფლიქტებს როდი გაურბის, თუმცა ის უფრო ადგილს დაეძებს ორი პოეტური მეთოდის შესარიგებლად, – იმ ადგილს, სადაც ცხადდება, რომ ენას მედალივით ორი მხარე აქვს და მისი ფაქიზი ბუნება მხოლოდ სარჩულია მისი ძლევამოსილებისა, გრამატიკითა და სინტაქსით რომაა წარმოდგენილი. ფაქიზი კავშირები, ემოციური ძაფები, რომლებიც ყოველწამს შეიძლება გაწყდეს – ამ ყოველივეს პოგაჩნიკი დისციპლინირებული ძალისხმევით პოეზიად აქცევს და პირველქმნილ ძალთა პულსაციით ჰარმონიაში მოაქცევს. მისი პოეზია პროვოკაციულად მოქმედებს: ის ფრაგმენტული დროის ისტორიაცაა და, ამავდროულად, საზრისის ტრანსისტორიული ძიებაც».

ალეშ დებელიაკი, სლოვენიელი პოეტი და ესეისტი, 2008.

«ბარბარა პოგაჩნიკის პოეზიას ბევრი რამ აქვს სათქმელი ზოგადად ქალისა და ჩვენი დროის ქალების შესახებ, რაც ზოგადი თუ პირადული ისტორიისაგან განუყოფელია; ეს ის ისტორიაა, თვით ქალში რომ განიცდის მარად განახლებას. ჩემთვის გადამწყვეტია ის, თუ როგორ მესაუბრება მისი პოეზია და არა ის, თუ რას მიამბობს: ის, თუ როგორ სახეებს ირჩევს პოეტი, რა მოულოდნელად და, ამავდროულად, რა ბუნებრივად აჯგუფებს სიტყვებს, თითქოს ისინი სულმუდამ ერთიმეორის გვერდიგვერდ იმყოფებოდნენ. აი, მოულოდნელობის ეს ელემენტია გადამწყვეტი და ჰარმონიული თანხვედრა მისი გამომწვევი მიზეზებისა – ეს ისაა, რაც ჩემს პოეზიაზეც ახდენს გავლენას. ცოცხალი მეტაფორა და მისი შინაარსის მარადცვალებადი კომბინაციები ამ პოეზიას ორმაგად ცოცხალს ხდის».

მაია ვიდმარი, სლოვენიელი პოეტი, 2014.

«ბარბარა პოგაჩნიკის პოეზიას თან ახლავს პოლ ვალერისეული ინტელექტუალური ნათელი, რომელიც ეგზისტენციური სიტუაციების ამსახველ კონკრეტულ მოტივებს ანათებს, და ამას სხარტი ენამოსწრებულობით კი არ სჩადის, არამედ იმ ფილოსოფიური ფონის შექმნით, რომელიც ადამიანის ტრაგიკულ გაუცხოებაზე მიგვითითებს, თუმცა ამ გაუცხოების პირობებშიც კი შესაძლებელია ემოციური კავშირის

დამყარება, აქაც შეიგრძნობა იმ მცირე დეტალების ფაქიზი მაჯისცემა, რითაც ყოფიერების ვრცელი და უწყვეტი სურათი იქსოვება».

ვენო ტაუფერი, სლოვენიელი პოეტი და მთარგმნელი, 2012.

«შესანიშნავი სლოვენიელი პოეტის, ბარბარა პოგაჩნიკის პოეზიას სხვა ღირსებათა გვერდით ისიც ახასიათებს, რასაც შეიძლება თანამედროვე მითოსური სიტყვის პირველქმნილი ძალა ვუწოდოთ. პოგაჩნიკი მკითხველს თავისი მშვიდი და დახვეწილი პოეტური თხრობით აჯადოებს, რომელიც ღრმა და დრამატული მიგნებებითაა სავსე. სინამდვილის ბილიკებზე სიზმარეული, თუმცა გაცისკროვნებული ხეტიალისას პოეტმა ამ სინამდვილის თითოეული კუნჭული შეისწავლა, ყველა რიყის ქვა გადააბრუნა; ის ზოგჯერ მოურიდებელიც კია, მაგრამ მაინც რჩება დაჟინებულ მეთვალყურედ. სწორედ ეს ანიჭებს მის პოეზიას იშვიათ ფასეულობას – საგანთა და ფენომენთა არსის გრძნეულ წვდომას. მის პოეზიაში ხშირად ვხვდებით მსოფლიო ისტორიის მტკივნეულ განცდას – იმ ისტორიისა, მომავალსაც რომ ჰფენს თავის შემზარავ ჩრდილს. თუმცა ამ მომავალში ისევე, როგორც ლექსში, ყველაფერია

შესაძლებელი, თუნდაც ის, რომ თევზი ქალაქის ტრამვაის საჭეს მიუჯდეს».

დორტა იაგიჩი, ხორვატი პოეტი და მწერალი, ევროპის თავისუფლების პოეტი, 2014.

«ბარბარა პოგაჩნიკის შემოქმედებას უბრალოდ სიმდიდრე კი არა, ჭეშმარიტი ხვავნიერება ახასიათებს; აღმოჩენათა ამ უსასრულო ამოფრქვევას შეიძლება ჰიპერმეტაფორულიც კი ვუწოდოთ. ცხენი საცხოვრებელ ბინაში, სანახევროდ ღილებშეხსნილი ხალათი, ყელში გაჩხერილი შალის გორგალი, ამოქნილი წარბი, ჩიტების აბრიალებული გუნდი; ყველა ეს შთამბეჭდავი სახე ბევრ სხვა ამგვართან ერთად შეიძლება ერთადერთმა ლექსმაც კი დაიტიოს.

ერთურთში გადახალართული, უშრეტი ენერგით დამუხტული იდეების ამ მორევიდან თვით სამყარო გვესაუბრება, – და მარადი ეგზისტენციური წნეხის ქვეშ ყოფნა, ნიადაგ ისე ცხოვრება, თითქოს «ყელში მედუზა გქონდეს გაჩხერილი», – ესეც გაცნობიერებული და განსჯილია, გულდასმით შესწავლას ექვემდებარება, დრო და სივრცე კი ბალანსიდან ჩამოყრილია და აღარ გამძიმებს. პოგაჩნიკის ლექსების ქალური ხმა თითქოს ზეპიროვნული სივრციდან ჩაგვესმის და არასოდეს კიცხავს იმას, რასაც ამხელს; ეს, ალბათ, ისაა, რასაც შეიძლება ამ ლექსების ზეგრძნობა (l'hypersens) ვუწოდოთ.

ბარბარა პოგაჩნიკი განაგრძობს სლოვენიური იმპრესიონიზმის ტრადიციას (რომელიც, სხვებთან ერთად, სრეჩკო კოსოველსაც უკავშირდება) და იმას განავრცობს, რასაც ტომაჟ შალამუნის (1941-2014) შემოქმედებამ ჩაუყარა საფუძველი, – ეს ევროპის ბაროკალური გულიდან ცამდე ამომსკდარი შადრევანია, შამპანურის ჭავლივით შუშხუნა

და ელვარე (ბუშტების მფრქვეველი შამპანური ხომ ბაროკოს სასმელია, როგორც ასეთი!)».

ალან ბორერი, ფრანგი მწერალი, პოეტი და ესეისტი, 2016.

«ბარბარა პოგაჩნიკის პოეტური ხმა მხოლოდ მის ლექსებში როდი სახლობს: ეს ხმა ფოსფორულად მანათობელი კვალივით უბრუნდება სლოვენიელი პოეტებს, მათი შემოქმედების მისეულ წვდომას. თუკი მის პოეზიას ფრაზა «ნაზი ინტელექტუალიზმი» შეესაბამება, ისიც უეჭველია, რომ ეს პოეზია უარს ამბობს ავტორიტარულ დისტანციაზე, რომელიც ხშირად სხვა არაფერია, თუ არა ფარული სილაჩრე, გარშემო სინამდვილის წინაშე შიშის არაღიარება. მის პოეზიას ის მდგრადობა და სულიერი გახსნილობა ახასიათებს, რომელიც აუცილებელია სამყაროსთან კავშირის შესანარჩუნებლად. და კიდევ ერთი რამ მეჩვენება მნიშვნელოვნად: ბარბარა პოგაჩნიკი თავის პოეზიაში ობიექტების მასიურ განადგურებას არ ახდენს, რის გამოც მის პოეზიაში სრულიად განსხვავებული ადგილები შემოდის – ის ადგილებიც, სადაც ბოროტი დაბუდებულა და ისეთებიც, შემზარავი ძალადობისა და მკვლელობის კვალი რომ ატყვია; ეს პოეტის დემოკრატიულ სულსა და პოეზიით გამობრძმედაზე მეტყველებს. მასთან ვერ ნახავთ იმ ინფანტილიზმს, ზოგიერთ სხვა ავტორთან უფრო დაკნინებას რომ ნიშნავს, ვიდრე წინსვლას. ბარბარა

პოგაჩნიკის პოეზია არ იცნობს puer aeternus-ის («მარადი სინორჩის») გაქვავებულ ცნებას».

მეტა კუშარი, სლოვენიელი პოტი და ესეისტი, 2012.

2. პოეზია

ნიკა ლაშხია

დედაჩემის ყვავილები

დიდი ხანია, რაც ჩემს სახლში
ინსულინის ნემსები ყვავილობს.
ისინი ფანჯრის რაფაზე ცხოვრობენ,
უჩვეულოდ სტაფილოსფერი თავთავებით,
ერთადერთი ეკალი აქვთ,
რომელიც ყოველდღე დედაჩემის კანში ესობა
(ეს დღეში სამჯერ ხდება).
ხუთი გრამი ინსულინი,
ათი გრამი ინსულინი,
თეთრი და მღვრიე,
წლების წინ ამღვრეულ ცხოვრებას მატებს
ელფერს და იერს...
ვერ ვიტან,
თუმცა მახარებს მათი ყვავილობა,
სტაფილოსფერი თავთავები,
სავსე შუშები,
ცარიელი შუშები
ფანჯრის რაფაზე ცხოვრობენ.
მათვის სულერთია მზის ამოსვლა და ჩასვლა.
ისინი პლასტმასის ყვავილები არიან,
მათთვის მთავარია, დედაჩემმა იცოცხლოს,
რომ განაგრძონ ყვავილობა...

გადარჩენის ინსტინქტი

როცა იელვა
და ცამ სხეული წამით მოიშიშვლა,
ონკანში დამხრჩვალ ტარაკანას ვაკვირდებოდი.
ის თეფშებს შორის უძრავად ეგდო,
ცა კი დროდადრო შიშვლდებოდა,
სამზარეულოს შუაგულში, მარცხენა მხარეს ვიდექი,
როგორც გაელვების მომლოდინე,
სასწაულის მომლოდინე,
სიცოცხლის მომლოდინე
და ვრწმუნდებოდი,
რომ ჩემ წინ მოტივტივე გვამი
ჩემი სახლის ბინადარი იყო,
რომელმაც სრულიად შემთხვევით თავს უშველა...

ტანსაცმლის ფლირტი

როცა თოკზე ვკიდივარ გასაშრობად
და მოპირდაპირე აივნიდან ქალის საცვალი მიმზერს,
მავიწყდება, რომ ვარ პერანგი,
და ხელებს ვიქნევ ყურადღების მისაქცევად,
თუმცა ამაოდ,
რადგან ჰალსტუხი კარადაში ისვენებს მშვიდად,
ვერ ვიშველიებ...

* * * (ფიქრობდა, როგორ გაეყო მზე სხვებისთვის...)

ფიქრობდა, როგორ გაეყო მზე სხვებისთვის
და ვეებერთელა ხედ იქცა,
მერე კი ამ ხეს,
როგორც წყაროს, აკითხავდნენ ადამიანები
და ტოტებიდან გამოჟონილ სხივებს ინაწილებდნენ,
საგზლად და წყურვილის მოსაკლავად.

* * * (კარდიოლოგმა ისე ცივად ჩამიარა...)

კარდიოლოგმა ისე ცივად ჩამიარა,
თითქოს ჩემს გულში არც ჩაუხედავს...

* * * (ეს ოთახი ჰაიკუსავით პატარაა...)

ეს ოთახი ჰაიკუსავით პატარაა,
მაგრამ დიდი ფანჯრები აქვს.

სექსი

ღრუბლებით სავსემ,
მოვიშველიე შენი ქარები,
დავღვარე წვიმა,
მზე რომ გენახა...

მოლოდინი

იმ ღიობებიდან ვიხედები,
რომ ვერ შეძელი ამოქოლვა და ღიად დაგრჩა,
თითქოს მიბიძგე სიცოცხლისაკენ...

დონორი

როცა ლიტერატურა სისხლში გაქვს გამჯდარი,
რა საჭიროა სისხლის საერთო ანალიზი,
თითზე ნემსის ჩხვლეტა,
როცა იცი, რომ იქიდან ლიტერატურული სახეები
გამოჟონავენ?!
რა საჭიროა გამოკვლევა,
სისხლის ჯგუფის დადგენა,
ლიტერატურის უარყოფით კონტექსტში განხილვა?!
რადგან საბოლოო პასუხი ყოველთვის დადებითია...
როცა ლიტერატურა სისხლში გაქვს გამჯდარი,
შეგიძლია ადგე და გადაუსხა მათ,
ვისაც ლიტერატურის ნაკლებობა დაუდგინდა...
ვისაც წვეთი ლიტერატურა არ აღმოაჩნდა.
მათ ძარღვებში ცარიელი ფურცლები მიმოდიან
და ტექსტებს ითხოვენ.
ისინი მზად არიან დაიბადონ,
ისინი მზად არიან იწამონ,
ისინი მზად არიან გადარჩნენ.
როცა ლიტერატურა სისხლში გაქვს გამჯდარი,
მკურნალი უნდა იყო,
რომ ისინი ლეთარგიული ძილიდან გამოიყვანო,
ყოველგვარი ქირურგიული ჩარევების გარეშე.
ადამიანი, შესაძლოა, იყოს ჯანმრთელი,
მაგრამ რთულია წინააღმდეგობების გადალახვა
ლიტერატურის გარეშე.
ამიტომ, როცა ლიტერატურა სისხლში გაქვს გამჯდარი,
აუცილებლად უნდა გახდე დონორი,
დონორი, რომელიც გადასდებს...

გელა ჩქვანავა

კორპუსის ეზოში ანუ გააგრძელე ეს ლექსი

ნარდს თამაშობენ მეზობლის კაცები
რომლებსაც არ სჯერათ რომ დაბერდნენ
სუნიც სიბერის შემოეპარათ
ნარდს თამაშობენ მეზობლის კაცები
რომ დაისვენონ ცოლ-შვილისგან
თავიანთი სახლის კედლებისგან
რომლებსაც ისინი ასე დაუნდობლად შემოაცვდათ
როგორც სარეცხი მანქანის დოლურას რეცხვაში
ოჯახის უფროსის ძველმოდური პერანგი
ნარდს თამაშობენ მეზობლის კაცები
როგორც უთამაშიათ მათ მამებს ბაბუებს
და როგორც მათ თავის დროზე ამათაც უხარიათ
რომ შეუძლიათ ყველაფერი კამათელს გადააბრალონ
მახრჩობელა კომშივით ყელში გამჩხერვია რატომღაც
მათი სიბერის სუნი შორიდანვე რომ ვგრძნობ
როგორ გაცივდნენ შენი ხელები ჩემს მიმართ როგორ

სოფლის სასაფლაო აგვისტოს ხვატში

გამოყოლოდა ჭის წყალს
რკინის დაჭეჭყილი ვედროს ჟანგის გემო
აივნიდან ჩანდა როგორ ჩაუარა ცხენმა
ნელი ნაბიჯებით
არც ისე შორს სოფლის სასაფლაოს
ლამის გადაჭედილს მკვდრებით
რა ძნელია ამ დროს გაუძლო
უცებ მოვარდნილ სურვილს
შენც მათსავით მოკვდე
რათა წლების შემდეგ
დარჩენილი ძვლებით იგრძნო
შენს საფლავთან ახლოს
უნებური მონატრებისგან
როგორ შეანელებს ნაბიჯს
შენი ცოცხლად დარჩენილი ცხენი

ჭის წყალს ოწინარის ჩხრიალა ჯაჭვზე გამობმული
დაჭეჭყილი ვედროს ჟანგის გემო ჰქონდა
არც ისე შორს სოფლის სასაფლაო ჩანდა
და იმ სასაფლაოსთან ჩავლილი ცხენიც

რამდენი ხანია მინდოდა მეთქვა

ვიმეგობროთ ჩვენი ბავშვობის ხეებთან ვიმეგობროთ
დავუსხათ წყალი ან მოვუყვეთ საღამოობით რაც იმ დღეს
გადაგვხდა
რადგან ხეები ვერსად მიდიან მხოლოდ ქარებს თუ
გააყოლებენ ამოოხვრას
ან მის მოტანილ ცელოფნის პარკებს დაიტოვებენ
სამახსოვროდ
როგორც ქუჩაში ნაპოვნ ბრჭყვიალა მძივს ბავშვი

ვიმეგობროთ ჩვენი ბავშვობის ხეებთან ვიმეგობროთ
დილით მივესალმოთ საღამოს კი მოვუყვეთ თუ რა
გადაგვხდა თავს
ისინი ხომ ვერსად მიდიან მხოლოდ თვალებში თუ
შემოგვაცქერდებიან
რათა შეიტყონ რა ხდება
გარაჟებს იქით
მოსახვევს იქით
კორპუსებს იქით
რა ხდება ისეთი რისი მოყოლაც მათთვის ქარებს
დაავიწყდათ

ვიმეგობროთ ჩვენი ბავშვობის ხეებთან ვიმეგობროთ
აივნებიდან მაინც მოვიკითხოთ ხოლმე ზოგჯერ მაინც

იათაშვილმა მითხრა უსათაურო ლექსები არ დამანახოო

კარტოფილი დავთესეთ
ზედ ამოსული
უფერული ღოჯებით
კვალში ვაწყობდით სიმეტრიულად
ეს ყლორტები ჯერ თავად კარტოფილმა უნდა
მოაძლიეროს თავისი წვენით
და მხოლოდ ამის შემდეგ გადავლენ მიწიდან
დამოუკიდებელ კვებაზეო
აგვიხსნა ბიჭმა რომელიც მე და ჩემს სიმამრს
კარტოფილის დათესვაში გვეხმარებოდა
მიწას მიწის სუნი ჰქონდა
ქვემოთ პატარა ქალაქი ხმაურობდა მოკრძალებულად
თავისთვის ეგდო როგორც ჩართული რადიომიმღები
ცარიელ ოთახში
მერე დავლიეთ
სარდაფში ჩაციებულ ღვინოს სულ სხვა გემო აქვს
მან იცის როგორ დაგიაროს ძარღვებში
როგორ შეერიოს შენს სისხლს
აგამჩატოს მოგაჩვენოს რომ ეს ცხოვრება მარტივი
არითმეტიკაა
რომ კეთილი იმარჯვებს ბოროტზე და რომ საერთოდაც
შენც კეთილი ხარ
ქალაქის თავზე მოქცეული სახლის აივანზე სუფრასთან
გამოჯგიმული
რომ მერე ნაბახუსევზე სულ პირიქით იფიქრო ამ
ყველაფერზე
იფიქრო იქ მიწის ქვეშ ნაღმებივით ჩაწყობილ სათესლე
კარტოფილზე

უფერული ღოჯებით
თავის მხრივ ბოლქვები რომ უნდა გამოისხან მათი
გამომზრდელის სახსოვრად
როგორც ჩვენ ვზრდით შვილებს ჩვენი მშობლების
სახელით

მიწას მიწის სუნი აქვს ის სხვას არაფერს ჰგავს
სხვა რამეში არ აგერევა
როგორც ვთქვათ და გათლილი კიტრის სუნი კივისაში
მიწის სუნი აქვს მიწას
გემოც

მე და ჩემი მეგობარი საქმეზე უნდა წავსულიყავით

ჩემი მეგობარი ყოფილ ცოლს შეხვდა
საერთო ჭკუამხიარული შვილის მომავალზე უნდა
ელაპარაკათ იქ მანქანაში
წვიმას აპირებდა თითქოს მაგრამ გული მიგრძნობდა რომ
არ იწვიმებდა
პარკში ვიჯექი ძელსკამზე და ველოდი როდის
მორჩებოდნენ საუბარს
რომ მერე მე და ჩემი მეგობარი სხვა საქმეზე
წავსულიყავით
ვეწეოდი
ისინი კი ისხდნენ მანქანაში და საუბრობდნენ
ცოლყოფილს თეთრი პლაშჩი ეცვა და მანქანაში ჩაჯდომის
წინ
ისე აიკეცა მისი კალთები თითქოს წერომ შორ გზაზე
გაფრენის წინ
სულ ერთი წამით მოსასინჯად გაშალა ფრთები როგორც
ერთხელ
ჩემს სიზმარში რომელიც მანამდე არც კი მახსოვდა
ვიჯექი და ვეწეოდი არაფერზე ვფიქრობდი არც ის ვიცოდი
უნდა მეფიქრა რამეზე თუ არა
ჩემი მეგობრის ყოფილ ცოლს თეთრი პლაშჩი ეცვა.

ფიქრი მდინარის პირას ანუ რიყე ქვათა ქალაქია

პაპანაქება სიცხეში თქვენც ხომ ნატრობთ სიგრილეს
სიცივეში კი სითბოს
სიცხეში ხომ თქვენც ფართოვდებით ადამიანებივით
სიცივეში კი იკუმშებით
თქვენი ცხოვრებაც მიედინება მდორედ
ნატრობთ ეგდოთ სადმე მინდორში ან ტყეში
ეულად ისე რომ სხვა ქვებს აღარ ხედავდეთ
ან სულაც მდინარის პირას რიყეზე სხვა ქვათა შორის
ეს მაშინ
თუ მინდორში ან ტყეში უკვე აგდიხართ მარტო
მზისა და წვიმის მიერ ნალოკი ძვალივით
თქვენ გახსოვთ ყველა მგზავრი ჩავლილი
სოფლის ნახირის ყველა ძროხაც რომელიც ნახეთ
და თვალი გააყოლეთ
ყველა კალია ყველა გომბეშო და ჭიანჭველაც
თქვენ თვალწინ გაზრდილი და დაბერებული
ბოლოს თქვენს დასანახად რომ მოკვდნენ
ან უბრალოდ მოკლეს და შეჭამეს
თქვენც გიყვართ ღამე და ვარსკვლავების ყურება
იქ მაღლა ცაში და იცით
ღმერთმა ისინი
იმისთვის შექმნა
ადამიანებივით თქვენც რომ არ მოგაკვლევინოთ თავი
თქვენმა სიმარტოვემ
ჩემო ქვებო
ჩემო ძვირფასებო
მე თქვენ მიყვარხართ

ყინვის ავტოპორტრეტი ფანჯრის მინაზე

უცხო კაცთან დამესიზმრე
ღამე ისევ თოვდა
დილისაკენ ყინვამ ფანჯარაზე საკუთარი თავი დამიხატა
ახალ საპარსს ვერ შევეწყვე
ძველმა გამაწვალა
ცალი ლოყა ახლით
მეორე კი ძველით გავიპარსე

უცხო კაცთან დამესიზმრე
დილით კიდევ
დასვენებულს ნაბანავებს ცოლს შამპუნის სუნი ჰქონდა
ნდომის სუნიც ჰქონდა
პურზე თაფლი დანის წვერით კოხტად გადამისვა

უცხო კაცთან დამესიზმრე
სამსახურში კაბინეტის კართან მისულს
ქალიშვილმა დამირეკა
ჩვენს კორპუსთან ღამით მაწანწალას ფეხი მოყინვოდა

უცხო კაცთან დამესიზმრე
აქაურს არ ჰგავდა

ყველა გემს თავისი ვირთხა ჰყავს ყველა ვირთხას მთელი ცხოვრება ეზრდება კბილი

გემებიც ცნობენ ალბათ ერთმანეთს
და აბარებენ მოკითხვას დიდი ხნის უნახავ სხვა გემთან
გემები ალბათ პორტებსაც ცნობენ
გემები საკუთარ თავში რომ ატარებენ აბეზარ ვირთხებს
სიბრძნის კბილ გამოცვლილებს გამოსაცვლელებს
მათ უნდა ღრღნან უნდა მოასწრონ და გაცვითონ კბილი
რადგან ეზრდებათ იგი და თუ არ გაცვითეს
პირს ვეღარ დახურავენ ასეთია მათი ცხოვრების სიბრძნე
გემებსაც ალბათ სწამთ ღმერთის
და ლოცულობენ იქ შუა ზღვაში
ან კიდევ მაშინ როცა პორტში მცხრალ ტალღებზე
ირწევიან
თვლემამორეულნი
ტალღები კი მფშვინავი კაცის შიშველ მუცელზე –
რიტმულად რომ აუდ-ჩამოუდის – გადაჭიმულ ზეწარს
ჰგვანან
გემებსაც ალბათ შეუყვარდებათ უცებ რომელიმე წვიმა
და მერე დიდხანს ფიქრობენ მასზე

ჩემი ცოლის დაქალის პეკინესი ჩვენს ფართო აივანზე

ნახე ამ სიბერეში რა ქმარი იშოვა
თქვა ჩემმა ცოლმა თავის დაქალზე
ახალ ქმართან ერთად მისი პირველი სტუმრობის შემდეგ
ქმარს ბევრი არ დაულევია მოწყალედ იღიმოდა
ვერაფრით შევატყვე მოეწონა თუ არა ჩვენი ფართო აივანი
ისე როგორც ის მის ცოლს მოსწონდა

ახლა კი
ჩემი ცოლის დაქალის პეკინესს პატრონი ენატრება
ვინ იცის იქნებ ტირის კიდეც როცა ჩვენ გვძინავს
და როცა ცოლის თხოვნით
პარკში სასეირნოდ გამომყავს
ხეს რომელსაც უნდა მიაშარდოს
შორიდან შეათვალიერებს ხოლმე და მე გავიფიქრებ
რომ ისიც პატრონის ახალი ქმარივით წინდახედული
გახდა

ჩემი ცოლის დაქალი
ვინც ახლა ქმართან ერთად
სადღაც იტალიაში დაეხეტება
დაგვიანებული საქორწინო მოგზაურობით ტკბება
თავისებური მაგრამ კეთილი ქალია
პირველი დესპოტი ქმრის ხელში
ისეთი ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო
რომ განქორწინების შემდეგ
მთელი ოცი წელი კაცებისკენ არც გაუხედავს
თითქმის ყოველი სტუმრობისას მოჰქონდა ჩვენთან
ძვირიანი ყავა და შოკოლადი
ჩემთვის სიგარეტიც და გულით გვირჩია

საცხოვრებელი ფართის გაზრდის მიზნით აივანი არ ამოგვეშენებინა

ასეთი აივანი ადამიანზე დამამშვიდებლად მოქმედებსო გვითხრა
ჩემი ცოლის დაქალმა პეკინესის პატრონმა
ჩემი ცოლის არ იყოს
არც მე მეგონა რომ გათხოვების შემდეგ
მალევე
ქმრის ჩრდილად თუ იქცეოდა
ვფიქრობდი რომ პირიქით მოხდებოდა ყველაფერი

ჩემი ცოლის დაქალის
ჩვენსას დროებით შემოკედლებული პეკინესი
ჩემი ცოლის ტელეფონს გახედავს ხოლმე მოწყენით
რადგან იცის რომ იქიდან უნდა მოისმინოს პატრონის ხმა
გახედავს და მერე აივანზე გადის

ნიკა ძამიაშვილი



* * * (მე...)

მე.
გაჩერებული საათი.
კარლოს წიგნი.
სამი ჭიქა არაყი —
ჩემთვის, შენთვის და მისთვის.
ღია ფანჯარა.
გაცრუებული იმედი
სამჯერ უფრო მძიმეა —
ვიდრე სმა,
შიმშილი
და ხელჩაქნეული,
ყელში ამოსული
ცხოვრება.

* * * (მწამს...)

მწამს,
ციური სხეულების შეხებით
შევიძენთ საიდუმლო,
სამუდამო ერთგულებას.
მე მარტო
ვერ მოვწყვეტ ვარსკვლავებს
და ვერ ჩავყრი მათ
სასიცოცხლო ტაბლეტებივით
ორ არყის ჭიქაში,
იქამდე,
სანამ
არ მოხვალ ჩემთან!..

* * * (სურვილების ხე დაიტვირთა ოცნებებით...)

სურვილების ხე დაიტვირთა ოცნებებით
და ქარის დაბერვისას – გადატყდა.
არ ვიცი,
ველოდო თუ არა,
საკუთარი ნატვრის ასრულებას.

* * * (მე მჭირდება...)

მე მჭირდება
ერთი მძლავრი და ცხელი ჩახუტება.
თქვენ კი პური და ღვინო გადასარჩენად.
მე ვფიქრობ თქვენზე,
მაგრამ ვერ გეხმარებით.

* * *(ხმელეთის ჩიტო...)

ხმელეთის ჩიტო,
შენ ვერასდროს იფრენ ცაში.
შენი ცხოვრება ისეთივე სიცრუეა,
როგორც ღიპიანი პოეტის ლექსი შიმშილზე.
ვხვდები,
შენ ჩემსავით შესცქერი ჭერს
და ოცნებობ,
რადგანაც ფიქრობ,
რომ ცხოვრებაში არაფერი დაგრჩენია,
ამაზე მეტი.

* * * (თუ სიყვარული...)

თუ სიყვარული
პირტიტველა ლიტერატორების საკენკია,
მაშინ ჩემი ვარსკვლავი
უბრალო რიყის ქვაა.

* * * (სიმარტოვე როგორც აძლიერებს...)

სიმარტოვე როგორც აძლიერებს,
ისევე ფიტავს ადამიანს.
მას, დღეს თუ ხვალ მაინც სჭირდება ვინმე,
გადასარჩენად.
მე ვარ მარტოსული,
მაგრამ მაინც გადავაბიჯე სხვისი დედის მაღალ ჩრდილს,
როდესაც გაჩერებასთან მდგარი,
თავის შვილთან ერთად ელოდებოდა
ბოლო სამარშრუტოს.
გულში რაღაც ჩამწყდა,
შემდეგ კი ვიგრძენი მცირედი შვება.
ჩემს ვარსკვლავს დაუჯდა ბატარეა
და ვერავინ გამოცვალა.
ოდესმე, როდესაც სული შეძლებს ფრენას,
თვითონ შევცვლი,
მაგრამ მჯერა, რომ ისიც მალევე ჩაქრება.
ჩემი ქოთნის ყვავილი გახმა,
ისე, როგორც მე მოვასწარი დაბერება ახალგაზრდობაშივე.
.
თქვენ იცით რა ღირს პური.
თქვენ იცით რა ღირს წყალი.
თქვენ ხვდებით სიცოცხლის ღირებულებას.
მე კი მხოლოდ ის ვიცი, თუ რა ღირს სიკვდილი
და მაინტერესებს ბედნიერების ფასი.

* * * (მე მწამს...)

მე მწამს
იმ ნახატის,
სიმღერის,
ნათქვამი ან დაწერილი სიტყვის,
რომელშიც ჯერ კიდევ შემორჩა
ორი გრამი პოეზია,
როგორც გამოსაწრუპად დარჩენილი
ლუდის წვეთები
ბოთლზე ხაზებად.

* * * (წიგნის თვალით კითხვისას...)

წიგნის თვალით კითხვისას,
გრძნობ,
თითქოს...
შინაგანი ხმა გიკითხავს ხმადაბლა ყოველ სიტყვას
და იმ გაყინულ თითს აყოლებს ყოველ ხაზს,
რომლითაც ოდესღაც
შენ დაგცინოდნენ,
როდესაც წერა იყო შენი გატაცება, ჰობი
და არა ცხოვრება.

* * * (შენს კარგად ყოფნას...)

შენს კარგად ყოფნას
ყოველთვის ეწირება ვინმე ან რამე.
მე ჩაიდნით ავადუღე წყალი,
რომელიც დავასხი
ორ ცალ იაფფასიან ჩაის პაკეტს,
შევურიე ერთი კოვზი შაქარი
და მივხვდი,
რომ მან სისხლი იდინა
ჩემი სიამოვნებისთვის,
ისევე, როგორც ჩემმა მეგობარმა თავი გადადო
საკუთარი შვილის
ახლადშექმნილი ოჯახის გამოსაკვებად.
სამწუხაროა
ის, რომ
ღერი სიგარეტი,
ნატეხი პური
და ყავა, ერთჯერადი მოხმარებისთვის,
უფრო ახლოს არის ჩვენთან,
ვიდრე ისინი,
ვინც გვიყვარს,
ვუყვარვართ,
ვისთვისაც ვცოცხლობთ
და თავს ვერ ვიმეტებთ მოსაკლავად.

გიორგი შონია

წვიმის განჯადოება

«Меня ждёт на улице дождь,
Их ждёт дома обед.»
«Закрой за мной дверь»
Группа «Кино»

როცა წვიმს, მგონია რომ
ეს ნიშანია,
რომ მთავარია კალამი მოვიმარჯვო
და მოგონებები თავის ნებით გამოლაგდებიან
და მწყობრად განლაგდებიან
და შექმნიან სიტყვათა ხორკლიან ქსოვილს,
რასაც ხშირად ლექსს ვუწოდებ.

მიხარია, წვიმას იწყებს.
ჯერჯერობით მხოლოდ ჟინჟღლავს.
რამდენიმე ჰაიკუს დაწერა მოვასწარი.
დასაწყისისთვის მშვენიერია.
ფანჯარას გავყურებ თქეშის იმედით.

კარგია, რომ არსებობს ვიღაც,
ვისაც ესმის პოეტის,
ვინც იცის, რომ წვიმა
წყლის კანონზომიერ წრებრუნვაზე მეტია.
მას ევალება წვიმის მოვლინება
მხოლოდ ისეთი პოეტებისთვის,
ვისაც ესმის წვიმის წვეთების არალეგალური სიმღერები
თუნუქის ძველ სახურავებზე.

წვიმის ღმერთო, დალოცე იტალიური ეზოები,
დაიფარე ისინი მცხუნვარე მზისგან
და ხარბად მოუვლინე მათ პატარა და ონავარი,
ან დიდი და ხმაურიანი წვეთები.

მე ყველაფრისთვის მზად ვარ.
მე მზად ვარ წვიმის ხანგრძლივი წელიწადებისთვის,
რადგან ახალ კრებულზე ვმუშაობ.

აი, უკვე კოკისპირულად წვიმს.
სწორედ ამას ველოდი მთელი დღის განმავლობაში.
წვიმის ღმერთო,
მოიღე ათასობით წვეთი ჩემს ფანჯრებზე,
რადგან ასეთ დროს არ შემიძლია ვიჯდე უბრალოდ.
მე ვიაზრებ, რომ დროის კარგვა დანაშაულია,
რადგან ეს საშინლად ამძაფრებს ჩემს მოგონებებს
დაკარგულ სიყვარულებზე,
დავიწყებულ მეგობრებზე,
ვერმიღწეულ მიზნებზე
და ბავშვობისდროინდელ შიშებზე,
ანუ თემებზე, რომლებსაც ლექსებში წარმატებით
გამოვიყენებ.

წვიმის ღმერთო,
ნუ დაგვიწესებ გრაფიკს,
არამედ ხარბად გაიღე შენი წყალობა
ჩვენზე, ვისთვისაც
თხევად ატმოსფერულ ნალექზე მეტი ხარ,
მათზე, ვინც არასდროს ვუშვერთ მხრებგანიერ ქოლგებს
შენი მილიონობით შვილის უფორმო სხეულს.
და მაშინ გელით, როცა სხვები არ გელიან.
და ყოველთვის მზად ვართ,
რომ შენი გარჯა
არასოდეს გავაყოლოთ ქუჩის არხებსა და გუბეებს.

დეფინიცია

გააზრებულად თუ გაუაზრებლად
ლექსი ყოველთვის საპასუხო რეაქციაა,
ყოველდღიურობის ყრუ კედლისკენ მიმართული,
რომელსაც არ ესმის ჩვენი,
რომელიც არაფრად აგდებს ჩვენს სურვილებს,
და არაფრად აგდებს მშიერი ბავშვების გამყინავ ტირილს,
და რაც უფრო ყრუა კედელი
და რაც უფრო დიდია მისი გალავანი,
მით უფრო დიდია ლექსის წერის სურვილიც.
და უფრო მეტია თვითგამოხატვისადმი ლტოლვა,
რადგან ყოველდღიურობის ღრმა ჭაობმა
ჩვენს ინდივიდუალიზმს საფრთხე არ შეუქმნას.

ლექსი კი თავისთავად ავტონომიური ერთეულია,
სადაც იქმნება პარალელური სამყაროს მოდელი
და სადაც შეგიძლია ცოფიანი სიტყვები მიმართო
მათკენ, ვინც ბეჯითად აშენებს კედელს
და მათ, ჩვენგან განსხვავებით, ძალა არასოდეს
გამოელევათ.
მათი მხრები განიერია, როგორც ამაზონი,
მათი მოძრაობა მკვირცხლია, როგორც დამარცხებული
პარტიიდან
გამარჯვებულ პარტიაში გადასკუპებული დეპუტატი,
მათი ენერგია ულევია, როგორც ქართული პოლიტიკური
კლასის სიბრიყვე.

ვინ შემართავს საკუთარ სხეულს,
როგორც მოიერიშე ბეტეერს
და თვითონვე ჩახერგავს უკანდასაბრუნებელ გზას,

რადგან უკან დასახევი გზის არსებობა
წინსვლას ყოველთვის შეუშლის ხელს.

ვინ ილაპარაკებს ღიად საკუთარ შიშებზე
და ვინ გაიშიშვლებს ბოლომდე საკუთარ სულს,
ვინ იცეკვებს ინტელექტუალურ სტრიპტიზს მკითხველის
წინაშე?
ვისაც არ შერცხვება საკუთარი სიშიშვლის,
ის დაიდებს დიდ რანჩოს მათ გულებში,
ხოლო სხვებს საბჭოთა ხრუშოვკებში მოუწევთ ვიწროდ
ცხოვრება.

ვინც გამოვა კომფორტის ზონიდან
და თავს შეიწუხებს,
რათა მეტაფიზიკურ ჩიხში ახალი გზები ეძიოს,
ვინც არასოდეს გახდება ის, ვისაც ებრძოდა,
რადგან საგანთა ეს მარადიული წრებრუნვა მისთვის
ძალიან ტრივიალურია.
ამით ის დიდ პრობლემებს შეუქმნის საკუთარ მომავალს
და ბევრი არაკეთილისმოსურნე გამოუჩნდება.

ვინც ფიქრის ცხოვრების წესად გაიხდის
და გაურკვევლობებით ოკუპირებულ სხეულს
არასოდეს მიატოვებს ბრძოლის ველზე,
რადგან მიტოვება,
რიგ შემთხვევებში, ნიშნავს დამარცხებას,
ხოლო ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება,
რომ თავს მორიგი დამარცხებების უფლება მივცეთ.

შიშის მოშინაურება

ყველა ლექსი შიშის გამომზეურებაა,
გამოფენა და სააშკარაოზე გამოტანა.
თითქოს სულის სარეცხს ენის გაცრეცილ თოკზე კიდებ.
მე კი შიშებს დაუნდობლად ვააშკარავებ,
სათითაოდ ვაცალკევებ,
თითოეულ მათგანს ვუკირკიტებ
და ასოების ფორმას ვაძლევ,
მაგრამ ამაოა ჩემი შრომა,
ამით არაფერი იცვლება.
შიშები ჯიუტად არ გამოდიან ჩემი სხეულიდან
და გეომეტრიული პროგრესიით მრავლდებიან
და, რაც მთავარია, ძლიერდებიან,
და არ თმობენ სხეულის არც ერთ გოჯს.
მეც რა გზა მაქვს,
ვსწავლობ თანაარსებობას მათთან.

რომელი იყო შიში, რომელმაც პირველად წამოყო თავი
ჩემს სხეულში
და სხვა შიშებს მოუწოდა გაერთიანებისკენ?!
რა იწვევს შიშს
და რას იწვევს შიში?
ყოველდღე ვეკითხები საკუთარ თავს
და პასუხის მოლოდინში ახალი კითხვები ჩნდებიან
და რიგში დგებიან,
რათა მათთვის განკუთვნილი პასუხი,
როგორც დამსახურებული ჯილდო, ისე მიიღონ.

შიში – ეს არის თამაში,
შიში არის პოლიტიკა,
რომელშიც მთელი სხეულია ჩართული.

შიში – ეს არის მეტაფორათა ჯაჭვი,
რომელიც ჩვენს ნერვულ სისტემაზე,
როგორც ასაღებად გამზადებულ ციხესმიგრეზე,
მოიერიშე რაზმივითაა შემორტყმული.
შიში – ეს არის პასუხი
ყველა ტკივილზე,
ყველა სიკვდილზე,
ყველა ვერგანხორციელებულ ქმედებაზე,
გონებაში დაარქივებულ ყველა მოგონებაზე
და ყველა ცალმხრივ სიყვარულზე,
და, რა თქმა უნდა, ყველა ორმხრივ სიყვარულზე.

ამიტომაც მე ვამბობ, რომ პირველად იყო შიში
და შიში იყო ჩემთან,
როგორც მიზეზი და უფრო მეტად შედეგი,
ყველა დაწერილი და ჯერაც
დაუწერელი ლექსისთვის.

დასაწყისი გარდუვალობა

მთელი დღე ვფიქრობდი ლექსის დასაწყისზე.
მომწონს, როცა ლექსს მოხდენილი ფრაზით ვიწყებ,
როცა მარტივად ვიყოლიებ სიტყვებს
და ისინიც იმ თანმიმდევრობით განლაგდებიან,
როგორც ჩაფიქრებული მქონდა.
თუმცა ახლა ასე არ გამოვიდა,
თუმცა არა უშავს, მთავარია ლექსი დაიწყო,
როგორც ცხოვრება,
რომელიც ლარის კურსივით მოუხელთებელია
და არასოდეს ტოვებს დროს დასაფიქრებლად,
რომელიც თავის ღონიერ მუშტებს ყოველთვის
ოსტატურად იქნევს,
როგორც მუჰამედ ალი, ტაისონი ან კაკო ბობოხიძე.
შენ კი იგერიებ,
ხან კი ცხვირ-პირში გხვდება,
ეცემი და ისევ დგები,
რადგან დიდი ხნის წინ საკუთარ თავს პირობა მიეცი,
რომ ყველა დაცემა ადგომის აუცილებელი წინაპირობა
იქნებოდა.

შენ ეს დიდი ხანია გესმის,
ეს კარგია, როგორც ორგაზმი,
როგორც თოვლი სახურებებზე ან ბავშვობის ბედნიერი
მოგონება.
და ისიც გესმის, რომ
სხვანაირად ვერაფერს დაწერ,
სხვანაირად არაფერი იქნება
და თუ იქნება,
იქნება აუტანლად მოსაწყენი, უაზრო და არაფრის

მომცემი,
როგორც კომფორტის ზონა,
როგორც ანტინიკოტიკური წარწერა სიგარეტის კოლოფზე
ან ქართული ტელეეთერის ბადე.

3. პროზა

ბესო ხვედელიძე

დილეტანტი (კალი იუგა)

(«ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების.»)

1980 წელს ჟურნალი «თბილისის ფაუნა» თბილისის ზოოპარკის შინაურულ ამბებზე ეგეთებს წერდა: «ვეფხვმა როზამ ტიხარი გაანგრია, ლომის გალიაში შეიჭრა და მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა... აქამდე მეტად მშვიდმა და თვინიერმა ხარ-ირემმა «კოხტამ» მეზობელ ვოლიერში პატარა ლამა რქებით დაჭრა. მსგავსადვე მოეპყრო შფოთვაშეყრილი ხარ-ირემი ზოოპარკის მომვლელ ქალს – მრავალშვილიან მაყვალა სრისანიძეს...» «თბილისის ფაუნაში» წერდნენ იმაზეც, თუ როგორ დაჭრა ბეჰემოთმა «ტანიამ» თავისი მეწყვილე «შალუნი» – «შალუნისა და ტანიას მოცქირალმა ლომმა «კალიგულამ» გალიის იატაკზე მცირე ხვრელი იპოვა,

ღონიერი ბრჭყალებით იატაკს ერთი ფიცარი ააგლიჯა, შემდეგ მეორის აგლეჯვას ცდილობდა, რაც სრულებით საკმარისია იმისთვის, რომ გარეთ გავიდეს...» მეოცე საუკუნის «ტკბილოთხმოცდაათიანებში» თბილისის ზოოპარკის მდგომარეობა ბევრმაგად დამძიმდა. ყოვლად ჟღალი სამოქალაქო ომის გადამკიდე, დედაქალაქის ზოოპარკს ყურადღებას აღარავინ აქცევდა. სწორედ იმ პერიოდში შიმშილისგან ბევრმა ცხოველმა გაფშიკა იქ ფეხი. ამურის ვეფხვები, თეთრი დათვი, აზიური ჯიქის ოჯახი, ბენგალური ვეფხვები, ზებრების ოჯახი, აფრიკული კამეჩის წყვილი, ოცელოტის წყვილი – ყველას ამ ავბედითმა პერიოდმა მოუღო ბოლო. ეგ კი არა, ზოოპარკის თანამშრომლები, უსახსრობის გამო, იძულებული იყვნენ, ერთი მკვდარი ცხოველით მეორე (ჯერ კიდევ ცოცხალი) გამოეკვებათ და ეს ყველაფერი თავისი თვალით ენახათ.

* * *

დედისერთა შოთიკოს ფაუნასადმი უსაზღვრო სიყვარულის ნიჭი პაპის, ცნობილი სოციალისტური შრომის გმირის, ზოოლოგ როსტევან ლომიძისგან დაჰყვა – ასე ვარაუდობდნენ მისი, საბჭოთა ცალგანზომილებიან, მატერიალისტურ გაგებაში ღრმად ჩარჩენილი, მწვავედ დანევროზებული პედაგოგი მშობლები ავთო და თინანო. ბაღის ასაკიდან მოყოლებული რას აღარ მოათრევდა ხოლმე შოთიკო სახლში ოჯახის გულისსახეთქად: კუ, ზღარბი, ზაზუნა, წყლის გველი, მერცხალი, ძაღლის ლეკვი, კნუტი, ციყვი, ბუ, ზღვის გოჭი, გომბეშო – ყოველ მათგანს შოთიკოს ბინაში მონაცვლეობით, ზოგსაც კი, სულაც ერთად ჰქონდა რაღაც პერიოდი გატარებული. თავნება და ცხვირაწეული შოთიკოს გაბრაზებას ბავშვობიდან ყველა ერიდებოდა (ისტერიკული გადაფიჩინება და გულყრა იცოდა სასტიკი), შოთიკოსთან პედაგოგიკურ მიდგომებში

ავთოც და თინანოც საკმაოზე მეტად მოიკოჭლებდნენ, შესაბამისად, ამ ცხოველ-ფრინველის მასობრივი ექსპანსიის საპროტესტოდ ოჯახში კრინტს ვერავინ ძრავდა.

ერთ გრილ საღამოს, შოთიკომ საიდანღაც საერთოდაც უზარმაზარი, თვალებგადმოკარკლული ხვლიკივით არსებაც კი მიიყვანა სახლში და კივილით აყარა სკამებზე მთელი ოჯახობა. მერე ეს მოზრდილი ხვლიკის ბიძაშვილი, მას და ცნობილ როსტევან პაპას კაი ხანს წყლით სავსე სააბაზანოში ჰყავდათ გამოკეტილი, მშობლები კი, ამ არსების შიშით, მეზობლებში იბანდნენ ტან-პირს. ყველაფერი მას შემდეგ დალაგდა, როდესაც გაირკვა, რომ ეს ხვლიკი კი არა, პაწაწინა ნიანგი იყო, რომელიც შოთიკოს ზოოპარკის ტბორიდან ოსტატურად აეცინცლა. ავთოს და თინანოს დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, შოთიკომ და როსტევან პაპამ აბაზანაში გამოკეტილი ხვლიკისხელა ნიანგი ზოოპარკს ერთად, საზეიმოდ ჩააბარეს და ფეთქებადი ოჯახური ატმოსფეროც მაშინვე განიმუხტა.

სახლში დედ-მამისა და პაპის, ხოლო სკოლაში, პედაგოგთა მთელი დასის ზერელე მცდელობების მიუხედავად, სკოლაში სწავლითაც არ იკლავდა თავს შოთიკო. მთელი თერთმეტი წლის განმავლობაში ერთი ისეთი მასწავლებელიც კი არ შეხვდა, რომელიც მის მწირ თვალსაწიერს სხვანაირ წყალს დაუსხამდა, გააფართოებდა და უფრო გონივრულ კალაპოტში მოაქცევდა. ამის გამო იყო, რომ სასწავლებლის დამთავრებისას დიდად ვერც კი განარჩევდა ერთმანეთისგან შ-ს და წ-ს, და ძ-ს და ხ-ს. ზოგადსაკაცობრიო ამბებისა და გარე დარგების ხომ საერთოდ არაფერი გაეგებოდა – მთელი მისი გულისყური

მხოლოდ ცხოველ-ფრინველისკენ იყო მიპყრობილი პრიმიტიულად. ამ მხრივ სახლის მდებარეობაშიც გაუმართლა შოთიკოს:

ის ხილიანის ხევის პირას მდგარ კორპუსში ცხოვრობდა, საკუთრივ ხევში კი, ცხოველთა ვოლიერებით გადაძეძგილი ზოოპარკი იყო გაშლილი. შოთიკომაც ზეპირად იცოდა ყველა იქაური ბინადრის ავან-ჩავანი. ის ლამის ყოველ საღამოს სცემდა ბოლთას ზოოპარკში კლასელ ძმაბიჭებთან ერთად და სასაცილო პაპიროსებს აგემოვნებდა. ეს იქამდე, ვიდრე ზემო კორპუსის ფანჯრიდან დედა-თინანოს პირმეხი კივილი არ გაჰკვეთდა ფიჭვის სურნელით გაჯერებულ ზოოპარკის ჰაერს და შოთიკოსაც ახსენდებოდა, რომ სახლშიც პატარა ზოოპარკი ელოდა ცისფერი თუთიყუშების, კატის ზოლებიანი კნუტის, დაყრუებული ტერიერის, ჭაღარა ბუს, ოთხი პატარა კუს, უზარმაზარი ზღარბის, დედ-მამისა და როსტევან პაპის სახით.

ცხოვრებაში პირველად რომ გააბოლა პაპიროსი, შოთიკომ მეტად უხერხულად იგრძნო თავი. ბიჭები ერთხმად ახვიხვინდნენ და მისკენ იწყეს თითის შვერა – შოთიკო სეროზული სახით იდგა და ყოველ მათგანს ატყობდა უცნაურ ცვლილებას, რასაც თავად ვერაფრით გრძნობდა საკუთარ თავში. ასე განმეორდა კიდევ რამდენჯერმე. შოთიკო მუდამ მონუმენტივით სერიოზული იყო. მერე, ერთხელაც ისე მოხდა, რომ შოთიკო ტკივილამდე ფეხებგაპარსულმა უცხოელმა ცოლ-ქმარმა ტურისტმა დააბოლა ზოოპარკში. სულ ორი ნაპასი შეხვდა გადმოწოდებული პაპიროსიდან, თუმცა ესეც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, შოთიკოს ერთი მხარგრძელად გაეღიმა და თვალები ნებიერად მოეხუჭა.

დახუჭულ თვალებში ნამდვილი ჯუნგლისპირეთი ნახა შოთიკომ იქვე დუნედ მოლივლივე, ნიანგებიანი მდინარითურთ. გახევებული იდგა მდინარის პირას. ჭრიჭინების ლაღი ჭრიჭინი კეთილთვისებიანი ჭვალივით დაუდიოდა სხეულში. სადღაც ბაყაყების გუნდი გამოდიოდა. მეტზე ვერ წავიდა წინ შოთიკო იმ ჯერზე. ის იმავე უცხოელებმა მოაფხიზლეს – რა გჭირსო. შოთიკოს მადლობის თქმაც კი დაავიწყდა, იმდენად მოხიბლული იყო ამ აღმოჩენით. უთქმელად გატრიალებული ამაყად გაუყვა ზოოპარკის ხეივანს მდინარე ვერესკენ. ბუჩქებში გამძვრალი ქვაზე ჩამოჯდა და მდინარეს ჩააცქერდა. აქაც დახუჭა თვალი შოთიკომ და ისევ ჯუნგლისპირა მდინარესთან აღმოჩნდა. სურათი არ შეცვლილიყო. შოთიკო ვერაფრით მიხვდა მაშინ, რომ უბრალოდ ნაბიჯი უნდა გადაედგა და ყველაფერი ისე წაეწყობოდა, როგორც თავად მოისურვებდა. თუმცა კი, ადგილზე მდგომმა მაინც დაკვირვებით მოათვალიერა იქაურობა. ერთი, რაც კარგად დაიმახსოვრა, მდინარის ნაპირზე უპატრონოდ მოტივტივე, ბამბუკისგან შეკრული ტივი იყო. იქვე, სველ ლამში ბამბუკის ჯოხიც იყო დარჭობილი. შოთიკომ თვალი გაახილა და პროექციის გაგრძელება შემდეგი მოწევისთვის გადადო. ამის მერე ყველაფერი კალაპოტში ჩადგა.

* * *

უმაღლესში ჩაბარების დრო რომ მოახლოვდა, შოთიკოს მშობლები და როსტევან პაპა მიხვდნენ, რეპეტიტორებში ფულის ხარჯვა იმავე ფულის მდინარე ვერეში გადაყრის ტოლფასი იქნებოდა. ანდა, სად იყო ასეთი, არაფერში გადასაყრელი ფული. გზაც უცებ მოინახა: ყველაფერი ისევ შოთიკოს ცხოველების მიმართ სიყვარულმა გადაწონა. ზოოვეტი უმაღლეს სასწავლებელთაგან საუკეთესო

ვარიანტი აღმოჩნდა ვაჟის გასასტუდენტებლად, მაგრამ იქ ჩასაბარებლადაც მომზადება იყო საჭირო, რაც ისევ ართულებდა საქმეს. ენერგიულმა დედა-თინანომ ტელეფონზე აქეთ-იქით რეკვით საჩვენებელ თითზე კოჟრი გაიჩინა, მაგრამ იმდენი კი გაიგო, რომ დარგობრივად მიახლოებულ ადგილას ერთწლიანი მუშაობის «სტაჟ-გამოცდილება» შოთიკოს უგამოცდოდ ჩარიცხავდა ზოოვეტში და სტუდენტად აქცევდა. დიდი დავიდარაბა ამას უკვე აღარ დასჭირვებია – ყველაფერი თბილისქალაქურად მოგვარდა: სოციალისტური შრომის გმირის, დამსახურებული ზოოლოგის, როსტევან ლომიძის სახელმა ყველაფერი გადაწონა და მისი მხრიდან პროტეჟეობაც იოლად გაიწია – შოთიკო ზოოპარკის ცხოველების მომვლელ მუშაკთა შტატში უპრობლემოდ ჩაირიცხა. მალე ამ ამბავს როსტევან პაპაც პირზე მრავლისმეტყველი ღიმილით გადაჰყვა და გაცილებით უკეთეს სამყაროში დაიდო ბინა.

ამის შემდგომ, შოთიკო სახელოვანი როსტევან ლომიძის საქმის «ღირსეულ» გამგრძელებლად იქცა, რაზეც მოწმობდა ის შავ-თერი ფოტო, რომელიც პიანინოს თავზე ეკიდა. იქიდან, რაც უნდა გასაკვირი ყოფილიყო, როსტევან პაპა, რომელსაც შოთიკო ძალიან ჰგავდა, ყოველდღე სულ უფრო ფართოდ უღიმოდა ყველას და თან მქრქალდებოდა. ამას ყველანი ამჩნევდნენ. მამა-ავთანდილი ამ ფაქტს ფოტო-ქაღალდის დაძველებას მიაწერდა, დედა-თინათინი ფოტოგრაფიის მომგონს და თანამედროვე ფოტოგრაფებს წყევლიდა, შოთიკო არაფერს ამბობდა – უბრალოდ, როსტევან პაპის გაღიმებულ ფოტოს ხანგამოშვებით, შეთქმულის ღიმილით უკრავდა ხოლმე თვალს, თითქოს მსოფლიოში ყველაზე მეტი ესმოდა და საერთოდ, რამე გაეგებოდა.

სამსახურში სიარული შოთიკოს ყოველდღე უწევდა. სამუშაო მარტივი იყო: ზოოპარკში ადრიანად მისულს სწრაფად უნდა გამოეცვალა სამოსი, გადაეცვა სპეციალური უნიფორმა და წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით დაენაწილებინა საკვები არცთუ დიდი ხნის ნაცნობ-მეგობრებისთვის ვოლიერებში.

თავიდანვე გაუიოლდა ამ საქმის შესრულება შოთიკოს. ცხოველ-ფრინველებმა მაშინვე როგორც აშკარად შინაური, ისე მიიღეს ის. შესაბამისად, შოთიკოს ზოოპარკის თითქმის ყველა ცხოველთან ახლო ურთიერთობა ჩამოუყალიბდა: სულ მალე ის უკვე ყველასთან თავისუფლად, თამამად შედიოდა ვოლიერში, უნაწილებდა და უყრიდა ბაგაში კუთვნილ პორციას. გალიაში ცხოვრებისგან დანევროზებული ცხოველები ფეხის ხმაზეც კი სცნობდნენ თავიანთ ახალ, კეთილ დამპურებელს და მის დანახვაზე, როგორც წესი, უმალ უთვინიერეს არსებებად იქცეოდნენ ხოლმე.

განსაკუთრებული ურთიერთობა შოთიკოს ზოოპარკის ერთადერთ ლომთან აეწყო. მუდამ ამაყად და მედიდურად მიმოსიარულე ცხოველთა მეფე ყოვლად დამცირებული იყო მის ხელში. გალიაში არხეინად შესული შოთიკო მარჯვენა ფეხს ძირს რომ დააბაკუნებდა, ცხოველთა მეფე მაშინვე გალიის კუთხეში იყუჟებოდა და მორჩილად ელოდა, თუ როდის დაუტოვებდა შოთიკო დიდ ჯამში კუთვნილ ულუფას და გავიდოდა გალიიდან. ლომი გრძნობდა, რომ შოთიკო აქ უკვე მასზე უფრო ლომი იყო.

ამავე ლომთან ურთიერთობაში შოთიკო სულ მალე ისე გათავხედდა, რომ მისი გალიის უკანა, ანუ ლომის ხრიოკ სასეირნო ეზოს ზუსტად შუაცენტრში, სადაც ცხოველთა მეფე არცთუ იშვიათად გადიოდა და დარბაისლური

ბრდღვინვით დასეირნობდა ხოლმე, მოსაწევი ბალახი დარგო. ლომის ეზოში შესვლას მხოლოდ შოთიკო ბედავდა და მისი ყოველი კუთხე-კუნჭული დაწვრილებით ჰქონდა შესწავლილი. მისი დარგული დედალ-მამალი ძირები მალევე ამოიწვერნენ და შოთიკოც წამით არ აკლებდა არცერთს მოვლა-პატრონობას. მცენარეებმა უცებ აიყარეს ტანი. მამალ ძირს სადღაც შუა გზაში თავისი დაემართა: დამტვერვითი ფუნქცია პატიოსნად შეასრულა, ყვავილები გამოიღო და შოთიკომაც ის მაშინვე ძირში მოსხიპა.

ეულად დარჩენილი, განაყოფიერებული დედალი ძირი კი, იმ სიმაღლის გახდა, რომ გაუსაძლის თბილისურ პაპანაქებაში ლომი ხშირად მის ჩრდილში იწვა ხოლმე და ასე ემალებოდა თაკარა მზეს. ლამის მოშინაურებული ცხოველთა მეფის ხათრით შოთიკომ მცენარეს «მეფის და» დაარქვა. მიუხედავად იმისა, რომ მცენარე ყველა მხრიდან ჩანდა, ლომის სახით მას საპატიოზე საპატიო ყარაული ჰყავდა. შესაბამისად, აბა, რომელი ამ მცენარის მოტრფიალე გაბედავდა ცხოველთა მეფის შიშით შიგნით შესვლას, ლომის დობილის გაპუტვას, ან, სულაც, მთლიანად მოთხრა-მოპარვას. «მეფის და» სწრაფად იზრდებოდა და შემოდგომის პირზე კაი წებოვანი თავთავებითაც დაიჩუნჩხლა.

* * *

ქეშურ პროექციებში ტივით მდინარის მეორე ნაპირზე კაი ხნის წინ გადასულ შოთიკოს «მეფის დის» გაბოლება და მერე ამ წარმოსახვებში ნებივრობა ზოოპარკის ეშმაკის ცარიელ ბორბალზე უყვარდა. ასეთად რომ დაიგულებდა ბორბალს (რაც საკმაოდ ხშირი იყო), ერთ-ერთ ცარიელ კალათაში მოკალათებული, მექანიკოს შერმადინს თხოვდა, კალათის უმაღლეს კენწეროში ასვლისას დენი

გაეთიშა და ბორბალი საერთოდ გაეჩერებინა. სულ ზემოთა ზღვარზე გაჩერებულ, ოდნავ მოქანავე კალათაში მჯდომი შოთიკო თუთუნგამოყრილ სიგარეტში შეხუჭუჭებულ თავთავის წებოვან ნაგლეჯს ხუთ-ექვს ნაფაზში კლავდა. მერე ერთს გაიღიმებდა, ცხვირს მოიქავებდა და ხელისგულებს იფშვნეტდა.

აქედან და ასეთ მდგომარეობაში თბილისი სულ სხვანაირი, გაცილებით ფერადი, საინტერესო, თავისუფლად მსუნთქავი და თავის ნებაზე მიშვებული ჩანდა. ქალაქის ერთ მხარეს რომ მოინელებდა, მზერა ქვემოთ გადაჰქონდა. იქ წერტილისოდენა ცხოველები იყვნენ გამოკეტილი. მეორე მხარეს, ხევისთავზე, შოთიკოს კორპუსოვანი უბანი იყო გაშლილი. აქედან ყოველი კორპუსის ყველა სართული იოლად იკითხებოდა. ასეთ ურბანულ რეალობასაც რომ მოიბეზრებდა, ფეხებს შეიკეცავდა და თავისი მოკლე ჭკუით – აღმოსავლურ ყაიდაზე ჯდებოდა შოთიკო ცარიელი კალათის სკამზე. თან თვალებს ხუჭავდა და ვიზუალურად ხედავდა სასურველ ამბებს გონებაში.

ამბები შოთიკოსავით ისევ სწორხაზოვანი იყო... იქ შოთიკო საკუთარი თავისთვის სწორედ რომ დიდ მშვიდობაში ნეტარებდა – თავს მუდამ აუცილებლად იმ შორეულ, წარმოსახვითი ჯუნგლების პირას დინჯად მობორიალედ წარმოიდგენდა ხოლმე... მეტს მისი ფანტაზია ვერაფრით სწვდებოდა, თუმცა ის ამითაც კმაყოფილი იყო. შოთიკოს ეს ტყიური პროექციები რაღაცნაირი, მარტივი ზოო-სიყვარულით იყო გაჟღენთილი. ნაცნობი და უცნობი ცხოველები ტყიდან კუდის ქიცინით გამოდიოდნენ და შოთიკოც ყველას, როგორც კაი ძველ ნაცნობებს, ისე ექცეოდა. თან მხრებსა და თავზე ჭრელა-ჭრულა ფრინველები ასხდებოდნენ. მათაც შინაურულად

ეალერსებოდა შოთიკო და საერთოდ ვერ ხვდებოდა, რომ ეს ჯუნგლებიც, ეს ცხოველ-ფრინველიც და ყველაფერი, რასაც კი გონებაში ხედავდა, მისი შექმნილი იყო და შეეძლო, საკუთარ ნებაზე მოპყრობოდა. წარმოსახვებს რომ მოილევდა, შოთიკო ფეხზე დგებოდა და მექანიკოსის გასაგონად ყვიროდა:

– დამიშვი, შერმადინ! – და მექანიკოსიც ნაცნობი ყვირილის გაგონებაზე ღილაკზე კოჟრიანი თითის დაჭერით ისევ ამოძრავებდა გაჩერებულ ეშმაკის ბორბალს.

* * *

იმ დღეს ისეთი წინათგრძნობით გაეღვიძა შოთიკოს, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო მის ცხოვრებაში. ტრადიციულად აბუზღუნებულ დედ-მამას გულგრილად აუარა გვერდი. აბაზანიდან გამოსული, უჭმელად აპირებდა სამსახურისკენ წასვლას, რომ პიანინოს თავზე ჩამოკიდებულ როსტევან პაპის ფოტოსკენ გაექცა თვალი და ადგილზე გახევდა – ფოტო ცარიელი, ხოლო როსტევან პაპა კი აორთქლებული დახვდა ჩარჩოდან.

– კაპუტ, თქვენი ვეფხისტყაოსანი! – მიუთითა ფოტოზე დილიდან საჩხუბარი მიზეზის ძებნაში მობოდიალე ამრეზილ მშობლებს შოთიკომ და მათ რეპლიკებსა და ემოციებს აღარ დალოდებია, ისე გაჰყო თავი ქუჩაში.

სანამ სამსახურამდე მივიდოდა, კიდევ ერთმა უცნაურმა შეგრძნებამ დაუარა – მან აშკარად იგრძნო, რომ როსტევან პაპა ფოტოდან არათუ აორთქლდა, არამედ იმ თავისი ყარაჩოხლურ-დარდიმანდული ღიმილით, შვილიშვილში, ანუ მასში გადმოინაცვლა. ამ შეგრძნებაში რომ გამოიჭირა

თავი, შოთიკომ ნაბიჯი შეანელა და უცებ მიხვდა, რომ როსტევან პაპასავით იღიმებოდა და მართლაც მასავით მიაბიჯებდა.

ეს შეგრძნება არავისთვის გაუზიარებია შოთიკოს. იმ დილით ჩვეულებრივად დაფიქსირდა ზოოპარკის მუშაკთა ჟურნალში, გადაიცვა სამუშაო ხალათი, გამოაგორა ცხოველთა საკვების საწყობიდან პროვიზიით დატვირთული ურიკა და ვითომ-არხეინად დაუყვა გალიებს. რაღაც დიდი გაუგებრობა რომ ხდებოდა მის თავს, კი ხვდებოდა, მაგრამ გაუნათლებლობა და მწირი თვალსაწიერი არ აძლევდა საშუალებას, რამეს იოტისოდენათი მაინც მიმხვდარიყო. «მგონი გავრეკე, ამის დედაც...» – მხოლოდ ეს სიტყვები უტრიალებდა თავში გამუდმებით და ის როსტევან პაპის ღიმილი და სიარულის მანერაც არ ეშვებოდა.

საჭმლის პირველ ჩამოტარებას უცებ მორჩა შოთიკო. გალიათა მეორე რიგში რომ გადაინაცვლა, ცხოველთა მეფე, უფრო სწორად კი, მის ეზოში მდგარი უხვთავთავიანი «მეფის და» გაახსენდა და ინსტინქტურად იგრძნო, რომ ამ უცნაურობაზე პასუხი იქ და წარმოსახვებში უნდა ეძია. ამიტომ, საკვების მეორე ჩამოტარებაც ცინცხლად შეასრულა. პარალელურად, ლომის ეზოდან ხეს ერთი ზემო თავთავი წააწყვიტა, ძმობილ ლომს ყურისძირი მოფხანა და იქიდან გამოსული სასწრაფოდ ზოოპარკის ეშმაკის ბორბლისკენ გაეშურა.

მექანიკოს შერმადინს, რომელსაც გაპობილ მთვრალს ეძინა ჯიხურში, შოთიკომ ვერაფერი გააგებინა. ამიტომ თავადვე ჩართო ცარიელი ეშმაკის ბორბალი და პირველივე კალათას შეახტა. თავთავი იქვე ჩაიფშვნა ხელისგულში და ცარიელ პაპიროსში უცებ შეაბზრიალა.

მერე ზუსტად ოთხ გულისგამაწვრილებელ ნაფაზში მოკლა პაპიროსი და ნამწვი წკიპურტით მოიშორა.

ქალაქი ისევ ფერებად იყო აჭრილ-აჩეხილი. დასავლეთ ჰორიზონტზე დიდი შავი ღრუბლები ელაგა. შოთიკომ ქვემოთ ჩაიხედა და ცხოველების ვოლიერებს მოავლო მზერა. მიხვდა, რომ დილის უცნაურმა შეგრძნებამ კი არ გაუარა – უფრო მეტიც, უფრო ღრმად გაიდგა მასში ფესვი. შოთიკო საკუთარი პრიმიტიული გუმანით ხვდებოდა, რომ რაღაც ჯერაუხსნელი ხდებოდა. იქვე ისიც გაახსენდა, რომ სიგარეტსაც როსტევან პაპის მანერით ეწეოდა ბავშვობიდან მოყოლებული, ანუ მოწევისას ფილტრს კბილებით ღეჭავდა.

მისდა ბედად, ქვემოთ მიბიჟვინებულ შერმადინს ზუსტად მაშინ გაეღვიძა, შოთას კალათა ეშმაკის ბორბლის კენწეროში რომ მოექცა. თვალმოწირპლულმა შერმადინმა ბორბალი ღილაკზე თითის დაჭერით გააჩერა და ისევ ძილის ღვთაებას ჩაბარდა. შოთიკომ კი, ამ დროს ძველებურ მეთოდს მიმართა და ყურებამდე გაღიმებული, სკამზე ისევ ვითომ-აღმოსავლურად მოკალათდა. მერე თვალი დახუჭა და წარმოსახვაში უმალ ძველებურად ჯუნგლების პირას აღმოჩნდა.

ნაცნობმა და უცნობმა ცხოველებმაც ტრადიციულად იწყეს ტყიდან გამოსვლა და შოთიკოზე შინაურულად აგლესვა. ტყის ფრინველმაც იხუვლა და ცისარტყლისფრად დაიხუნძლა მისი გამართული მხრები.

შოთიკო არხეინად, საზეიმო განწყობით მიაბიჯებდა ტყისკენ, როდესაც უცნაური ხმა მოესმა და შორიახლოს მდგარ ხეს შეუმჩნევლად ამოეფარა. ხმა მეორდებოდა და სმენას უსიამოვნოდ სჭრიდა.

ფრთხილად გაიხედა შოთიკომ სამალავიდან და მოშორებით ვიღაც შავცხენიანი კაცი დაინახა. კაცს ხის განივ ტოტზე უკანა ფეხებით დედალი ვეფხვი ჰყავდა ჩამოკიდებული. ვეფხვს ისარი ჰქონდა გულში გარჭობილი და სიკვდილს ებრძოდა. კაცი თავის ხმალს ლესავდა და სწორედ ეს ხმა იყო, შოთიკოს მთელ ტანზე ხაოიან ობობებად რომ აყრიდა.

– რა ხდება, ე? – გადაუჩურჩულა შოთიკომ იქვე მდგარ ჯავშნოსან მარტორქა რინოს.

– ტყავს გააძრობს და შემოიცვამს. – თვალებით უთხრა რინომ და იქვე ატუზულ ჟირაფ ჟირინას ახედა.

– ათავისუფლე მონები... – აუჟუჟუნდა ცრემლისგან –მზერა ჟირინას.

– ის მასტი ვინაა? – ისევ ჩურჩულით იკითხა დაზაფრულმა შოთიკომ.

– ფსიქოპატია ვიღაცაა!.. – გაეპასუხა შოთიკოს მხარზე მჯდომი ბარის არწივი თემო და შოთიკოს თმაზე ნისკარტი შეიწმინდა. – ტირის სულ, და ხოცავს ყველას და ყველაფერს... სახელ-გვარსაც არ ეკითხება, ისე...

– ფსიქოპატი რას ნიშნავს? – ჩურჩულით იკითხა შოთიკომ.

– გიჟს, რომლის თავისუფლებაც – ჩიხია... – უპასუხა დიდმა ჭაღარა ზღარბმა ზაზამ.

«ჩიხი რაღაა?» – უნდოდა ეკითხა შოთიკოს, მაგრამ მოერიდა.

– შენია ეს ყველაფერი! ნურაფრის გეშინოდეს! ათავისუფლე მონები, მიდი, მართე და გაიმარჯვე! – მოესმა ამ დროს სადღაც შიგნიდან პაპა როსტევანის ხმა შოთიკოს და ისე დაფრთხა, რომ იგრძნო – ცოტაც და ჩაისვრიდა.

წარმოსახვიდან უცებ გამოერკვა შოთიკო, მიმოიხედა და თავი გაჩერებულ ეშმაკის ბორბალზე აღმოაჩინა. უკვე საღამოვდებოდა. სამხრეთ-დასავლეთის ცა ქალაქისკენ უჟმურ ღრუბლებს მოაფრიალებდა. «ეს რა იყო, ჩემი კაი?» – შოთიკო კიდევ უფრო უცნაურმა და უცნობმა შფოთმა შეიპყრო. შფოთს გამწოვი ხვრელის ფორმა ჰქონდა და თითქოს სასიცოცხლო ენერგიას ბოლომდე განიწოვდა. ამ დროს, თავისდაუნებურად, ბავშვობისდროინდელმა ისტერიკულმა გადაფიჩინებამაც წამოუარა შოთიკოს, როგორც თავდაცვითმა ინსტიქტმა – ცრემლებმა შადრევანივით იხუვლეს თვალებიდან და უმწეო ცხოველური წკუმუტუნ-ყმუილიც კი დასცდა ლამის კრიჭაშეკრული პირიდან.

«დაბრუნდი უკან და ათავისუფლე მონები! შენია ის ყველაფერი! ნუ გეშინია, ბაბუ!» – სთხოვდა შოთიკოს პაპა როსტევანი შიგნიდან, მაგრამ შოთიკოს უკვე აღარავის ყურისგდების თავი არ ჰქონდა.

«ათავისუფლე მონები, ათავისუფლე მონები...» – ამ იოლი აზრით ევსებოდა შოთიკოს მთელი სხეული: სისხლი, ძვლები, ხორცი – ყველაფერი ამ იდეით იყო გაჟღენთილი. მაგრამ ვისთვის, როგორ და რატომ უნდა ეშველა, ეს კი უკვე ზუსტად აღარ იცოდა და არც პაპა როსტევანის ხმის სჯეროდა.

კვლავ თვალების დახუჭვა და ძველებურად ტყისპირა წარმოსახვაში დაბრუნება აღარ უცდია შოთიკოს. ეგ რომ ექნა, იქნებ გამოსავალიც ეპოვა და ყველაფერი სხვანაირადაც გაგრძელებულიყო. ერთი კი იყო, მას უკვე უფრო შიში მართავდა, ვიდრე ცოდნა, ინტუიცია, წინათგრძნობა ან ბრძნული ლოგიკა, და როგორც შემდეგში მოიქცა, ეს მისი ყველაზე მარტივი, მიწიერი არჩევანი იყო.

საზარელი შიშით აღვსილი ჯერ კალათიდან გადმოიხარა და პარანოიდულ ისტერიკაში ჩავარდნილივით «შერმადინის» კივილს მოჰყვა, თუმცა მის ძახილს, ისევ შორიდან მოვარდნილი ელ-ჭექისა და გრუხუნის ხმა ფარავდა.

შოთიკო მალევე მიხვდა, რომ ასე ვერავის ვერაფერს გააგონებდა და გაჩერებულ ეშმაკის ბორბლის ლითონის კონსტრუქციას აცახცახებული დააკვირდა. «ათავისუფლე მონები...» – ისევ ამ იდეით გაჯერებული, ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ შეუდგა ბორბლიდან ქვემოთ დაშვებას. ერთი-ორჯერ ფეხიც აუსხლტა, მაგრამ ძლიერმა ხელებმა გადაარჩინეს, და აი, ასე – ხან სად და ხან როგორ ჩამოკონწიალებული, კაი ნახევარი საათის შემდეგ მაინც დაეშვა ზოოპარკის ასფალტოვან მიწამდე და ზედ საჯდომით ზღართანი გაადინა. ძირს ჩამობრაგვანებული შოთიკოს დანახვაზე ზოოპარკის ცხოველებს სიხარულის ტალღამ დაუარათ და ყველანი ერთბაშად გააქტიურდნენ:

მოუსვენარმა ჰამადრილებმა და სხვა მაიმუნებმა თავიანთ საქანელებზე იწყეს კონწიალი. სხვებმა ხეებზე ხტომას უხშირეს. ძირს მყოფი ბებერი მწვანე ანთარი მიწაზე აკოტრიალდა. მურა დათვები ორ ფეხზე დადგნენ და ადგილზე აბუქნავდნენ. სირაქლემა ემუმ თავის ეზოში ფრთების ფათქუნით იწყო წრეზე სირბილი და ყივილისმაგვარი ხმის გამოცემა. უზარმაზარმა აზავერებმა ერთმანეთთან სიყვარულობანას თამაში შეწყვიტეს. პრჟევალსკის ცხენი, ანტილოპები ელანდი და კუდუ, კამერუნის თხები და აღმოსავლურ-კავკასიური ჯიხვები ადგილზე აკუნტრუშდნენ და ტლინკების ჰაერში სროლა დაიწყეს. ბენგალური ვეფხვი მასკა და ლეოპარდი ლეო თავიანთ გალიებში ნერვიულად აწრიალდნენ. ახმაურდნენ ზოლებიანი აფთრები, გიბონები, აფრიკული ველური

ძაღლები, მარტორქები, ზებრები და რუხი მგლები. ზოოპარკში დიდი აურზაური იწყებოდა.

ადრე, მის ჩასაცხრობად საკმარისი იყო, შოთიკო ცხოველთა საკვების საწყობში შესულიყო და იქიდან დიდი შავი ყუთით ცხოველებისთვის საღამოს საჭმელი დოზა გამოეგორებინა. ამჯერად კი, სულ სხვა ზრახვებით იყო შეპყრობილი და მას მხოლოდ ინტუიცია და მარტივი ველური ინსტიქტები მართავდა.

მექანიკოს შერმადინის ჯიხური დაკეტილი და ცარიელი დახვდა. შავღრუბლიანი ცის გუგუნი ჯერ კიდევ შორიდან ისმოდა, თუმცა აშკარად ეტყობოდა, რომ მალე საშინელი ღვარცოფი დაიწყებოდა.

«...ათავისუფლე მონები..!» – გაახსენდა ისევ წარმოსახვის შავცხენიანი ჯეელი. ეს განზრახვა მყარად ჩაიდუღაბა გონებაში შოთიკომ და ცარიელ, ბინდბუნდიან ზოოპარკში მარტოდ დარჩენილი, გალიების გაღებასა და იქიდან ცხოველ-ფრინველთა გარეთ გამოშვებას, ანუ მათ გათავისუფლებას შეუდგა.

ყველაზე ბოლოს ცხოველთა მეფე გამოუშვა შოთიკომ ვოლიერიდან. «მეფის და» საერთოდ არ გახსენებია. კანაფის ხისკენ არც გაუხედავს. უკვე მუხლებამდე წყალში მდგომი, ხილიანის აღმართის ერთ-ერთ სველ ბილიკს ფართხა-ფურთხით აუყვა. მდინარე ვერე შავად და სახიფათოდ იწყებდა ადიდებას.

* * *

ამ ამბიდან ოთხი დღის შემდეგ, ბახტრიონის ქედის მიყრუებულ წვერზე იჯდა შოთიკო, ცხოვრებაში პირველად იღლიაში სქელი წიგნი ამოეჩარა და უკვე დაწყნარებულ

მდინარე ვერეს ხეობას თვალებამოწითლებული გასცქეროდა.

რაღაც ძალიან დიდი და მიუტევებელი რომ მოხდა, ამას უკვე მთელი არსებით გრძნობდა. ამ დღეებში თითქოსდა უცებ დაკაცებულიყო შოთიკო. ტრაგედიაში, რომელიც მთელმა მსოფლიომ გულთან მიიტანა და მხოლოდ მდინარე ვერეს კალაპოტიდან გადმოსვლას დაბრალდა, მხოლოდ მან იცოდა, რომ მისი გაუნათლებლობის და უვიცობის გამო, მისივე დიდი წილიც ერია და დამნაშავედ გრძნობდა თავს. მას ხომ სრულიად სხვა რამ ჰქონდა განზრახული. რამდენიმე დღის წინ ის ფიქრობდა, რომ ცხოველების გათავისუფლებით წარმოსახვის ღმერთის დავალებას ასრულებდა.

ქვემოთ ტრაქტორები და ექსკავატორები მუშაობდნენ და მუყაითად წმენდნენ მდინარის ხეობის დალამულ ნაპირებს. დედაქალაქი ჩუმად გლოვობდა მცირე წარღვნის დროს დაღუპულებს. სადღაც იქით, ვეფხვს კაციც კი შეეჭამა ამ გაგანია «ვეფხისტყაოსნის» ქვეყანაში. არ ჩანდა სხვა ცხოველ-ფრინველიც – ნაწილი წყალდიდობას შესწირვოდა, ზოგს კი, უბრალოდ, თავისთვის ეშველა და ქალაქის შემოგარენის ტყეებისთვის შეეფარებინა თავი. სამაშველო რაზმები ყველა მიმართულებით ეძებდნენ სხვადასხვა გარეულ და სახიფათო ცხოველს. ნაწილი უკვე ეპოვათ და ისევ უკან, გალიებში დაებინავებინათ. საინფორმაციო გამოშვებები ენას არ აჩერებდნენ და გამუდმებით გადმოსცემდნენ ახალ ამბებს რომელიმე გარეუბანში აღმოჩენილი და დაჭერილი ცხოველის--ფრინველის შესახებ.

შოთიკო ხვდებოდა, რომ ამის შემდეგ თავად უნდა ეპოვნა საკუთარი უმეცრების წამალი. ფეხზე წამომდგარმა ჯერ

წიგნს დახედა. მერე მონიშნულ გვერდზე გადაშალა და ტუჩების ცმაცუნით წაიკითხა:

«მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები...»

მერე წიგნი ისევ იღლიაში ამოიდო, ყურსაცვამი მოირგო და ვიდრე ცნობილი პაპის, სოციალისტური შრომის გმირის, ზოოლოგ როსტევან ლომიძის ბიჯით დაუყვებოდა გზას სახლისაკენ, ყურში შემდეგი სიმღერის ნაფლეთი ჩაესმა:

Emancipate yourselves from mental slavery;
None but ourselves can free our mind.
Wo! Have no fear for atomic energy,
‘Cause none of them-a can-a stop-a the time.

Bob Marley/ Redemption song

4. დრამატურგია

გია ეძგვერაძე

შემოქმედი საკუთარი თავის მიღმა – ესაა თანამედროვე სამყაროს მოტო

(ინტერვიუ, ესაუბრა შოთა იათაშვილი)

«ახალი საუნჯის» ბოლო სამ ნომერში იბეჭდებოდა გია ეძგვერაძის კინოსცენარი «iUropa». ახლა, როცა ტექსტის ბეჭდვას ვასრულებთ, ჩავთვალეთ რომ სხვადასხვა თვალსაზრისით საყურადღებო იქნებოდა არტისტთან გასაუბრება და მასთან ერთად გამოკვეთა და დაზუსტება იმ თემატიკის, ესთეტიკის, კონცეფციის, რომელსაც მან ამჯერად მიმართა.

რედაქციისაგან

შოთა იათაშვილი: გია, როდესაც ეს ტექსტი გადმომიგზავნე, თან დაურთე შესავალი, სადაც საკმაოდ ვრცლად განმარტავდი, თუ რატომ აირჩიე ეს მხატვრული ფორმა ამ შემთხვევაში. ერთაგან შენ ამბობდი: «სცენარის ფორმა, ზოგადად, მომწონს, როგორც ლიტერატურული ჟანრი — სისწრაფით, მობილურობით, შეზღუდული, ლამის პროტოკოლური ხასიათით, თავს არმოხვეული გრძელი რეფლექსიებით და მხატვრული პორტრეტების მაღალი და სხარტი შინაარსობრივი დატვირთვებით.» ეს ყველაფერი ალბათ მიბმულია შენი, როგორც ვიზუალური არტისტის, აღქმაზე. შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოების იდეა, მთავარი პერსონაჟის სახე და ის გარემო, რომელშიც ის არსებობს და მოქმედებს, თავიდანვე ვიზუალურ ხატებად გაჩნდა შენში და სრულიად ბუნებრივად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მიიღო სცენარის სახე, თუ სანამ ამ ფორმამდე მიხვიდოდი, გარკვეული გზის გავლა, სხვა ფორმების მოსინჯვაც დაგჭირდა? ხომ არ მოხდა აქამდე გამორიცხვის მეთოდით მისვლა, ანუ სხვა, ასე ვთქვათ,

«რთული» მხატვრული ფორმების, კაზმული მხატვრული სტილის, როგორც შენთვის არარელევანტურის და მიუწვდომელის, მაშინვე უკუგდებით?

გია ეძგვერაძე: კი, ასეა. სცენარის სტილისტიკა ნამდვილად მოიცავს კონცეფტუალური ხელოვნების ელემენტებს, ისევე, როგორც ვიზუალურის. კონცეფტუალური ხელოვნება მკითხველის/მნახველის სრულ შემოქმედებით ჩართულობას ითვალისწინებს, რომელმაც გრძნობად/წარმოსახვით დონეზე თავისუფლად უნდა განავრცოს შემოქმედის მიერ შემოთავაზებული ფორმულა/კონცეფტები. სცენარის წერისას, ასეთივე წესით, რეჟისორის გათვალისწინება ხდება, რომელმაც რედუცირებული მხატვრული ინფორმაცია საკუთარი ხედვით უნდა ამოავსოს.

ჩემი ყმაწვილობის პერიოდში პირველი კონცეფტუალური ნამუშევარი, რომელსაც გავეცანი, იყო ჟინა პაჟის ტექსტი: «ვდგავარ მდინარე სენის ხიდზე, ხელში მიჭირავს თითბრის პატარა ნაჭერი, რომელზეც ამოფხაჭნილია: «H2O, გამჭვირვალე, მაღალი დენადობის თხევადი სუბსტანცია.» მე ვაგდებ თითბრის ამ ნაჭერს სენაში». ეს ბრწყინვალე კონცეფტუალური ტექსტია, რომელიც სრულიად ორგანულად, შეიძლება, სცენარის ბწკარად წარმოიდგინოს ადამიანმა.

საერთოდაც, სინემა და კონცეფტუალური ვიდეოხელოვნება ძალიან დაუახლოვდა ერთმანეთს. დევიდ ლინჩის «Inland Empire» სულ მინიმუმ 5-6 სრულიად დამოუკიდებელ კონცეფტუალურ ვიდეონაწარმოებს შეიცავს, რომლებიც შეიძლება იყოს ნაჩვენები ვიზუალური ხელოვნების გამოფენებზე.

თუ იმ აჩქარებულ რიტმზე ვიფიქრებთ, რაც დღეს სამყაროს ნორმად იქცა ფილმებში, კლიპებში, რეკლამაში, ინტერნეტის ოპერაციებში, «ბლოკჩეინის» ველებში და ა.შ. და როგორც ეტყობა, საზოგადოების სეგმენტების გადაბმულობის ახალ შესაძლებლობად ფორმდება — სცენარი თავისი ტემპით, ულამაზესი სისადავით, სიმარტივით და სხარტი სინტაქსით ძალიან თანამედროვეა, როგორც დამოუკიდებელი გამომსახველობითი შესაძლებლობა.

უზოგადესად კი ერთი დიდი, და ალბათ ჩვენი ქართული საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ ძალიან უცნაური ტენდენცია შეინიშნება დასავლეთში. ზესუბიექტური, აკუმულირებული ხედვები/ტექსტები, რაც ინტენსიურ სიტყვიერ/ცნებით ორნამენტალიკას ითხოვს, კარგავს ზემოქმედების ძალას მკითხველზე/მნახველზე, რა დონის მხატვრულ ხარისხშიც არ უნდა იყოს წარმოდგენილი, ანუ ადამიანების მაგიაში მოქცევის უნარს. მას შემდეგ, რაც პოსტსტრუქტურალიზმმა სუბიექტი გააუქმა (ფუკოს და ბარტის მცდელობებით) და ინტერტექსტუალობის განცდა და შეგრძნება ერთიანი ინტელექტუალური ველის ნორმად იქცა დასავლეთში — სუბიექტური მასალის კვინტენსირების მიმართ გაჩნდა გარკვეული უნდობლობა.

დასავლური კოლექტიური ნათელღების კომუნალური პროექტი (დასავლური ცივილიზაციის მთავარი ოცნება და ნაშიერი) შედის ფინალურ ფაზაში: ინდივიდები იწყებენ განცდას, შეგრძნებას, რომ ნაკადურ (სიკვენტურ) ცნობიერებაში სრულფასოვნად ეკუთვნიან ერთმანეთს და იდეალური კომუნიკაცია სრულფასოვნად თხევადია — აღარ ითხოვს სიმკვრივეებს, კვანძებს, სუბიექტურ ინტენსიურობებს და დამატებით ორნამენტიკას... მე მთელი ჩემი არსებით ვეკუთვნი ამ მოძრაობას — ამიტომ

არც მომსვლია სურვილი, აკუმულირებულ/ორნამენტული რეალობის შექმნის ან წვდომის.

პიროვნება საკუთარი თავის მიღმა — ესაა თანამედროვე სამყაროს მოტო.

შ.ი. და როგორც მე ვხედავ, ასეთია შენი სცენარის პროტაგონისტიც – მარიკო, მეტსახელად იუროპა, რომელიც პირდაპირ ასოციაციას აჩენს ევროპასთან. რატომ იუროპა? რა კოდი ჩადე ამაში? რომ ევროპული კულტურული ცნობიერების ნაკადის შედეგია ის, რაზეც ახლა ლაპარაკობ? მაგრამ გლობალიზაციის დღევანდელ პერიოდში შეიძლება ასე დაიყოს ევროპული და თუნდაც ამერიკული მენტალობის პროდუქტები? მითუმეტეს, ქართული რაკურსიდან. ანუ, რატომ იუროპა და არა, ვთქვათ, ამერიკო?

გ. ე. ცნობილ ინტერვიუში იაპონელ პროფესორთან ჰაიდეგერი გამოჰყოფს დასავლეთის და აღმოსავლეთის ცივილიზაციების კარდინალურ განსხვავებას.

რადგან ზოგადად, ჰაიდეგერი კულტურას ენასთან აიგივებს, ეს განსხვავებაც მას ენიდან გამოჰყავს. აღმოსავლეთს იგი ნარატივზე დამყარებულ კულტურა/ენად გვიხატავს, ხოლო დასავლეთს კი ცნებებზე დაფუძნებულად წარმოგვიდგენს.

ასეთი, ცნებებზე ბაზირებული ენა — ანუ «დასავლეთი»-ს ფენომენი, საბერძნეთში იბადება და მთელი ბერძნული

გონი და მისი პროდუქტი ცნებების ამოვსების და მათი განვრცობა/ხორცშესხმის (ანუ «ეიდოსთან» შესატყვისობაში მოყვანის) შემოქმედებითი პრაქტიკაა. სწორედ ეს ცოცხალი, ყველა სოციალური ტერიტორიის მომცველი, ცნებათა ქმნადობის შემოქმედებითი პროცესი განსაზღვრავს ბერძენთა სიცოცხლისუნარიან, გაფურჩქვნად/გადახსნილ სიდიადეს — ფილოსოფია იქნება ეს თუ ლიტერატურა, ყოფითი პრაქტიკები თუ თავისუფალ მოქალაქეთა სოციალური აქტივიზმის ფორმები — ყოველთვის და ყველგან ცნებათა შემოქმედება საზღვრავს ბერძნულ «პათოსს».

სწორედ ამიტომ დასავლური ცივილიზაციის ძირის ამ ტერიტორიაზე სწორედ ცნებათა შემოქმედების ველი მოიაზრება ადამიანთა ე რ თ ო ბ ი ს გარანტად. ნეგატიური ცნების ამოვსება/გასრულება, მისი სრულფასოვანი გაცხადება სამყაროში, იგივე სიმაღლის და მნიშვნელობის პატივსაცემ როლად ითვლება ყოფიერებასთან მიმართებაში, როგორც სიკეთე/სიქველის ცნების ხორცშესხმა. ასეთმა უცნაურმა აბსტრაქტულმა ერთობამ დაბადა დემოკრატიის და მოგვიანებით, კომუნალური ნათელღების იდეა. ამ მიზეზითაა საბერძნეთში ერთიანი სისავსე და უწყვეტი ყვავილობა ყველა უბანზე.

მაგრამ, ანტიკურ სამყაროში, ფუნდამენტური ბინარული წყვილი «თავისუფალი და მონა» გონის მიღმაა დარჩენილი. «მონა» ანტიკურ ცნობიერებაში საერთოდ არ ფიგურირებს, როგორც სიცოცხლის მატარებელი აგენტი, იგი საერთოდ უგულვებელყოფილია. არისტოტელე მონობას ბედით განსაზღვრულ ნორმად თვლის (რაც თანამედროვე დასავლელი ინტელექტუალების დიდ შეშფოთებას იწვევს დღესაც). ამიტომ ანტიკურ

ტერიტერიაზე ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს იდეა ჯერ კიდევ სუროგატულია.

ერთობის იდეის განვითარებაში შემდეგი ეტაპი დასავლეთში მაცხოვარმა შემოიტანა. იგი ამ უგულვებელყოფილ ბინარულ წყვილს («თავისუფალი და მონა») სრულფასოვნად აყენებს კითხვითი ნიშნის ქვეშ და ამით ერთიანობის იდეას სრულიად თანმიმდევრულს ხდის!

მაგრამ ამით, რასაკვირველია ანტიკური სამყაროს ცნებათა სპექტაკლის სიმწყობრე ირღვევა — ენის განხორციელების შემოქმედება აღარ არის სპექტაკლში მონაწილეთა დემოკრატიული ერთიანობის გარანტი. უქმდება თავად პიესის არსი — სიცოცხლის განხორციელება ენით — და ამიტომ სპექტაკლიც.

იწყება უკუპროცესი, ანუ ცნებების გადაფასება, დესტაბილიზაცია, დეკონსტრუქცია და ამის საპირწონედ ძირითადი ბინარულობის (თავისუფალი-მონა) გადამძლევი სიმწყობრეების შექმნა. აქ თამასამ აიწია და ჯერჯერობით ძირითადი მიზანი (უპირობო ერთობა) მხოლოდ ტრანსცენდენტულში თუ მოიაზრება. ამიტომ იწყება ამ დინამიკით დამუხტული ეპისტემების გაუთავებელი ისტორიული ცვლა და ღირსეული მოდელის ძიება ეპოქიდან ეპოქამდე. მე-20 საუკუნისკენ პროცესი კიდევ უფრო ჩქარდება, იბადება არამარტო სულიერი, არამედ სრული სოციალური თანასწორობის იდეაც — ასეთი მგზნებარების შედეგად დიდი მოაზროვნეები აფორმებენ «გრანდ-ნარატივებს» (სამყაროს სრულფასოვანი აღწერის მცდელობებს — მარქსი, ჰეგელი...), სადაც სრულფასოვანი ერთიანობის იდეის განხორციელების ლოგიკურ-რაციონალური გზის და მეთოდის მოძიების მცდელობებია

დაფიქსირებული. სცენაზე შემოდის «ყოფიერება-არსებობის» გამიჯვნის იდეის ჩამთავრების მიზანი (ჰაიდეგერი); შესაძლოა, ინდივიდუალურ/სრულყოფილი კოსმოსების კონგლომერატის ხარჯზე (მოდერნიზმი) და ბოლოს, სიკვენტური ცნობიერების დენადურობაში ადამიანის ტოტალური განზავების პოსტმოდერნული პათოსიც — დროისა და სივრცის გადამლახველი «ტექნოლოგიური სინგულარობის» პერსპექტივით.

ეს აღწერილი აურზაური, ანუ «კომუნალური ნათელღების» დასავლური გზის ისტორია, უმტკივნეულესი ჭინთვებით, დაბადა ევროპამ, ამერიკა მისი ორგანული და ვიტალური გაგრძელებაა.

«ევროპის დაბადების» მითში, როცა თეთრი ხარი (ზევსი — ყოფიერების სიმბოლო) იტაცებს ევროპას (ადამიანს, ანუ მის ცნობიერებას) და ორივენი დინებად წყლებს შეუერთდებიან, თითქოს უკვე დაფიქსირდა ცივილიზაციის კეთილი ფინალი... ანუ ადამიანის მიერ ყოფიერების სრულფასოვანი გახსენება (როგორც ამას ჰაიდეგერი იტყოდა), როცა ცნობიერება ყოფიერებას მისი წყლების დინებაში გაუერთიანდება.

კოსმოპოლიტიზმი აღმოსავლეთის იდეაა — რომელიც «ვედებშია» უკვე გაცხადებული, გლობალიზმი კი სწორედ დასავლეთის პირმშოა და პოსტმოდერნული ბედნიერების ხატი!

მაგრამ ისტორია სწორხაზოვნად არ ვითარდება და მის პროგრესს არც ტერიტორიალური მთლიანობა გააჩნია. მარიკო, ზემოთ აღწერილი «ქარბუქის» ლოკალური ნიავია, ახალი ადამიანია — დასავლეთის ამ მეტამორფოზული პროცესების რეალური სუბიექტი. იგი ცხადად ხედავს და აცნობიერებს პროვინციული/ლოკალური საზოგადოების

ყველა შრის აქტიურობის და მიზნების აცდენილობას კარდინალურ ხაზთან. ეს არის მისი ტკივილი. თავად მას კი უზენაესი სულიერების ბედისწერა ხელმძღვანელობს: ციფრები, რომლებსაც მას დროდადრო აუტისტი ძმა გიგა ეუბნება, მათეს სახარებიდანაა და მარიკო ამ ღიაობის კვალს მიჰყვება.

შ. ი. ეგ არც მიფიქრია. ანუ ბიბლია ამ ტექსტის კითხვისას გვერდით უნდა გვედოს და როცა მარიკო თავის ძმასთან თამაშობს, უნდა გავარკვიოთ, სინამდვილეში რაზე ლაპარაკობენ ისინი? და ეს ციფრები თუ რიცხვები, უცნობები: საბოლოო ჯამში ალგორითმთან ხომ არ მივდივართ? გინდა, შენი შემოქმედება ალგორითმული იყოს? არის ეს სცენარი ალგორითმული? და საერთოდ, თანამედროვე ხელოვნება რამდენად გახდა და ხდება ალგორითმული?

გია: ჰო, სცენარში ეს ხაზი ცალკე მისტერიაა. ასეთი სვლა სცენარის კულტურაში უჩვეულოა: თუ მიუხვდი, რომ ხსენებული ციფრები სახარების თავის და ბწკარის აღნიშვნებია ფილმში, ფილმი თავიდან უნდა ნახო და გააანალიზო. ეს იყო ჩანაფიქრი — ფილმთან რეფლექსური დამოკიდებულებით დაბრუნება. სახარება, ზოგადად, ადამიანის მოწყვლადი არსებობისთვის შემოტანილი ალგორითმია, მაგრამ ხელოვნება ამ გზით არ მიდის. პოსტმოდერნის ფლაგმანის, პოსტსტრუქტურალიზმის დევიზი სტრუქტურალიზმთან დაპირისპირებაში იყო: «აქტუალური ის არის, რაც სტრუქტურაში არასტრუქტურულია». ასე რომ გადახრა, აცდენა, სნეულება არის ის, რაც ხელოვნებამ გამოყო თავისი ყურადღების საგნად. ამას კი ალგორითმში ვერ მოაქცევ — თუმცა, უსაშველო პარადიგმატული მასალის გაანალიზებით ალბათ ზეკომპიუტერი ამასაც განსაზღვრავს ოდესმე და

«სინკოპა» ჰარმონიის არა ინტუიტიური საჩუქარი, არამედ გათვლილი ელემენტი გახდება.

რაც დღეს ხდება ხელოვნებაში, ესაა მესიების და «მეტაგზავნილების» ჩამთავრების სინდრომი. მოდერნიზმის დიდი, ინდივიდუალური სტილები ჩამთავრდა, მათი მონაპოვარი ენის გამამდიდრებელ ელემენტებად დარჩა არტ-ენის არქივში. ამ გამდიდრებულმა და არტიკულირებულმა თანამედროვე ხელოვნების ენამ კი დღეს «კომუნიკაცია» დაისახა მიზნად, მაღალი დონის კომუნიკაცია — არაპირობითი ნიშნებით. დღეს არავინ ელის შემოქმედისგან სამყაროს ყოვლისმომცველ კონცეფციას (როგორიც იყო სეზანის, გოგენის, მალევიჩის, მონდრიანის, პოლოკის და ა.შ. ხედვები). დაგროვილი უზარმაზარი ინფორმაციის მასალა შესაძლებლობას იძლევა უსასრულო თვითგავრცობის, თამაშების, რებუსების, წივილ-კივილის, ჩურჩულის, გარინდების — რისიც გნებავთ... — ანუ ოდესღაც ამაყად სუბიექტურ/ინდივიდუალურმა, მებრძოლმა ტორეროს ხარმა (მოდერნის შემოქმედი) დღეს ტრანსგენდერული მეტამორფოზა განიცადა და მწველავ ძროხად იქცა...

ხელოვნება მთავრდება იმიტომ კი არა, რომ წყდება, იმიტომ, რომ ამბიციის საჭიროება აღარ არის, დრამატულმა ამოწურა თავი კაცობრიობის ისტორიაში — წინ ყველაფრის გადამშლელ/გადამხსნელი «ტექნოლოგიური სინგულარობა» გველის — რაღა დროს ხელოვნებაა, თავისი კვლევებით, გასხივოსნებით, გარღვევებით. ხელოვნება შემორჩება როგორც ფორმის უწყვეტი თამაშები — განსაკუთრებით არქიტექტურაში და დიზაინში.

შ. ი. და კინემატოგრაფში? რაკი ყველაზე ახალგაზრდაა, ეს სინორჩე ყველაზე ადეკვატურს გახდის მას იმ პროცესებისადმი, რომელიც შენ აღწერე? და სცენარის ფორმაც ამიტომ შეარჩიე? დაბოლოს, ისევ მარიკოს თუ მივუბრუნდებით და რაღაც პარალელის გავლებას მოვინდობთ, შეიძლება გაგვახსენდეს გია – ოთარ იოსელიანის «იყო შაშვი მგალობელიდან». ორივენი დადიან, ეკონტაქტებიან ადამიანებს სხვადასხვა სოციალური თუ კულტურული სივრცეებიდან, თან, ამავე დროს, თითქოს გაურბიან, ხან გეჩვენება, რომ რაღაცას იღებენ მათგან, ხან კი პირიქით – რომ ვერაფერსაც ვერ იღებენ... ამ მხრივ ჰგვანან ისინი ერთმანეთს, მაგრამ ძალიან არ ჰგვანან იმით, რომ კარდინალურად განსხვავებულ ეპოქებში უწევთ ეს მოძრაობა. შენი სცენარი უკვე ფილმად ქცეული რომ წარმოიდგინო, როგორი იქნება იგი ოთარ იოსელიანის ფილმთან მიმართებაში?

გია: პრინციპში, ზუსტად გაარტყი. თუ ოთარ იოსელიანის «იყო შაშვი მგალობელი» აქვს კაცს ნანახი და გაგებული, მარიკოს იმიჯის წვდომა შედარებით გაუადვილდება. მეტიც, კიდევ უფრო გაფართოებული პარალელია «შაშვს», მერსოს (კამიუს «უცხო») და მარიკოს შორის. სამივე, სოციალური ცხოვრების უსაშველოდ პირობით და ილუზორულ ღირებულებას აშკარად და მტკივნეულად ხედავს, შესცქერის როგორც აბსურდის სპექტაკლს, რომელშიც რეალური რწმენით მონაწილეობა მათ არანაირად აღარ შეუძლიათ! სამივესთვის, სხვა ადამიანების მიერ საზოგადოების ცხოვრებაში ჩართულობა, მათი ყოველდღიურ «საქმეებში» მონაწილეობა, ყოველგვარ რეალურ არსსაა მოკლებული. იოსელიანის გმირს ეს მხოლოდ რაღაც გუმანით ესმის,

მაგრამ გაოცებულია და არ იცის, რა უყოს ამ «გაყალბებულ სპექტაკლში» მონაწილეობის საკუთარ შანსს. «შაშვი» დაბნეულია, რადგან არც ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს ინტუიცია გააჩნია და არც ტრანსცენდენციის იცის ჯერ რამე. ასე, უტერიტორიოდ არის დარჩენილი — თვალახელილი, ქუჩებში და ადამიანებს შორის მობოდიალე არსება. კამიუს მერსო არამარტო სრულიადაა დაშორებული სოციუმის წვრილფეხობის ყაყანსა და სიბეცეს, არამარტო უკან აქვს მოტოვებული ეს ფენომენი, მას უკვე ონტოლოგიურშიც აქვს ფეხი ჩადგმული ფუნდამენტურად! მისი გონება «სიკვენტური» ცნობიერების მატარებელია — ცნებებით, მათი ღირებულებებით და წარმოდგენებით კი არ არსებობს, არამედ უშუალოდ განიცდის ყოველ მოცემულ წამში ყოფიერების ჩუმ, ექსტატურ სუნთქვას ყველაფერში. მისთვის, ყოფიერების სივრცეში ჩაღვრილისთვის, არსებობის მომთხოვნი კანონი მხოლოდ მოუხერხებელი უხერხულობაა! მარიკო ამ ორს შორისაა — მისთვისაც სოციუმის გულგამაწყალებელი აბსურდი თვალსაჩინოა, მაგრამ ოდნავი დანანებით და სევდით (ზოგჯერ გაბრაზებითაც) ჯერ კიდევ სტკივა ადამიანები და მათი უსასრულო ჩაძირულობა ილუზიებში! იოსელიანის გმირისგან განსხვავებით, მარიკოს სრული ინტუიცია აქვს «სხვა», ყოფიერების გადახსნილი სივრცის არსებობის. მან ყოფიერებაზე მიმართული მოძრაობის ვექტორი ძალიან კარგად იცის. მარიკო ის ეტაპია, რომელიც ადამიანებთან და მათ პირობით ფასეულობებში ფუთფუთთან გამოთხოვების ჟამს ემთხვევა — ანუ ეთხოვება იმ «პერვერსიულ საბავშვო ბაღს», რასაც სოციუმი წარმოადგენს, როგორც კომუნალური თანაცხოვრება. «მარიკო და ხარი», სწორედ ადამიანის და ყოფიერების ერთობის სიმბოლოა. გიგა, მარიკოს ძმა კი ყოფიერების უშუალო მატარებელი გამტარია («ნერდი»). ერთმა მკითხა:

რატომ არ არის მარიკო სუიციდურიო. მარიკო არ შეიძლება იყოს სუიციდური, რადგან სუიციდური სოციალურ ღირებულებებზე მყარად და ბრმად ორიენტირებული ხალხია მხოლოდ; ამ ღირებულებების ვერ მომხვეჭი — სულ ერთია, სიყვარული იქნება ეს, ფული, თუ ბედნიერება. «თვალახელილნი», ანუ ყოფიერების შემყურენი, ან მასში ფეხჩადგმულები, სიუიციდური აღარასდროს არიან, რადგან ამ სიდიადეს პირისპირ შეჯახებული და მასთან დამეგობრებული გრძნობს — საკუთარი არაფერი არსებობს, რაც შეიძლება, რომ მოკლა, ან მოათავო... მარიკო უცნაური ანგელოზია, ღვთაებრივი სიგიჟის გამტარი, უკვე გადაღმა ნაპირიდან მაყურებელი და იქიდან მოლაპარაკე — რომელიც ჯერ კიდევ (ფილმის ფინალამდე) ინარჩუნებს ემპათიას ადამიანების მიმართ! ადამიანი ხომ უცნაური წარმონაქმნია: შიშის, ილუზიის, ძალმომრეობის და ვნება/ჟინის. მარიკო ამ ყველაფერს გამოცლილია და ამაშია მისი სიმსუბუქე და დენადი ბუნება...

iUropa (მე-3 ნაწილი)

პირველი ნაწილი იხ. «ახალი საუნჯე» #10 (52)

მეორე ნაწილი იხ. «ახალი საუნჯე» #11 (53)

(ექსტერიერი, საღამოსკენ, ქუჩა თეთრი სახლის წინ)

მარიკო გამოდის სადარბაზოდან, ხედავს ფარეხის შავ კარზე მის მიერ ჩასწორებულ გრაფიტს: «მე დავეხეტები — ყველაფერი შენი ბრალია!» მიდის ახლოს და კიდევ ერთ სიტყვას მოშლის. ახლა წარწერა ასე იკითხება: «მე დავეხეტები — ყველაფერი ბრალია!». ნელა მიუყვება ქუჩას. შეჩერდება და ცოტა დაბნეული იყურება აქეთ-იქით. ახლოს ახალგაზრდა კაცი ხელში აყვანილ კატას ეფერება და მის წინ მდგომი სახლის მესამე სართულისკენ იყურება.

ახალგაზრდა კაცი (ყვირის ხმამაღლა): ჩამოდი რა, სადა ხარ ამდენ ხანს, ნინო! მოვკვდი ცდით.

მესამე სართულის შუშაბანდის ფანჯარაში გოგონა გამოჩნდება.

გოგონა (ფანჯარაში): სულ ცდაში არა ხარ მთელი ცხოვრება? რა დაგემართა... მოვდივარ.

მარიკო (ბიჭს წყნარი ღიმილით): მართლა სულ ცდაში ხარ?

ახალგაზრდა კაცი (მარიკოს): მერე რა? ეს რომ არ იცდის (ფანჯარაში გოგონაზე ანიშნებს თავის მოძრაობით) და სულ კრიახში და ფოთიალშია, გგონია, უკეთ გრძნობს თავს? (იღიმის) აი, ყველაზე კარგად ვინ არის (უჩვენებს კატაზე და ეფერება) ადამიანებს რაც უნდათ, ამას ყველაფერი აქვს: მოვლა, ჭამა, პატრონობა, სითბო, სიყვარული, თავისუფალი დრო, მოსვენება, თამაში.

მარიკო (ცოტა სევდიანად): მოკლედ, კრუტუნი უნდა ადამიანსაც ხო?.. (ამ დროს კატა მარიკოს უყურებს გაფაციცებით და თან მტრულად) ბაზრობა აქვეა სადღაც ახლოს, ხომ?

ახალგაზრდა კაცი: კი, ორი ქუჩის გადაკვეთის შემდეგ მარჯვნივ გაუყევით, ქუჩას ფერდობი აქვს, რომელიც ზოოპარკს დაჰყურებს და ბაზრობაც უკვე გამოჩნდება — განათებულია ატრაქციონებით.

მარიკო: მადლობა. (გაუყვება ქუჩას)

ახალგაზრდა კაცი კატას დაუშვებს მიწაზე. კატა მარიკოს გახედავს, აგრესიულ ხმას გამოუშვებს და სახლის სადარბაზოსკენ გაიქცევა პანიკურად. მარიკო ორ ქუჩას ჩაივლის, მერე ჩაუხვევს დაღმართზე და ქუჩას მიჰყვება, რომელიც ზოოპარკს დაჰყურებს და მის გასწვრივ გადის. კადრი. ზემოდან მიჰყვება გალიებს. სიჩუმეა. ცხელა. სხვადასხვა ჯიშის მოზრდილი ცხოველები, მზისგან დაღლილები, ვოლიერებში უმოძრაოდ წვანან. მხოლოდ ერთ, დიდ გალიაში, რომელსაც მარიკო უახლოვდება, უამრავი პატარა ჩიტი, სხვადასხვა ფერის და ჯიშის, დაფრინავს, ირევა, და წარმოუდგენელი ჟივილ-ხივილი დგას. მარიკო ამ გალიას რომ გასცდება, ისევ მძინარა ცხოველებიანი ვოლიერების მკვდარი სიჩუმე და გარინდება ჩამოვარდება, მხოლოდ ზოგჯერ რაღაც ფრინველის კრიახი ისმის სივრცეში, მეტი არაფერი. ამ გაყუჩებული სიმკვდარის ფონზე კი, წინ, გადანათებული ატრაქციონების კოშკები ჩანს და ლივლივებს ჩამავალ მზეზე, მაგრამ ბაზრობის ყაყანი ჯერ აქ არ ისმის.

(ექსტერიერი, საღამოსკენ, ჯებირი და ალაყაფის კარი, წინ, მოშორებით მოჩანს ბაზრობა/ატრაქციონი)

მარიკო (შესასვლელში მდგომ ხანშიშესულ მამაკაცს): უფასოდ შემიშვებთ? შეხვედრა მაქვს ბაზრობის უფროსობასთან...

ხანშიშესული მამაკაცი (უღიმის): კი, როგორ არა, ისე, დღეს მალე ვიხურებით და თუ გასეირნებაც მოგინდა, აგერ, იქ (უჩვენებს მიმართულებას), ჯებირზე შეგიძლია მერე გადაძვრე, ახალგაზრდა ხარ და არ გაგიჭირდება. ბალღებისთვის გვაქვს ეგ საშუალება განზრახ არალეგალურად დატოვებული — ფული თუ არა აქვთ და ყურება ეხალისებათ, იციან, რომ მანდ ჯებირს გადაახტებიან (იღიმის). აბა, მაგათ რა ენაღვლებათ, ჯებირზე კალიებივით შეუძლიათ ხტომა, მე ვიკითხო აწი... (ღიმილით).

მარიკო: კი, დახტიან. ერთი გერმანელი პოეტი წერდა: ანგელოზებმა არც კი იციან, მკვდართა ნაკადში არიან თუ ცოცხალთაშიო — ეტყობა, ანგელოზებიც ასე დახტიან ჯებირზე... მადლობა, სიამოვნებით გავისეირნებ... (შედის ბაზრობის ტერიტორიაზე).

ხანშიშესული მამაკაცი (მიაძახებს): ისე, ვისი ნახვა გინდა, მიგასწავლი...

მარიკო (მოიხედავს): მე სავალდებულო ვაქცინირების ოფისიდან ვარ — ხეცურიშვილი მინდა...

ხანშიშესული მამაკაცი: ეგ ხომ მე ვარ... (იღიმის).

მარიკო (მოტრიალდება, გაკვირვებით): დირექტორი?

კაცი თავს უქნევს.

მარიკო (იღებს ქაღალდს ჯიბიდან, დახედავს — მართლაც ხეცურიშვილი წერია): უი, შემშლია (იღიმის, თვალს უკრავს), მხეცურიშვილი წერია, თქვენ ვაქცინირება რაში

გჭირდებათ! მაინც შემიშვებთ? (უღიმის მომხიბვლელად, თბილად, მხიარულად).

კაცი უღიმის და თავს უქნევს.

მარიკოს ფიგურა ბაზრობისკენ მიემართება. მისი სხეული ნელა იკარგება ამ განათებულ, მყვირალა, მოჟრიამულე, მოფუთფუთე ორგანიზმში, რომელიც უკვე საღამოს მუქ ცაზე კუნძულად იკვეთება. კადრში მარიკოს სახეა — ის ისე უყურებს ამ მოხეტიალე, მორბენალ, მოციმციმე სხეულებს, თითქოს პირველად ხედავს. ხედავს ეგზალტირებულ, გასულელებამდე გაფაციცებულ და დაფეთებულ ვაჭრობაში ჩაბმულ სახეებს, სინათლეების თამაშს ამ სახეებზე; მათ დაქიჩმაჩებულ, სასაცილოდ მიზანდასახულ გამომეტყველებებს. ზოგჯერ მისი მზერა იჭერს ბაზრობის უკანა პლანზე განლაგებული ატრაქციონის მანქანების მოძრავი, ხრჭიალა დგუშების შემაშინებლად გაუგებარ ტექნიკურ კონსტრუქციებს: მბრუნავ ხრახნილებს, რიტმულად მომუშავე ბერკეტებს და ზამბარებს. ყველაფერი ეს ეგზალტირებული ხმების, რუსული საესტრადო მუსიკის, ატრაქციონებიდან ნიავის მოტანილი ჟრიამულის და მხიარული წივილ-კივილის ფონზე ირევა და უწყვეტად ირყევა. მარიკო აკვირდება ბილეთებისთვის რიგში მდგომი მშობლების და შვილების სახეებს — მცქმუტავი მოლოდინის გამომეტყველებებით. მარიკო ბორიალობს ამ სიცარიელის დღესასწაულის ლაბირინთებში. ახლა ის ნაჭრების ჯიხურს უახლოვდება, სადაც უამრავი ჭრელი ნაჭერი აწყვია, ჰკიდია, ჩამოკონწიალებულია. მარიკო დაჰყურებს როი

ლიხტენშტაინის კომიქს-ნახატით და ტექსტით გაფორმებულ ნაჭერს.

გამყიდველი ხანშიშესული მამაკაცი (ამჩნევს მარიკოს ინტერესს): საფარდეაო, ჩემმა შვილმა მოათრია, ისე, მეც მამწონს; დათა თუთაშხია იტყოდა ამაზე: სიტყვა კაცია და კაცი – სიტყვა (იცინის). კარგად კი იყიდება...

მერე გამყიდველი სხვა ნაჭერზე უთითებს — რენე მაგრიტის საღამოს ცისფერი ცის და ხის სიბნელეში მდგომი განათებული ქუჩის ჭაღის დაბეჭდილი მოტივის უსასრულო განმეორებით.

გამყიდველი: მგონი ამერიკელი მხატვარი უნდა იყოს — ჩვენი ნიკალასავით კი ხატავს, მაგასაც ცა და სინათლე ჰყვარებია. სიბნელე ხომ ადამიანის მტერია — ნიკალაც ასე, სულ სინათლით ხატავდა სიბნელეზე და ქვეყანას ანათებდა.

მარიკო: მადლობა, კარგი სიტყვებია.

მარიკო ისევ ჯიხურებს მიუყვება. სანტექნიკის ჯიხურთან, პირასაბანებს, აბაზანის ნიჟარებს და უნიტაზებს შორის უეცრად სლავოი ჟიჟეკის ცნობილ ფოტოს შეამჩნევს (მიკრულს ჯიხურის კედელზე), სადაც ფილოსოფოსი უნიტაზებს შორისაა ჩამჯდარი.

მარიკო: ეს ფოტო საიდან?

გამყიდველი (ეშმაკური ღიმილით): ახალგაზრდა ბიჭმა მომიტანა, მითხრა, დაკიდე, კარგი რეკლამა იქნებაო. ალბათ სამმა მაინც იკითხა შენამდე... თვალის სატყუარაა რა, აბა, მეტი რა იქნება — ამ პატიოსან წვეროსანს აქ რა უნდა?!

ბაზრობაზე ნელ-ნელა წყდება მოძრაობა. ჩერდება ცალკეული ატრაქციონები. ხალხი დაშლას იწყებს. მარიკო უახლოვდება ტირს, იქ თითქმის აღარავინაა, გამყიდველი უკვე ალაგებს საგნებს. მარიკო ქირაობს თოფს და ტყვიებს. წინ სამიზნეებია: ერთ მწკრივად დალაგებული პლასტიკის ტკბილეულობები. მარიკო ამოძრავებს ლულას ბუტაფორულ ტკბილეულობებზე, მერე მოულოდნელად მათ გვერდზე მდგომ შავი ფერის თავის ქალაზე დამაგრებულ ანთებულ სანთელს დაუმიზნებს, ესვრის და შუაზე გადატეხავს. ანთებული სანთელი იატაკზე ეცემა — ტირის პატრონი ფართხაფურთხით ცეცხლს აქრობს.

ტირის პატრონი (ცოტა აღშფოთება/გაკვირვებით): ამას რატომ ესროლე?

მარიკო: ეეეე, მე სამიზნე მეგონა — ხომ გავარტყი?!

ტირის პატრონი: რა სამიზნე – ხომ არ გაგიჟდი...

მარიკო: მე მეგონა, თავის ქალა იყო პრიზი — გავარტყი და მომცემ?

ტირის პატრონი: კიდე პრიზი მოგცე? ტირი კინაღამ დაწვი! (ეცინება) ეს თავის ქალა პლასტიკისაა — რა ჭირად გინდა, ფასი არა აქვს...

მარიკო: იმიტომაც მინდა... (უღიმის).

ტირის პატრონი უწოდებს მარიკოს პლასტიკის თავის ქალას. მარიკო მადლობას უხდის და აგრძელებს ხეტიალს, თან თავის ქალა აქვს ჩაბღუჯული. ხალხი სულ უფრო ნაკლებია. მარიკო ახლა დგას და ყურადღებით უყურებს,

მონსტრივით როგორ ტრიალებს ატრაქციონის ერთ-ერთი უზარმაზარი აგრეგატი, სადაც სულ ორი კაცია შიგ – ქალი და კაცი. მარიკოს წინ უცბად 4 წლის ბიჭი გაჩნდება და მის თავის ქალას ეჯაჯგურება. მარიკო დახედავს და სიყვარულით უღიმის.

მარიკო: უი, შენ შეიძლება მომავალი ჰამლეტი ხარ, არა? დაიცა... (უღიმის).

იქვე, ჯიხურში, კანფეტებს ყიდულობს, თავის ქალაში უყრის და ბავშვს აძლევს.

მარიკო: აბა შენ იცი, დიდი ჰამლეტი გაიზარდე საქართველოს გასახარად... გაიქეცი დედიკოსთან (იცინის).

ბავშვი კმაყოფილი გარბის თავის ქალით და კანფეტებით.

მარიკო მოძრაობს პარკის ბნელი ხეების მიმართულებით, სულ უფრო შორდება ატრაქციონს. უკვე ბნელა. ადის ბორცვზე, ჯდება ბალახზე და დიდხანს უყურებს გადანათებულ, მოყაყანე და მოფუთფუთე სიცოცხლის მონსტრ კუნძულს, რომელიც ჯერ კიდევ მოჩანს მის წინ, სიბნელეში. (ხანგრძლივი გარინდებული კადრია, ბაზრობის ალიაქოთთან კონტრასტული). უკვე თითქმის წყვდიადია. ისმის მარიკოს მობილურის ზარი (რომელიც ძალიან უგვანოდ და უხეშად არღვევს გარინდებას).

მარიკო (უყურებს მობილურს, სადაც ბექას სახელი წერია): გისმენ?

ბექა (ჯანმრთელი ენთუზიაზმით): ყველა გაითიშა, რომ წახვედი, მაგ ხალხს უყვარხარ და ნუ, პრაქტიკულად აწყენინე, რა. სულ რაღაც სიტუაციებში მახვევ...

მარიკო: მე რას გახვევ — გახვეულად ხარ დაბადებული.

ბექა: წამოხვალ კლუბში? მე, ვახო და თენგო მივდივართ.

მარიკო: არა, აღარც მახსოვს ეგ რა არის... თან დავიღალე.

ბექა: ხოდა რომ დაიღალე, კლუბი გამოგიყვანს, — ყველა რომ გიცნობს, ენერგიაა. პირიქით, დაისვენებ და თან გაიხსენებ, როგორია. — ეგებ სხვა თვალით შეხედო... მამაჩემის მანქანით ვარ და გამოგივლით.

მარიკო: რომელ კლუბში?

ბექა: მტკვარზე. თან «ფან შოუა» — «youtube»-იდან მაგარ კლიპებს დებენ ეკრანზე, მაგარია... გამოგივლი...

მარიკო: არა, მე თვითონ გამოვალ.

(ექსტერიერი, კლუბის შენობის კედელი, ღამე)

მარიკო მიაბიჯებს ცუდად განათებულ ქუჩაზე კლუბის კედლის გასწვრივ. შენობის მიღმა მდინარის მუქი წყალი მოჩანს. მარიკოს სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ხვდება გზაზე. ზოგი ენთუზიაზმით ესალმება. ბოლოს შესასვლელთან ჩაივლის, სადაც ახალგაზრდების გრძელი რიგი დგას. შესასვლელში მდგომი ორივე მცველი მარიკოს იცნობს და ძალიან გულითადად უღიმიან.

პირველი მცველი: ვაა მარიკო, ძლივს არ გამოჩნდი?! რამდენი წელია არ ყოფილხარ, შემოხვალ?

მარიკო: შემიშვებთ ურიგოდ?

მეორე მცველი (იღიმება): ნახევარი ხალხი აქ შენი გულისთვის დადიოდა — შენ გაგვასწორე წელში და შენ გაცდევინებთ?

მარიკო შედის და შესვლისას ორივეს მეგობრულად გაკრავს იდაყვებს...

(ინტერიერი, კლუბი, ღამე)

მარიკო მიჰყვება ბნელ ოთახებს, მხოლოდ სასმელების გასაყიდი მანქანებით განათებულს დროდადრო. მუსიკა აქ უკვე იმდენად ისმის, რომ კაცს ააცეკვებს. მარიკოს სახეზე ეტყობა, რომ მუსიკამ ძალიან აღაგზნო. მაგრამ, მარიკოს დარბაზში შესვლისთანავე, ისმის სირენის ხმა, სინათლე ითიშება, ბნელდება და სცენის თავზე, დიდ ეკრანზე პულსირებს წარწერა «youtube pause». შემდეგ ეკრანზე უილიამ ბეროუზის ინტერვიუს აჩვენებენ, CBC-ისთვის მიცემულს. ბეროუზი: «Oh writer can profit from things that maybe unpleasant or boring for someone else, becouse he uses those subsequently as material for writing and I would say that the experience I have that's described in «Jankie» so I don't regret. Icidentely the damage to health is minimal – no metter what the American narcotics departament may say.» (კლუბის ხალხი რეაგირებს, სიცილით, აღფრთოვანებით) სრულიად დაბნეული ინტერვიუერი: «But it has done things to your soul...» – ბეროუზს გაკვირვებისგან ბავშვის უშუალობით ეცინება. მარიკოსაც ეღიმება... კადრი წყდება, სინათლე ინთება და ვნებიანი მუსიკა ისევ ავსებს დარბაზს (იგივე მუსიკაა, რაზეც მარიკო და მისი ოჯახი ცეკვავდა სახლში).

მარიკო პირდაპირ ცენტრისკენ მიეშურება და იწყებს ცეკვას... ის ძალიან კარგი მოცეკვავეა, ძალიან სექსუალური, მაგრამ სრულიად არავულგარული და გამომწვევი, განუწყვეტლივ იმპროვიზირებს და მხოლოდ ზოგჯერ, დროდადრო, რამდენიმე ცნობილ საცეკვაო ილეთს გაურევს ხოლმე — ირონიულად და ელეგანტურად! არანაირი ნარცისიზმი, ეს არის შემოქმედება — ცეკვის ფენომენის და მოცეკვავის შემოქმედებითი სულის გამოსახატავად. მარიკოს ცეკვა ყველას ყურადღებას იპყრობს. ბევრი მას ცნობს, ბევრი წყვეტს ცეკვას და მხოლოდ მას უყურებს, სხვები ღიმილით და მოწონებით ერთმანეთს ეჩურჩულებიან.

უცნობის ხმა: ეს დაბრუნდა ეეეე, ახლა ნახე გახურებები...

მეორე უცნობის ხმა: აზრზე მოიყვანს ყველას...

ბექამ და მისმა მეგობრებმაც (ვახო და თენგო), რომლებიც კლუბის აივანზე მაგიდასთან სხედან, შეამჩნიეს მარიკო და დაჰიპნოზებულები უყურებენ მას (ამ ცეკვაში ჩანს მარიკოს მთელი წარსული — მისი ნიჭიერება, მის მიერ სივრცის და ხალხის დაპყრობის სიმარტივე, იოლად საზოგადოების ცენტრად ქცევის ტალანტი — ანუ ყველაფერი, რაც მას ასეთ კარგ სამსახურს უწევდა ერთ დროს და ასეთი უმნიშვნელო გახდა მისთვის დღეს.

ვახო (ბექას): მაგარ ფორმაშია! შენ მაგას ხუთი წლის წინ იცნობდი?

ბექა: არა, საიდან...

თენგო (ბექას): ისე, შენთან რა უნდა — ეტყობა საზოგადოებისთვის გამტრაკებლის როლში ყოფნით დაიღალა და ხუთოსანი ბიჭი დაპრობა (იცინის კეთილად, ბექასაც ეცინება).

ვახო (ბექას): ჩადი, მიხედე — სანამ ვინმე არ აეწეპა.

თენგო: ეგ ვის აიწეპებს, ჩამოფხიკავს ეგრევე... არ იცნობ თუ რა?!

გულიანად იცინიან. მარიკოს ვიღაც ახალგაზრდა ბიჭი - კოქტეილს სთავაზობს ცეკვის დროს.

მარიკო: ალკოჰოლი? (ახალგაზრდა კაცი თავს უქნევს - დასტურად) არა...

ახალგაზრდა კაცი მიდის ბართან, ახალ კოქტეილს ყიდულობს, ბრუნდება — კვლავ სთავაზობს მარიკოს. მარიკო ართმევს კოქტეილს, აგრძელებს ცეკვას და რაღაც ხნის შემდეგ კოქტეილის წრუპვით გადის სცენიდან (ზოგიერთები ტაშით აცილებენ). ბიჭი მარტო აგრძელებს ცეკვას სცენაზე. ბექა ჩამორბის აივნიდან, უახლოვდება მარიკოს, კოცნის...

ბექა: ძაან სექსი ხარ, ეს გარემო გიხდება — ამისთვის ხარ გაჩენილი რა...

მარიკო (თვალებში უყურებს): უი, უი, — ძნელი იყო, მაგრამ მივხვდი, რომ კომპლიმენტია...

ბექა: ხომ ხედავ, სამი წელი გავიდა და მაინც ყველას ახსოვხარ... (მერე უეცრად ცვლის თემას) ჯვრისწერაზე პონტები გაიჩითა, მოკვდებოდი სიცილით! მღვდელი მთვრალი იყო და ხან ღვინო დააქცია დედოფალს კაბაზე, ხან ტექსტი დაავიწყდა, მერე საიდანღაც შავი ძაღლი შემოვარდა — შენ რომ გამოგეკიდა ის, გახსოვს? — მოკლედ, კუთხეში მიაფსა, ნუ, კაროჩე, იქ ატყდა!.. (თემას ისევ ცვლის) ამ ტიპს რა უნდოდა?

მარიკო: ვის?

ბექა: აი, ამ კოქტეილიანს.

მარიკო (ხალხს უყურებს): ბექას უთხარი, არ მევასება და 15 წუთში გარეთ გამოვიდესო... (თვალს უკრავს ბექას).

ბექა: ვიცნობ, ორმოცდამეჩვიდმეტე სკოლა დაამთავრა, მაგარი ნაშები ჰყავდა პასტაიანნად, მაგრამ ვერ იშნობდა...

მარიკო (გარშემო იყურება): ეს როგორ?

ბექა (იმ ბიჭს გაჰყურებს, ის ისევ ცეკვავს): ვერ დაწყნარდა ნუ, ვერავინ ვერ ამოირჩია...

მარიკო: კიდევ უნდა ვეცეკვო — ეგებ ამომირჩიოს...

რამდენიმე ახალგაზრდა უხეშად შემოეჭრება მარიკოს და ბექას საუბარში.

ახალგაზრდა გოგონა (მაგრად დალეული): მარიკო, რამდენი გაგვიგია შენზე, ხალხი მარიკოს გულისთვის მოდიოდაო — მართლა რა მაგრად ცეკვავ, კაცებს ალბათ ქაფი მოსდით პირიდან... — არა, ვახო? (ეჭვიანად და ისტერიულად იცინის)

ვახო (გოგონაზე ბევრად მაღალი ბიჭი, მარიკოს): ხო, რავი (ხელს ჰხვევს მთვრალ გოგონას) აქ ყველას კი მოუხაზე. ეს მთვრალია, არ მიაქციო ყურადღება... (კოცნის თავზე გოგონას).

შეზარხოშებული ახალგაზრდების ახალი ჯგუფი გარს შემოეხვია მარიკოს და ბექას.

ახალგაზრდა კაცი (ახალმოსულებიდან ერთ-ერთი): ხალხი იძახდა, მარიკო შტატებში გაიჩითა, დიდი ფული იშოვაო, ვიღაცამ, ჰოლივუდის ვარსკვლავს გაჰყვა ცოლადო.

მეორე ახალგაზრდა კაცი: ერთი კვირის წინ, ვიღაც მეუბნებოდა, «იუროპა», — შენ ხომ «იუროპას» გეძახდნენ?

— მარსზე წასასვლელ სასტავში ჩაეწერაო... შენ გგონია, ვინმეს გაუკვირდა? (იცინიან).

ახალგაზრდა გოგონა: ოჰ, მაიცა, რა, შეიძლება, სულაც გათხოვდა და აგე, ეს ქმარია... (ბექაზე მიანიშნებს).

მარიკო: გავთხოვდი და შვილი მომიკვდა.

სიჩუმე ჩამოვარდება და ყველა ძალიან უხერხულად - გრძნობს თავს.

მეორე ახალგაზრდა: უუ, ბოდიში, რა...

ახალგაზრდა გოგონა: არ ვიცოდით... დააავიშალეთ ნუ.

ყველა მიდის და მარიკო და ბექა მარტო რჩებიან. ბექა ხელს ავლებს მარიკოს და აივნისკენ ექაჩება, სადაც ვახო და თენგო სხედან, თან გზადაგზა კიცხავს; მარიკო სიცილით ეწინააღმდეგება, მაგრამ მიჰყვება.

ბექა: დარტყმული ხარ, ხო გეუბნები, ვინ შაყირობს ეგეთ თემებზე, გიჟი ხარ, რა... ხალხი გაოგნდა, გოლივუდიო და ამან, ბავშვი მომიკვდაო... ეეეე...

ბექა და მარიკო ადიან კიბეზე, გაივლიან აივანს და მაგიდას მიუჯდებიან ვახოს და თენგოს გვერდით.

ბექა (აღელვებული, თან ინტრიგით ნამდვილად მოხიბლული): გაიგეთ, რა უთხარა ხალხს ქვემოთ? ესენი კომპლიმენტებს ეუბნებიან, ამან კიდე, ბავშვი მომიკვდაო — გაითიშნენ ტიპები...

თენგო და ვახო იცინიან.

თენგო (სიცილით): ძაან კარგი, აბა, რა უნდა ეთქვა მაგათ-თვის, სიკვდილის გარდა მაგათ ვერაფრით შეაშინებ, მეტს არაფერს სცემენ პატივს...

მარიკო: ჰო, რაც არ ახსოვთ, ის აშინებთ...

თენგო: რა არ ახსოვთ?! — სიკვდილი არ აცეკვებთ? აბა, წარმოიდგინე — ვინმე უკვდავი რომ აქ «მარიაჟობდეს» და ცეკვავდეს... (იცინიან).

მარიკო: «კაკრაზ» უკვდავი «მარიაჟობს» თუ «მარიაჟობს». აბა, მეტი რა საქმე აქვს... (იცინის). თქვენ აქ საიდან?

ვახო: ბექამ წამოგვიყვანა — თქვენი ხათრით მაინც მოვა მარიკოო.

მარიკო: და რატო, აქ?

თენგო: ევასება შენთან ერთად როა და ხალხი რომ დაგსდევს.

ვახო (მარიკოს): ბექამ ფერშლობსო. რას ფერშლობ? რა ნემსებს უკეთებ?

მარიკო: «სილისიმულტანიოსბაც» ჰქვია — სერიოზული შარდმდენია, შარდის გაჭედვა მაგარი «აპასნია» — თუ ვერ შარდავ, ტვინში ადისო, იცოდი ეგა? ხოდა ეროვნულ-ნაციონალურ დონეზე დახმარების კომპანიაა — ანონიმური და არაკომერციული, რასაკვირველია.

თენგო: ერი გინდა შარდისგან დაცალო? სანამ ფსამ, კაცი ხარ... რაც უფრო შორს ფსამ, უფრო კაცი — არ გაგიგია? შეკავება რომ არ იყოს, შორს ვერ გააფსამ... (სიცილით იხრჩობიან).

თენგო: რა შარდი, სად გარეკეთ? თემას რატომ ცვლით? სიკვდილზე მოთხრობა მქონდა, აბრეშუმის ჭია გაწირავს თავს, რომ პეპელად დაიბადოს – სხვა, ახალი არსება. ამ ახლადდაბადებულმა პეპელამ კი სულაც არ იცის, რომ მის დაბადებას ვიღაც შეეწირა... მოკლედ, დაფრინავს, დაფარფატებს... (ირონიულად დაჰყურებს მოცეკვავეებს).

მაგრამ ერთხელაც მოუყვებიან ისტორის და მას იმ ჭიის მახინჯ ნარჩენებსაც აჩვენებენ, ვინც თავი გაწირა. — ხოდა, გაითიშება საწყალი პეპელა, ნათურისკენ გაფრინდება და თავს დაიწვავს...

მარიკოს თვალწინ უდგება მისი სიზმრიდან კადრი პეპლებით.

მარიკო: სულელი პეპელა დაბადებულა, — სამყარო მსხვერპლზე დგას.

ბექა: აუ, თენგო, სულ დაგვზაფრე, რა... რაღა ამის ბავშვის სიკვდილი და რაღა შენი პეპელა...

ვახო (მარიკოს): ახლა სანამ მოხვიდოდი «კაროჩე», მე და თენგოს კითხვა გაგვიჩნდა: აი, ამ ხუთოსან ბექასგან რა გინდა?

მარიკო: რაო, აი, ასე თქვა პირდაპირ — უნდაო? (იცინის).

ბექა (ვახოს): რა «ჩორთებს» აგდებთ? რა გჭირთ?... რა უნდა და წესიერი და გონსმოსული ადამიანი... თან იცის, რომ «ფოკუზები» ვიცი და ეგ (მარიკოს უყურებს) უყვარს... ეგეთი რამე გინახავთ?

ბექა იღებს წყლის ბოთლს და (მხიარულ-ეშმაკური სახით) ასხამს წყალს მაგიდაზე მდგარ ლარნაკს ხილით. წყალი ძალიან უცნაურად, რაღაც რხევებით და ტალღებით გადმოდის ბოთლიდან. მარიკო იღიმის (ინტროვერტულად) და ისევ თავისი სიზმრიდან უდგება კადრი თვალწინ მდინარის წყლის ტალღებით.

ვახო: როგორ აკეთებ, ეეე? — კლიპში ვნახე, — დენი გაჰყავთ წყალში, თუ რაღაც ესეთი და მაშინ იწყებს ესე ცანცარს...

ისმის განგაშის ხმა. შუქი ქრება დიდ ეკრანზე, სცენის თავზე ისევ იწყებს წყვეტილად ნათებას წარწერა «youtube pause». მარიკო ტრიალდება, უყურებს ეკრანს. ეკრანზე ჩანს ჟღალი ფერის უსაყვარლესი ფისო, ძალიან მაღალ ანძაზე ამძვრალი, რომელიც წვალობს, ეპოტინება და უკან ვეღარ ჩამოდის. კიბეზე შემდგარი მეხანძრე ფისოს დასახმარებლად ცდილობს მას თავზე მარყუჟი ჩამოაცვას (ახალგაზრდები დარბაზში გულშემატკივრობენ ფისოს, ისმის შეძახილები.) კადრი კანკალებს (მოყვარულის გადაღებულია). ერთ მომენტში, როცა ის-ისაა მეხანძრემ მარყუჟი უნდა ჩამოაცვას ფისოს, ფისო ივაჟკაცებს, ისკუპებს და გადაეშვება ანძიდან, სასწაული სიმაღლიდან, გაიფრენს დიდ მანძილს და მოახერხებს თუ არა მშვიდობიანად დაეშვას მიწაზე, იმ წამსვე მოკურცხლავს და გაქრება, დაეკარგება ყველას. დარბაზში ჟრიამული, სტვენა და ტაშის კვრა ისმის.

ბექა (აქ ბექას კომენტარი ფონად ისმის, კადრში კი უცნობი ახალგაზრდა ამოდის აივნის კიბეზე, უახლოვდება მარიკოს და მისი მეგობრების მაგიდას): «რიჟებზე» იძახიან, ყველა გიჟიაო, ან ეშმაკისეულიო... ირლანდიაში თურმე ეგეთი რომ დაიბადებოდა, ეგრევე წვავდნენ... არადა, მაგარი ლამაზები არიან. არა?

უცნობი ახალგაზრდა (რომელიც მაგიდასთან მოვიდა გამომწვევი ზრდილობიანობით):

ბოდიში, მარიკო, ჩემო დაიკო, ჩემო ძამიკოებო, მე გუჯა ვარ, ხომ გახსოვარ, მარი?!... მე და ჩემს ძმაკაცებს (ხელით აჩვენებს ქვემოთ, სცენასთან მდგომი ბიჭების ჯგუფზე) მაგრა გაგვეხარდა რა, შენი დანახვა, მარი, ერთად რა არ გაგვივლია, რაში არ ჩავჭრილვართ და გაგვიფაიზაღებია... (ცხვირსახოცით კისერზე ოფლს იწმენდს) მარიკო,

საყვარელო, ძაან პატივს დაგვდებ, თუ ერთი წუთით შემოგვიერთდები, ხალხს უნდა, რომ მოგესალმოს და პატივი გცეს... (ბიჭებისკენ) ხო დაგვრთავ ნებას?

მარიკო (ღიმილით დგება): დაგვრთავენ კი... სალამი, გუჯა...

ბექა (მარიკოს უყურებს): OK-ია?

გუჯა (ბექას): OK-ია, OK (იღიმის ცოტა ირონიით, მაგრამ მეგობრულად) არ იღელვო, ძამიკო, ეს ჩვენი დაა, ბევრი წელია უკვე...

მარიკო და გუჯა ჩადიან კიბეებზე და ბიჭების პატარა ჯგუფს უერთდებიან. მარიკო ყველას ხელს ართმევს. ერთი ხელზე კოცნის და თავზე უსვამს ხელს.

ჯგუფიდან ყმაწვილი (ვინც ხელზე აკოცა): რომ არ გვენახე და არ დაგლაპარაკებოდით, არ მოსულა. არ დაგვვიწყნიხარ და ჩვენიანი ხარ «ვეჩნად»...

ჯგუფიდან მეორე ყმაწვილი: ბიძინა (იმ ბიჭზე მიანიშნებს, ვინც მარიკოს ხელზე აკოცა) და გუჯა სულ გახსენებდნენ, ასე რომ, ჩვენც გიცნობთ კარგად...

ჯგუფიდან კიდევ ერთი ბიჭი: იცი, რა არის «კლასიკა»? შენ რომ ძაღლს მოაწევინე და სულ «ნაჩალსტვის» დედა აგინებინე და მერე მაგ ჩანაწერით ძმები გამოაშვებინე... ნუ ეგ «კროიუშჩია» რაა... (აღტაცების სიცილი გარშემო)

ბიძინა: მარი, წამო გარეთ გავიდეთ, შენთვის საჩუქარი გვაქვს — მაგრა გაგისწორდება...

ყველანი მიიწევენ გასასვლელისკენ.

(ექსტერიერი, ღამე, კლუბის წინ)

მარიკო და ბიჭების ჯგუფი გამოდიან კლუბიდან. მიუყვებიან კლუბის შენობას მანქანების სადგომის

გასწვრივ, მერე აქეთ-იქით ფრთხილად იყურებიან და ჩაუხვევენ მარჯვნივ, მდინარისკენ, სადაც მდინარის ფონზე და ხეების ღრმა ჩრდილებში უჩინარდებიან.

(ექსტერიერი, ღამე, მდინარესთან ახალგაზრდების ჯგუფი, გარშემო ბუჩქნარი და ხეები)

ბიძინა: ხვიჩი, გარიკ, თქვენ გააწყალეთ და მე მოვალ და მერე დაგიმატებთ...

ორი ბიჭი (ხვიჩა და გარიკა) გამოეყო ჯგუფს და იქვე, - ახლოს, სიბნელეში იწყებენ ქიმიის გამზადებას.

გუჯა (მარიკოს): მარიკო, კაროჩე, ზღაპარია არნახული... «ლომკა» არა აქვს, ერთი კვირის წინ გადმოგვიგდეს ძმებმა თურქეთიდან. ეგეთი რამე არ გენახოს — «კაროჩე» მკვდრებს აყენებს და ცოცხლებს აწვენს. შენ რომ დაგინახეთ, უშენოდ ამ კაიფს ვერ შევირგებდით...

ჯიბიდან იღებს ქაღალდის პაკეტს. ხსნის... თეთრ ფქვილს ფანრის შუქზე აჩვენებს მარიკოს.

ბიძინა: თოვლია, ხომ ხედავ... რა არის, იცი? მზე გულში და ხელებში მწიფე ატმები... აი, ეგეთია!...

მარიკო (უღიმის): მაგარი საჩუქარია თეთრი მზე, და უეჭველი მადლობები, მაგრამ ოთხი წელია სუფთა ვარ.

ბიძინა (მაგრა გატეხილში): აუ, არა რა, მარი, არ არსებობს! «გრეხია» რა ამაზე უარი... ყველაფერს აზრს და არსს აძლევს, «კაროჩე». ერთხელ მიიღე და მერე შენ იცი... დამიჯერე, სუფთად სიარული რაც არის, ეგეც ვიცი, მაგრამ ეს ცაა და ვარსკვლავებია...

გარიკა: მოდით, მზადაა...

გუჯა (მარიკოს): კაი, წამო, შეხედე და შეიძლება, მერე აპეტიტზეც მოხვიდე, კაი?..

მარიკო, გუჯა და ბიძინა უერთდებიან ხვიჩას და გარიკას, რომლებსაც ცხლად უჭირავთ სითხე ცეცხლის ქვეშ. გარიკა შპრიცებს იღებს წინდიდან. ბიძინას ფქვილიანი ქაღალდი უჭირავს. უეცრად ყველაფერი მძაფრი სინათლით ნათდება.

მეგაფონში ისმის ხმა: არ გაინძრეთ! პოლიცია!..

ჯგუფი პანიკაში მომენტალურად იშლება და ყველა სხვადასხვა მხარეს გარბის უსწრაფესად. ისმის გინება, ყვირილი, ჩანს, როგორ იჭერენ გუჯას, სცემენ, მისდევენ ბიძინას, ხვიჩა მიწაზე გდია და ორი პოლიციელი აკავებს... მარიკო და გარიკა სიბნელეში გარბიან.

მარიკო (გარიკას): მარცხნივ გაიქეცი, ბუჩქებისკენ...

გარიკა იცვლის მიმართულებას, მარიკო კი მდინარისკენ ჩარბის თავდაღმა. სიბნელის გამო ვერაფერს ხედავს, ფეხი უსხლტება, სრიალდება და მდინარეში ვარდება. მარიკო წყალში ჩაყვინთავს და ასე, ყვინთვა-ყვინთვით აგრძელებს ცურვას რაღაც ხანი... როცა პოლიციის სიტუაცია უკან დარჩება, ცოტა ხანი ცურავს, მერე წყალზე ზურგზე წვება და მიჰყვება მდინარის დინებას. უკან მოჩანს პოლიციის სინათლეები და ფორიაქი ნაპირზე.

სიჩუმეა, მხოლოდ დროდადრო წყლის ტალღის ხმა თუ - ისმის. ჩვენ მარიკოს მთვარით განათებულ სახეს ვხედავთ, უხამხამო, მთვარეზე მიშტერებული თვალებით... მერე მარიკო უცბად იბრუნებს პირს და სწრაფად ნაპირისკენ დაიწყებს ცურვას. ამოდის ნაპირზე, იხდის ტანსაცმელს, წურავს, იცვამს და სიბნელეში უჩინარდება.

(ექსტერიერი, ღამე, ქუჩა)

მარიკო მოდის ქუჩაში, უკან, ისევ კლუბის მიმართულებით. აღებს კლუბის უკანა შესასვლელის კარებს და შედის.

(ინტერიერი, ღამე, კლუბის უკანა შესასვლელის დერეფანი, დარაჯის ოთახით).

მარიკო დერეფანშია და დარაჯის სათვალთვალო ფანჯრიდან დარაჯის ოთახში იხედება. ოთახში მოხუცი კაცი ზის. მარიკო ფანჯრის რაფაზე ჩამოეყრდნობა და დარაჯს ესალმება, რომელიც თეფშზე დაჭრილ ხილს და ჩურჩხელას ნელა მიირთმევს. უკან ყრუდ ისმის კლუბის მუსიკა.

მარიკო: სალამი, ვარლამ ბაბუ.

ვარლამი: სალამი, რომელი ხარ?

მარიკო: მარიკო ვარ... გახსოვართ?

ვარლამი: რომელი მარიკო ხარ? ვაშაყმაძის ქალი?

მარიკო: არა, ვარლამ ბაბუა. აი, ის — მთელი ახალი წლის ღამე ამ ოთახში რომ გაატარა ტირილ-ტირილში.

ვარლამი: უი, კი... როგორ არა, საყვარელი გოგო... (იღიმის თბილად) არ მინდაო, ხალხი მეზიზღებაო, რა დავაშავეო... — კი, როგორ არ მახსოვს, დილით მდინარისკენ გაიქეცი — გდიე, გდიე, მაგრამ რას დაგეწეოდი... მერე სულ გაზეთებს ვუყურებდი — თავი ხომ არ დაიხრჩო ბავშვმა-მეთქი... ჰოდა, ახლა გამომეცხადე... კიდე კარგი, ეგ ჯავრი საფლავში არ ჩამაყოლე. მე კი ასე: დავბრმავდი, — გაგიგია, ბრმა დარაჯი? ჰოდა, არ გამწირა ხალხმა... შენ, შენ რას შვები? კიდე უბრაზდები სამყაროს?

მარიკო: ჰო, კიდევ ვერ ვუგებთ ერთმანეთს, მაგრამ ახლა უფრო ის მიბრაზდება, ძალით ჩამაგდო მდინარეში — ახლა სწორედ მდინარიდან მოვდივარ.

ვარლამი: ფრთხილად იყავი, წყალთან თამაში არ ივარგებს, შვილო. ფეხქვეშ თუ საფუძველი მოგეშალა, წაგიღებს, სახლს რაზე ააშენებ, ან კარს, ან საყდარს? მყარად დგომა უნდა ისწავლო, შვილო და სამყაროც შენს გარშემო შემოიკრიბება.

მარიკო: არა... ერთხელ ხარი ვნახე, ჯერ მზეც არ იყო ამოსული. ასე იდგა ტრიალ მინდორში, სიბნელეში, და სრულიად თვითკმარი სუნთქავდა დილის ცივ ჰაერს, თან სხეულის შიგნით სიცხისგან ტყავიდან ორთქლი ასდიოდა, ყველა კუნთი უთრთოდა მზის ამოსვლის მოლოდინში...

არც სახლი ჰქონდა, არც კარი და მისი საყდარი სივრცე იყო...

(სიჩუმე).

ვარლამი: ასეთი რამე არ გამიგია. (პაუზა) მადლობა, შვილო, — ეტყობა იმ ტირილს ტყუილად არ ჩაუვლია...

მარიკო ტოვებს მოხუცს და უკანა დერეფნით კვლავ საცეკვაო სცენისკენ მიდის. ნელა მიიკვლევს გზას მოცეკვავეთა შორის, მერე უხვევს საპირფარეშოს ნიშანზე და გოგოებით სავსე საპირფარეშოში შედის. რიგში დგება.

პირველი გოგონა რიგში (მარიკოს წინ): არა, რა ხდებოდა, იცი?! ეს ჭკუაზე არ იყო, მეღლაბუცებოდა. მოკლედ, თავი გაიგიჟა. და მე მკიდია, გაიგე; ვიცი რომ «ჟოპალიუბია»...

მეორე გოგონა რიგში (პირველს, პასუხად): და მაგის ცოლი... ეგ ხო «ვააბშე» სხვა ისტორიაა, პოლიტ-ლიდერებში წიოკობს და ამ ვიგინდარას ფულებს აძლევს. უყვართ ნუ ერთმანეთი — გაიგე შენ! და მაგან იცი, ერთხელ რა მითხრა? (ყურში ეჩურჩულება, მერე ისტერიულად იცინიან).

მარიკოს უკან მდგომი ახლად მოსული გოგონა (მსუქანი, ბევრი პირსინგით. გვერდზე მეგობარს): ირაკლიმ დააბრუნა და მაგან კიდე ათი ჩამოყარეო და მაგრადაც მიიღო... მაგის ნათრევი არ გაიშვა. დააყენეს კიდევაც «ჩოქბჯენში»... აბა, რა ეგონა, მაგ დედამოტყნულს...

მარიკო გახედავს გოგონას უკან.

უკან მდგომი გოგონა (მარიკოს, გამომწვევად): რა იყო, რამე გეხამუშა? კრუხებს არ ჰგავხარ... რა გჭირს?

უკან მდგომი გოგონას მეგობარი (ჩუმად): გაგიჟდი, ეს «იუროპაა» — ეს აქ მაგის «პალაცია»...

მარიკო გოგოებს ინტერესის გარეშე უყურებს. მერე ტუალეტის კარის გაღების ხმა ესმის, სწრაფად ბრუნდება, ტოვებს რიგს და შემსვლელს ასწრებს ტუალეტში შესვლას.

მარიკო (ტუალეტში შემსვლელს, სწრაფად და დაჯერებულად): მეჩქარება, უნდა დამითმო...

მარიკო შედის და იკეტავს ტუალეტის კარს (კარს უკან - ისმის პროტესტების ვიშვუში და მარიკოს პერსონის გარჩევა). იხსნის შარვალს, ჩაიწევს, საცვალი სულ სისხლშია. მარიკო სასოწარკვეთილი და დაღლილი მიეყუდება კედელს (უკან ვიშვუში არ წყდება). მერე მოულოდნელად უწყებს საკუთარ სასქესო ორგანოს ხელის დარტყმას, რაც რაღაც მომენტში აგრესიულ, მწარე მასტურბაციის მაგვარ მოძრაობებში გადადის. ცოტა ხანში ასევე უეცრად წყვეტს ამ მოძრაობებს, სწრაფად იხდის შარვალს, საცვალს. გასვრილ საცვალს უნიტაზის უკან მიაგდებს, მერე ხელზე უამრავ ტუალეტის ქაღალდს დაიხვევს და ფეხებს შორის ამოიდებს. აიწევს შარვალს, შეიკრავს, გააღებს კარს და გამოვა. — მოწიწინე გოგო აგრძელებს წიწკინს. მარიკო ერთი წამით შეჩერდება მის წინ. სიჩუმე რომ ჩამოვარდება, მარიკო გადის ტუალეტიდან და კიბით ბექას და მისი მეგობრების - მაგიდისკენ მიემართება.

ბექა (მაგიდასთან მდგარ მარიკოს): სად იყავი? გეძებდით. ტელეფონი აქ დაგრჩა ჩანთაში, თან სულ სველი ხარ... —

რა მოხდა?

თენგო: რა არის? მართლა მოხდა რამე?

ამ დროს სირენის ხმა ისმის რაც youtube შოუს დაწყების მაუწყებელია...

სცენის თავზე ეკრანზე პულსირებს წარწერა «youtube pause»...

დარბაზი ბნელდება.

ეკრანზე, სპორტულ ტანსაცმელში ჩაცმული გოგონა, ნახევრად სიბნელეში, მირბის მინდორში. აშკარაა, რომ კამერა ფარულად უღებს (დროდადრო კამერა უხერხულად და ნერვიულად ადგილდება). გოგონას უკან რიჟრაჟი მოჩანს. კადრი მორბენალ გოგონას იახლოებს და იჭერს ახალგაზრდა ქალის მიმზიდველ სახეს (ეს მარიკოა). კადრი ცოტა ხანს ასე მიჰყვება მორბენალს, მერე წყდება. ახლა მოკანკალე კამერის კადრში ხარს ვხედავთ, რომელსაც მარიკო უახლოვდება, ცოტა ხანს შეყოვნდება მის წინ, მერე მიუახლოვდება, სხეულზე ხელებს მოხვევს, ნელა და ნაზად ეფერება. მზის ამოსვლა დაწყებულია და სივრცე სულ უფრო ივსება. შემდეგ მარიკოს სხეული, რომელიც რიჟრაჟს ეფარებოდა, დაბლა იწევს და მისი სახე ხარის მუცლის ქვეშ უჩინარდება. კადრში რიჟრაჟი რჩება. ახლა ჩვენ ხარის მუცლის ქვეშ მარიკოს ვხედავთ დაჩოქილს; მისი სხეულის რიტმულ მოძრაობას კიდევ და კიდევ ... ...

კადრი წყდება, სინათლე ინთება, სრულიად გარინდებულ დარბაზში დროდადრო ჩურჩული ისმის. მუსიკა არ ირთვება... ნელ-ნელა ყველას გაოცებულ/შეშფოთებული თვალები აივანზე მდგარ მარიკოზე ფოკუსირდება და ასობით თვალი შეჰყურებს მას.

ბექა და მისი მეგობრებიც, ნირწამხდრები, ხმაამოუღებლივ უყურებენ მაგიდასთან მდგომ მარიკოს...

დროის რაღაც მონაკვეთი დრამატულ პაუზად იქცა. მერე მარიკო წყნარი ნაბიჯით გაივლის აივანს, დაეშვება კიბეზე, ასევე წყნარად გაივლის ხალხში (ყველა გვერდზე იწევს და გზას უთმობს), ბნელ დერეფანში შეჩერდება, ძალიან უცნაური ღიმილით უკან უკან მიიხედავს გაოგნებული ხალხისკენ და სიბნელეში გაუჩინარდება...

(ინტერიერი, ღამე, მარიკოს სახლი)

მარიკო აღებს სახლის კარს, გაივლის სამზარეულოს, მერე სასტუმრო ოთახს (სადაც მამას სძინავს), შევა საწოლ ოთახში, ფრთხილად მიუახლოვდება ძმის საწოლს და ფაქიზი მოძრაობით გააღვიძებს მას.

მარიკო: რომელი?

მარიკოს ძმა (ნამძინარევად): 10.34

მარიკო მიდის მაგიდასთან, იღებს წიგნს, გადის სააბაზანო ოთახში (ჩვენ მას საწოლი ოთახიდან ვხედავთ), ანთებს სინათლეს და კარზე მიყუდებული აბაზანის შუქზე წიგნში იყურება.

(ინტერიერი, დილა, ნიკას და ქეთის სადარბაზო)

მარიკო დგას ნიკას და ქეთის ბინის კარებთან, რეკავს ზარს. კარი იღება. კარებში დგანან ქეთი და ნიკა. ქეთი უყურებს მარიკოს და თავს აქნევს მარიკოს სახლში არშეშვების ნიშნად. ქეთის უკან მდგომი ნიკა მსუბუქად უღიმის მარიკოს და მარცხენა თვალს უკრავს ქეთისგან მალულად.

(ექსტერიერი, დილა ნიკას და ქეთის სახლის წინ)

მარიკო გამოდის ჭიშკრიდან, ქუჩა და სივრცე ცარიელია, ბორცვზე (სადაც ბექა იჯდა) არავინ ჩანს. მარიკო მიუყვება ქუჩას დაღმართში. მის მობილურზე ისმის SMS-ის მოსვლის ხმა. ვხედავთ ბექას მონაწერს: «ძალიან შევრცხვით. ვერაფერს ვერ ვიგებ».

მარიკო ბორცვებს შორის, სიცარიელეში უჩინარდება გზაზე.

(ექსტერიერი, დილა, ცენტრალური ქუჩა)

მარიკო მიუყვება ცენტრალურ ქუჩას. ქუჩაში ხალხი ცდილობს, თვალი აარიდოს მარიკოს. ჟურნალ-გაზეთების ჯიხურში ერთ-ერთ გაზეთში პირველ გვერდზე ფოტოილუსტრაციებია — კადრებით youtube-ის ხარის და მარიკოს კლიპიდან, სადაც რამდენიმე კადრზე მარიკოს «Adidas»-ის ქურთუკი კარგად ჩანს. სტატიის სათაურია: «დასავლეთის დამღუპველი გავლენა ეროვნულ მორალზე». მარიკო იღებს გაზეთს. მერე გამყიდველს გაზეთში თავის იმიჯზე უთითებს და ხელით ანიშნებს, ეს მე ვარო. კადრშია მარიკოს გვერდზე მდგომი მყიდველის გაოცებული სახე...

(ექსტერიერი, დილა, ქუჩა, ორი მოხუცი ქალბატონის ბინის კარი — საიდანაც მარიკომ გველი მოიპარა)

მარიკო დგას კარის წინ. ხელს წევს, რომ დარეკოს ზარი, მაგრამ ხელი ჰაერში უჩერდება. მერყეობს, შემდეგ ტრიალდება და თავქვე დაეშვება მდინარისკენ (სადაც ერთხელ გველი გაუშვა). მდინარის ნაპირზე მარიკო ხსნის ჩანთას და მის შიგთავსს წყალში ყრის... წყალში ცვივა შპრიცები, ამპულები, ანესთეზიის საშუალებები. შემდეგ იგი ზემოთ, გზისკენ მიდის. მაგრამ უცბად მოტრიალდება, ისევ წყალთან ჩაირბენს და ჩანთას შორს მოისვრის. ჩანთა ნელა გაჰყვება დინებას...

(ექსტერიერი, დღე, მარიკო შედის თავისი სახლის ეზოში, სადაც მცენარეები ბევრად ცოცხლად გამოიყურება. მიდის სახლისკენ და შედის კარებში.)

(ინტერიერი, დღე, მარიკოს სახლი)

მარიკო სწრაფი ნაბიჯით შედის ძმის, გიგას ოთახში.

მარიკო (დამაჯერებლად, ოდნავ ღელვის ნიშნებით): უნდა წავიდეთ, გიგა. დიდი გასეირნება გვექნება... თავს დავიბან და დავიძრათ.

მარიკო შედის სააბაზანოში. კარებიდან ვხედავთ, რომ თავს იბანს.

გიგა: შეენ გუშშშინ გაგიჭირდა ხო?..

მარიკო: არა, რატო? — საიდან აიღე?

გიგა: რავი, ესსსსე მეგონა...

მარიკო აგრძელებს თავის დაბანას. ისმის წყლის ხმა. გიგა ფანჯარაში იყურება, სადაც აბრეშუმის ჭია ფანჯრის შუშაზე უცნაურად იკლაკნება. გიგა მიგორდება ფანჯარასთან, ჭიას თითზე აიყვანს და იქვე მდგარი ლარნაკის წყალში ჩაუშვებს...

გიგა (უყვირის მარიკოს): ამმმას ალბათ წყალლლლი სწყუროდა...

მარიკო (აბაზანიდან): ვის? რას ამბობ?

გიგა (უყურებს, თუ როგორ იგრიხება, ახლა უკვე წყალში, ჭია): ერრრრთია აქ... არ იცცის ცურრრვა... ეტყობა, ფრენა უნდა, მაგრამ ჯერ არც ეგ იცის... (იცინის) ისევ ფანჯარაზე გადავსვამ...

გიგა იღებს აბრეშუმის ჭიას და ისევ ფანჯარაზე სვამს. აბრეშუმის ჭია ახლა ფანჯრის გამჭვირვალების გაუვალობას ებრძვის და ისევ იგრიხება.

მარიკო გამოდის სააბაზანოდან. თავზე პირსახოცი აქვს მოხვეული. მიდის სარკესთან, თმას პირსახოცით იმშრალებს და პირსახოცს იხსნის. მარიკოს თმა ჟღალი ფერით ანათებს.

გიგა (უყურებს): ეეეე, რა ქენი? (იცინის) იმ კნუტს ჰგავხარ, რომ გადმოხტა...

მარიკო: შენ რა იცი?

გიგა: შენ არ ნნნახე გუშინ? ხოდდდა მეეეეც ვიცი...

მარიკო: კაი, წავედით?

გიგა: ჩჩჩემი ლლლამაზი წწითთთელი «კურტკა» მომე, რა...

მარიკოს მოაქვს «კურტკა». აცმევს.

გიგა (კმაყოფილი): ახლა წავიდდდდეთთ...

მარიკო მიაგორებს გიგას ეტლს კარებისკენ.

(ექსტერიერი, დღე, მარიკოს და გიგას სახლის ეზო, სადაც მცენარეები საკმაოდ გამაგრდნენ)

მარიკო ახლა უკვე ეზოში მიაგორებს გიგას ეტლს. ჭიშკრიდან გადიან გზაზე. უახლოვდებიან ავტობუსის გაჩერებას. მოდის ავტობუსი, მარიკოს აჰყავს გიგა ეტლით ავტობუსში. კარი იხურება. ავტობუსი იძვრის.

(ავტობუსის ინტერიერი, დღე)

მარიკო (მძღოლს)

: აქ გაგვიჩერეთ...

ავტობუსი ჩერდება.

(ექსტერიერი, დღე, ავტობუსის გაჩერება)

მარიკოს გადმოჰყავს გიგა ავტობუსიდან და ახლა მარიკო ეტლს იმ გზაზე მიაგორებს (დიდი ძალისხმევით), სადაც ფილმის დასაწყისში თვითონ მიდიოდა. ჩვენ ვხედავთ დანგრეულ სახლს (სადაც მარიკომ ფილმის დასაწყისში ტანსაცმელი გამოიცვალა). მარიკო შედის სახლში, იქიდან ზურგჩანთა გამოაქვს და ახლა უკვე ღია მინდორში მიაგორებს გიგას. კადრი ქვემოდანაა — ჩანს ბალახი, ეტლის ბორბლები და მათ ზემოთ გიგას და მარიკოს სახეები, სივრცის გრძნობით ეგზალტირებული და მიზანდასახული.

კადრში ხარის ზურგის სილუტია წინა პლანზე და სივრცეში ჩანს, როგორ ახლოვდებიან გიგა და მარიკო და მალე ხარის წინ ჩერდებიან. გიგა იცინის...

გიგა: რა მაგარია... არ ვიცცცცოდი რომ ამხელაა... იმ დილას, შენ რომ ნახე, უუუუფრო პაააატარა მმმომეჩჩჩვენა...

მარიკო ეხმარება გიგას წამოდგომაში, დიდი ჯახირით და გაჭირვებით შესვამს ხარზე. მერე თვითონ წყნარად იხდის ტანსაცმელს, შიშვლდება, მხოლოდ ზურგჩანთას ირგებს მხრებზე, ადის გიგას ეტლზე და იქიდან ახერხებს, რომ შეაჯდეს ხარს გიგას უკან.

მარიკო (გიგას): რომელი?

გიგა: 19.14

ცოტა ხანი გიგაც და მარიკოც ცაში იყურებიან და მზით ტკბებიან. მერე ხარი იძვრის და ეს პატარა ჯგუფი ქალაქისკენ იღებს გეზს...

(ექსტერიერი, დღე, ქალაქის ცენტრი)

ხარზე შემჯდარი გიგა და შიშველი მარიკო მოძრაობენ ქალაქის ქუჩაში. ხალხი გარშემო სრულ შეცბუნებაშია — რა გრძნობას არ ამოიკითხავთ მათ სახეებზე: გაოცება, მიუღებლობა, გაუგებრობა, ზიზღი, შეცბუნება, დაბნეულობა, აგრესია. დროდადრო ხალხის ამ მასაში თვალში გვხვდება ნაცნობი სახეები ფილმის სცენარიდან. მანქანები აჩერებენ, იქმნება საცობი. აქ-იქ, დროდადრო ისმის საპროტესტო შეძახილები, ბევრი ცდილობს, თვალი აარიდოს ამ მსვლელობას. პოლიცია და ვიღაც აღშფოთებული უცნობები ცდილობენ, გააჩერონ სამეული, მაგრამ ხარი არ აძლევს არავის მათთან ახლოს მიკარების საშუალებას.

გიგა (აღზნებული და აჟიტირებული შეჰყურებს ხალხს და გარემოს ფართო ღიმილით): ამდენننი არც მინننნახია ერთად... რა ტიპებბბი ყოფილან, ეეეე...

მარიკო, აბსოლუტურად უდრტვინველი გამომეტყველებით, წინ იყურება, ქუჩის ბოლოსკენ, იქით,

სადაც მდინარე ჩანს...

ასეთი მსვლელობით ჩაუყვება სამეული მდინარისკენ ქუჩას, მერე ხარი ნელა შევა მდინარეში, შეცურავს წყალში და სამივე (მარიკოს და გიგას ხარის თითო-თითო რქაზე უკიდიათ ხელი) გაჰყვება დინებას უკანმოუხედავად, წყლის ნაკადს მინდობილი... მალე სამივე ფიგურა ქრება ჰორიზონტზე.

კადრში მდინარე რჩება.

ვიზუალური ანიმაციისთვის გამოყენებულია ქეთი ამაშუკელის და მინდია მინდაძის ფოტო პორტრეტები

5. ესეისტიკა, კრიტიკა

ლელა კოდალაშვილი

ახალშობილი, რომელსაც გაზრდა არ აცალეს

დოკუმენტური პროზა – რომელიც დიდ ქვეყნებში ძალიან პოპულარულია, ჩვენთან კი ერთგვარად უხერხულ ჟანრად მიიჩნევა, კანტიკუნტად მაინც იწერება. ლექსს, რომანსა თუ მოთხრობას მიძალებული ქართველი მწერლები იშვიათად ჰკიდებენ მას ხელს. ვფიქრობ, ამას გარკვეული მიზეზებიც აქვს – იქ ასახული სინამდვილე ჩვენი ქვეყნის ახალ თუ უახლეს ისტორიას, ან საზოგადოების რომელიმე წრის ცხოვრებას შეეხება ხოლმე, რაც ჩვენს პატარა სოციუმში ხშირად პრობლემას ქმნის – ადამიანებს ამ ყველაფერზე სხვადასხვა აზრი აქვთ. მათ არ უნდათ სხვის მიერ წარმოდგენილი დომინანტური ვერსიის მიღება, გარჩევები, კონფლიქტები, რაღაცების მტკიცება...

თუმცა გაჩნდა ამ ჟანრის ერთი საინტერესო მიმართულებაც – ზეპირი ისტორიები. უფრო სწორად, ადრეც არსებობდა, ძირითადად მხოლოდ – ცნობილ ადამიანებზე მოგონებების სახით. დღევანდელობიდან კი, პირველი, რაც მახსენდება, გიორგი კეკელიძის «გურული დღიურებია», სადაც ზეპირ ისტორიებზე დაყრდნობით, რიგითი, უბრალო ადამიანების მონათხრობის მეშვეობით მწერალი ასახავს ეპოქას, ისტორიას, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს და, უბრალოდ, ადამიანების ყოფას. ეს თითქოს ფოლკლორის ერთგვარი კოსმოპოლიტიზირების მცდელობაა, მისი იმდენად გამოწვლილვითი ხედვაა, რომ ძალაუნებურად შეხებაში მოდის ჯერ ქვეყნის სხვა კუთხეებთან, მერე კი მსოფლიოსთან. სწორედ ამ საინტერესო ტექნიკითაა შექმნილი თამთა მელაშვილის ახალი წიგნიც – «თქმული და უთქმელი ისტორიები: გერმანელები საქართველოში».

ეს არის საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პერიოდის გაცოცხლება და შემდეგ დანარჩენ საქართველოსთან, დანარჩენ დედამიწასთან ერთგვარი განზავება, დამეზობლება, მისი არსებობის შესახებ გაცხადება. და რა კარგი იქნებოდა, ამგვარი წიგნები სხვა ისტორიულ პერიოდებზეც რომ გვქონდეს.

ეს არაა მკვლევრის შრომა, სადაც მეცნიერული პოზიციიდანაა აღწერილი მოვლენები. ესაა საკმაოდ ტევადი მასალა ადგილობრივთა მაშინდელი ცხოვრების შესახებ. ალბათ ბევრი საინტერესო და არასაინტერესო ისტორია მოისმინა ავტორმა, მაგრამ მწერლის თვალით ამოკრიფა და მოგვაწოდა ის ნაწილი, რომელიც ყველაზე საგულისხმო მოეჩვენა, თან ისე, რომ არ დარღვეულა ერთგვარი ქაოტურობის პრინციპი, «პერსონაჟთა» ეკლექტური ერთობლიობა. წიგნი შედგება ამბებისაგან, რომელთაც კონკრეტული პიროვნებები მოგვითხრობენ. ისინი უმეტესად მოხუცები არიან და საუბრობენ ყველაფერზე, რაც კი მათი წინაპარი გერმანელების ჩამოსახლებასთან ან მათ აქ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული. ისინი თავიანთ ისტორიებს იხსენებენ, და სწორედ ეს ოჯახური ისტორიებია მაშინდელი პოლიტიკური რეალობა. ბევრი ამბავი ისეთია, მათაც კი მხოლოდ გადმოცემით იციან. ბევრი კი უშუალოდ აქვთ განცდილი. ასეთი თხრობა

ხანდახან უნებურ მხატვრულ იერს იძენს, რადგან მწერალმა მთხრობელს შეუნარჩუნა ბუნებრივი რიტმი, დიალექტი, ტონალობა. ასეთი სახით მოთხრობილი ამბები დღევანდელი მკითხველისთვის უჩვეულო და ხშირად დაუჯერებელიც კია, რადგან ჩვენ მიჩვეულნი ვართ, რომ წიგნებში ასე მხატვრულად მხოლოდ პერსონაჟები მეტყველებენ. რესპონდენტები კი თავისუფლებას მოკლებული საუბრით ხასიათდებიან. ალბათ ავტორის დამსახურებაა, რომ მან მოახერხა და ასე გულწრფელად აალაპარაკა მოხუცები, რომლებიც ხანდახან სამართლიანი უნდობლობით გამოირჩევიან ხოლმე. თამთა მელაშვილი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ნატურალიზმი შეუნარჩუნოს ამ ამბებს, არსად დაატყოს ტექსტს საკუთარი კვალი, რაც დისონანსს შეიტანს მთელ იმ სურნელსა და განწყობილებებში, რაც ამ მასალის გაცნობისას უჩნდება მკითხველს. მთელი წიგნის კითხვის მანძილზე მქონდა მოლოდინი, რომ რაღაც მომენტში ავტორი გამოჩნდებოდა, ჩაერთვებოდა თხრობაში. მწერლის ამბიცია ხომ ძნელი დასაოკებელია ასეთ დროს. როგორ გინდა, შეიკავო თავი და არ «ჩაერიო» ასეთ საინტერესო ამბებში, არ მონახო ფორმა, როგორადაც ამას ჩაიდენ. მაგრამ თამთამ, როგორც ჩანს, კატეგორიულად გადაწყვიტა, მხოლოდ შემკრების, ჩამწერის ფუნქცია ეკისრა, თუ არ ჩავთვლით მის შესავალს, რომელიც წიგნს უძღვის.

რაც შეეხება თავად პრეისტორიას...

თამთა მელაშვილს ამ წიგნის იდეა მას მერე გასჩენია, რაც შემთხვევით ბოლნისის (მაშინდელი ლუქსემბურგის) ფოტოებს წააწყდა. «ასე გავიგე პირველად გერმანელთა კავკასიაში ჩამოსახლების, მათი აქაური ცხოვრებისა და მერე – საბჭოთა სახელმწიფოს მიერ სასტიკი ფორმებით

დეპორტაციის შესახებ. თუმცა, მივხვდი, რომ ჩემი გამძაფრებული ინტერესისთვის ის, რაც წავიკითხე, საკმარისი არ იყო», – წერს ის წიგნის შესავალში. შემდეგ კი ბოლნისში მიემგზავრება და ასე იწყება წიგნზე მუშაობა. ჰო, მართლა, არ გამომრჩეს იმის აღნიშვნა, რომ მის ამ იდეას მხარი გერმანიის საელჩომ და გამომცემლობა «ინტელექტმა» დაუჭირა. თან ამ ჩამოსახლებიდან 200 წელიც გასულა და ესეც მიზეზია, ახლა მაინც შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება ამ ამბავზე. მოკლედ, ეს ისტორია თხრობას ნამდვილად იმსახურებდა. მით უფრო, რომ რატომღაც თბილისელთა უმრავლესობამ არაფერი იცის ამ ფაქტის შესახებ. იციან მხოლოდ მათ, ვისაც შეხება აქვს იმ რამდენიმე რეგიონთან, სადაც გერმანელი კოლონისტები დაასახლეს. ესაა ახლანდელი ბოლნისი (ყოფილი კატერინენფელდი, შემდგომში ლუქსემბურგი, ელიზაბეთთალი — ახლანდელი ასურეთი, მარიენფელდი — ახლანდელი სართიჭალა და სხვა რამდენიმე ადგილი).

ყველას მოგვიკრავს ყური ფრაზისთვის – ესა თუ ის სახლი გერმანელების აშენებულიაო და არც ჩავძიებივართ, ვინ გერმანელების, როგორ მოხვდნენ გერმანელები საქართველოს პროვინციებში. ამის შესახებ მეც «საუნჯეში» ამ ცოტა ხნის წინ გამოცემული წიგნიდან შევიტყვე, სადაც ავტორი, პეტრე დანელია არა მწერლურად, არამედ ეთნოგრაფის, მიწათმოქმედის, გეოგრაფის თვალით აღწერს მათ ცხოვრებას.

და რა მოხდა, საიდან გაჩნდნენ ისინი აქ. ამის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს – მეცხრამეტე საუკუნის გერმანიაში რელიგიურ-სეპარატისტული მოძრაობა იმდენად გააქტიურებულა, რომ სერიოზული ზემოქმედება მოუხდენია ადამიანების გარკვეულ ნაწილზე. სექტის წინამძღვრები წინასწარმეტყველებდნენ აპოკალიპტური პერიოდის დადგომას და მოუწოდებდნენ თავის მრევლს, დასახლებულიყვნენ კავკასიაში, სადაც ისინი შეძლებდნენ, გაქცეოდნენ დაღუპვას. სექტამ რუსეთის იმპერატორს, ალექსანდრე პირველს სთხოვა, ნება დაერთო, გადასახლებულიყვნენ მაშინ უკვე რუსეთის კოლონიაში – საქართველოში. არსებობს სხვა ვერსიებიც – მაგალითად, იმპერატორმა ალექსანდრემ 1815 წელს იმოგზაურა ევროპაში. «ეს ის დროა – ნაპალეონობა დამთავრდა და დაემთხვა «ზასუხა», მოუსავლიანობა და შიმშილობა. ძალიან დიდი შიმშილი იყო ევროპაში. ამ ალექსანდრე I-ის და, ეკატერინე, რომლის სახელიც ჰქვია ბოლნისს, გათხოვილი იყო ვურთემბერგელ მეფეზე, ვილჰელმზე. ეკატერინეს გერმანულად კატარინას ეძახდნენ. რა თქმა უნდა, იმპერატორმა თავისი და მოინახულა და იქ ვილჰელმმა დაუყენა ასეთი საკითხი, რომ ჩვენი ლუთარიანელებიო, გერმანელი პროტესტანტების ერთ-ერთი მიმდინარეობაა, მოითხოვენ, გინდა თუ არა, გაგვიშვი რუსეთში, სადმე კავკასიაში საცხოვრებლადო. ამათ რომ სთხოვეს, ალექსანდრემ მისცა თანხმობა. ერთი მიზეზი მათი ჩამოსვლის, შიმშილი იყო. მეორე მიზეზი – რუსებს დასაყრდენი ძალა რომ ჰქონოდათ. იმპერიისთვის კარგი იყო, ამ მხარეს ააყვავებდნენ და საყრდენი ძალაც ეყოლებოდათ. ნაციონალური მოძრაობა თუ დაიწყებოდა, ჩამოყვანილი ხალხი შენ მხარეზე დადგებოდა.» – მოგვითხრობს წიგნის ერთ-ერთი მთხრობელი. ათასობით ადამიანი გამოემართა

საქართველოსა და აზერბაიჯანისკენ და ასე, ჯგუფებად დასახლდნენ სხვადასხვა რეგიონებში. მათ მალევე ააშენეს სახლები, მანუფაქტურები, საწარმოები... დღემდე დგას იქ გოთური სტილის შენობები. – ასე «გამოიყურება» ისტორია მშრალი ინფორმაციის დონეზე.

ამ წიგნის კითხვისას დავფიქრდი, რამდენად სწორად გვეცოდინებოდა ისტორია, ჟამთააღმწერლებისა თუ მონარქთა შეკვეთით სუბიექტურად დაწერილი კი არა, რიგითი ადამიანების მონათხრობების მიხედვით იყოს ის გადმოცემული. ასე ხომ თითქმის შეუძლებელი იქნებოდა მისი გაყალბება. დღემდე რომ არ ვიცით, რა მოხდა რეალურად. აგერ, მაგალითად, 75 წელი გვატყუებდნენ, რომ გერმანია ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს. ახლა კი «გაირკვა», რომ ასე არ ყოფილა... რიგითი ადამიანები არიან სწორედ ყველაზე უტყუარი ჟამთააღმწერლები, რომლებიც, რაღაცის დაფარვით თუ პირიქით – გულახდილობით, სუბიექტური სიმპათიითა თუ ანტიპათიით, ქმნიან ამბების ჭრელ მოზაიკას, სადაც ძალზე იოლია, გამოარჩიო ამბის რეალური სახე.

თამთა მელაშვილის წიგნი მოთხრობასავით იკითხება. თან ისე, რომ ადამიანთა განსხვავებულ ხმებს ავტორი არ ქმნის და ბუნებრივი, თვითნაბადი სახით ჩაგვესმის. «ისინი თავისი ამბების მოყოლით ჩემ თვალწინ ქმნიდნენ ისტორიას. როგორ ქმნიდნენ, რის მოყოლას ამჯობინებდნენ და რაზე დუმდნენ, როგორ იკვეთებოდა პირადი მეხსიერება კოლექტიურთან.» – ამბობს თამთა მელაშვილი. თითო მონათხრობი თითო დრამატული ამბავია. დრამატული იმიტომ, რომ წარსულს მუდამ ახლავს სევდა და ტკივილი, ამ ამბებს კი ჩვეულებრივი სევდის გარდა ტრაგიკული ფინალი აქვს – მეორე

მსოფლიო ომის დროს საბჭოთა მთავრობამ გერმანელი კოლონისტები ერთბაშად, რამდენიმე დღეში გადაასახლა საქართველოდან შუა აზიაში, ცარიელ ტრამალებში. ეს მოხდა მოულოდნელად და ძალიან სწრაფად. თან, ფაქტობრივად, არაფერი წაუღიათ. იმ ქართველების შთამომავლები, რომლებიც გერმანელებთან ერთად ცხოვრობდნენ, გადასახლების დეტალებზე დღემდე გულისტკივილითა და ცრემლით ჰყვებიან. «საბჭოთა კავშირის მსახურები ძალიან ჭკვიანები იყვნენ: ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი ყოფილიყო, მაგრამ დამადასტურებელი ფაქტი – რაც შეიძლება ნაკლები. მაგალითად, მატარებელს რომ აჩერებდნენ, აძლევდნენ, ვთქვათ, 5 წუთს საპირფარეშოსთვის და უცებ იწყებდნენ მატარებლის დაძვრას და ძალიან ხშირად პატარა ბავშვები, მოხუცები, ფეხმძიმე ქალები ასე რჩებოდნენ გზაში. იმათ ვერავინ ვერაფერს დაუმტკიცებდა. ისინი მათი მოკლულები არ იყვნენ. შუა სტეპში ტოვებდნენ და ხომ უეჭველია, მგლების საჯიჯგნად»... დატოვებული საცხოვრისი თავისი არსით ალბათ არანაირად არ განსხვავდებოდა მტრის მიერ აოხრებული ტერიტორიებისგან. რა მნიშვნელობა აქვს, გაგაგდებენ შიშველი ხელების ანაბარად თუ ადგილზე დაგტოვებენ და სახლ-კარს გადაგიწვავენ... იქნებ ეს უკანასკნელი სჯობდეს კიდეც... გამართული ეკონომიკური და კულტურული სისტემა ერთ წამში უპატრონო შეიქნა. გერმანელები მისდევდნენ მეღვინეობას, ააშენეს ქარხნები, ხარშავდნენ ლუდს, აწარმოებდნენ ძეხვეულს, ჰყავდათ საკუთარი ორკესტრი და საბალეტო დასიც კი. ქვეყნის ეს პროვინციული ნაწილები პატარ-პატარა კულტურულ კერებად იქცა და გადასახლების მერე ერთბაშად გაპარტახდა და განადგურდა საბჭოთა

მმართველობის პაროქსიზმული, ვანდალური გადაწყვეტილებების შედეგად.

ყველაზე საინტერესო ამ ამბებში ალბათ კულტურათა ინტეგრაცია, ტრადიციათა უკონფლიქტო სინთეზია და სანაცვლოდ საინტერესო, მაღალგანვითარებული «ახალშობილის» მიღება, რომელსაც გაზრდა არ აცალეს. სტალინმა ყაზახეთსა და ციმბირში ათიათასობით გერმანელი გადახვეწა, ბევრი კი, უბრალოდ, დახვრიტა ოპერაცია «ბარბაროსას» კონტექსტში. უვნებლად ტოვებდა მხოლოდ იმას, ვინც ადგილობრივებზე იყო დაქორწინებული.

მთხრობელები ძირითადად მოხუცები, უფრო სწორად, ღრმად მოხუცები არიან. როცა გერმანელები გაასახლეს, ისინი სკოლამდელი ასაკისანი ძლივს იყვნენ. პოლიტიკურ პერიპეტიებზე მეტად საინტერესო ქართული და გერმანული ტრადიციების სინთეზია, ერთგვარი სულიერი ტრანსლიტერაცია, რომელსაც ისინი ამ გადმოსახედიდან აცოცხლებენ. კერძების რეცეპტებსაც კი უზიარებენ მკითხველს და სწორედ ამ რეცეპტების თხრობისას იგრძნობა ტკივილი და სასოწარკვეთა – იქნებ როგორმე გადაარჩინონ ის, რაც სულ ერთი ნამცეციღა შემორჩათ – თავიანთი განლეული, ერთი ნამცხვრის მომზადების რიტუალშიღა თავშეფარებული გერმანული სული, რომელიც ამ წლების მანძილზე ნელ-ნელა ჩაყლაპა ინტეგრაციის დაუნდობელმა და შეუქცევადმა პროცესმა...

6. ახალი თარგმანები

ჯონ ეშბერი

ლექსები ინგლისურიდან თარგმნა ზვიად რატიანმა

განწყობა ჩუმი მშვენიერების

საღამოს შუქი, როგორც თაფლი ტოტებს შორის,
როცა დამტოვე და წახვედი ქუჩის ბოლოსკენ,
სადაც დაისი უცებ გაწყდა.
გახსნილი ხიდი დაიხურა საქორწინო ტორტის თავზე
და მოიყოლა სუსტი კესანე.
შენ კი გემბანზე ადიოდი.

გადამწვარი ჰორიზონტი მოულოდნელად იკირწყლება
ოქროს ფილაქნით.
ოცნებები, რომლებიც მქონდა, თვითმკვლელობაზე
ოცნების ჩათვლით,
საჰაერო ბუშტს ბერავენ ცხელი ჰაერით.
ის ფეთქდება. სადაცაა აფეთქდება
რაღაც სრულიად უხილავით
სწორედ ამ დღეებში.
ჩვენ კი ვუსმენთ, და ზოგჯერ გვესმის,
როცა ერთმანეთს ისე ვეკვრით,

რომ სისხლი და მისთანები იხევენ უკან
და გულუხვი მუზეუმები, აი, რა რჩება ჩვენს სუნთქვაში.

ცხოვრების ჩემი ფილოსოფია

როცა ჩავთვალე, რომ ჩემ თავში არ დარჩა ადგილი
კიდევ ერთი ფიქრისათვის, სწორედ მაშინ მომივიდა
დიადი აზრი.
ფილოსოფია ცხოვრებისა, შეიძლება ასეც ითქვას. ის
გულისხმობდა
ცხოვრებას ისე, როგორც ცხოვრობენ ფილოსოფოსები –
პრინციპების ერთგულებით. კარგი, და რომლების?

ეს ურთულესი პუნქტი იყო, უნდა ვაღიარო,
მაგრამ მე მქონდა წინათგრძნობა, რომ გამოსავალს
ვიპოვნიდი.
ყველაფერი, დაწყებული საზამთროს ჭამით, შხაპის ქვეშ
დგომით,
მეტროს ბაქანზე ჩაფიქრებით და ტროპიკულ ტყეებზე
დარდით
სახეს იცვლის, უფრო სწორად, ინფიცირდება
ჩემი შეცვლილი თვალთახედვით. არ ვაპირებ, ვიქცე
ქადაგად
ან ვიდარდო ბავშვებზე და მოხუცებზე უფრო მეტად, ვიდრე
გვავალებს
მექანიკური მგრძნობელობა საათივით მოწყობილი ჩვენი
სამყაროსი.
ნაცვლად ამისა, ნებას დავრთავ ყველა საგანს, იყოს
ისეთი, როგორიც არის,
ვიდრე ავცრი თითოეულს ახლებური მორალის შრატით,
რომელშიც თვითონაც შემთხვევით აღმოვჩნდი, როგორც
უცხო, ვინც უნებლიეთ
გაედო პანელს და კარივით გამოაღო წიგნის კარადა
და გამოჩნდა კედლის მიღმა ხვეული კიბე, სანახევროდ

განათებული
სადღაც ქვემოდან ამოსული მწვანე შუქით, სადაც უცხომ შეაბიჯა მექანიკურად
და კარადა მოიხურა მის ზურგსუკან, როგორც ხდება ასეთ შემთხვევებში.
და მას ეცა უცხო რამ სუნი – არა ზაფრანის, არც ლავანდის, არამედ რაღაც მათშორისის. გაახსენდა მომცრო ბალიში, რომელზეც იწვა ბიძამისის ბოსტონური ბულტერიერი წაწვეტებული ყურებით და დამცინავი გამოხედვით. შემდეგ ელვის უსწრაფესი
გაქანება. აზრს ამაში ვერ იპოვი. მხოლოდ სიძულვილს ნებისმიერი აზრისადმი. მაგრამ უკვე გახსენდება უილიამ ჯეიმსის[3] წიგნი,
რომელიც არც კი წაგიკითხავს, მაგრამ იყო დახვეწილი, მისი ფურცლები
დაფარულიყო თხელი ფენით სიცოცხლის ფხვნილის, ნათითურებიც ემჩნეოდა. ჩანს, ვიღაცას ესარგებლა ავტორის აზრით
დაწერამდე ბევრად ადრე. თუმცა აზრი იყო მისი
და მხოლოდ მისი.

მშვენიერია, ზაფხულობით იარო ზღვაზე.
აკი არსებობს უამრავი ხანმოკლე ტური.
ახალგაზრდა ვერხვების გუნდი ეგებება დამსვენებლებს. შორი არ არის
საველე საპირფარეშომდე, რომლის კარზე გაჭირვებულ პილიგრიმებს ამოუკაწრავთ
სახელები, მისამართები, და პირადი ხასიათის წერილები სამყაროსადმი, ვიდრე იდგნენ ჩაცუცქულები
და ჯერ არ ჰქონდათ გადაწყვეტილი, რა უნდა ექნათ, როცა აქედან გავიდოდნენ, როცა ხელებს ჩაიბანდნენ მომცრო ნიჟარაში.

იყო კი მათი ქმედებები პრინციპებით ნაკარნახები?
იყვნენ კი ფილოსოფიური, თუნდაც მხოლოდ ნაწილობრივ, მათი სიტყვები?
ვაღიარებ, მე ამ ფიქრებს ვეღარ მივდევ. რაღაც მაკავებს.
რაღაც, რისთვისაც საკმარისად არ გავზრდილვარ და ვერ შევწვდები.
არ გამოვრიცხავ, რომ უბრალოდ მეშინია. ან რა ჭირდა შესაცვლელი
ჩემს აქამდელ წარმოდგენებს ცხოვრებაზე, რამ არ იმუშავა?
ისღა მრჩება, გამოვძებნო კომპრომისი – დაე, იყოს ყველა საგანი
ის, რაც არის, ანდა თითქმის; მე კი შემოდგომიდანვე მოვიმარაგო
მარინადები, კონსერვები – უნაყოფო, სუსხიანი, გრძელი ზამთრისთვის.
ეს იქნება გონივრულიც, ადამიანურიც.
ყურადღებას არ მივაქცევ ახლობლების დამცინავ შენიშვნებს
და არც საკუთარს, თუმცა უნდა ვაღიარო – ეს არ არის ადვილი საქმე.
როგორც სპექტაკლის მსვლელობისას რაღაც უთხრა შენს მეგობარს,
რაც გამოიწვევს თქვენს წინ მჯომი მაყურებლის გულისწყრომას,
ვისთვისაც მიუღებელია თავად აზრი – ვიღაც ორი საუბრობდეს მისი თანდასწრებით.
თქვენ ხომ გესმით, ყველაფერს აქვს ორი მხარე. შეუძლებელია
არც სხვებს მოაკლო ყურადღება და იზრუნო საკუთარ თავზეც,
რაც ალბათ დამამცირებელიც იქნებოდა და სასაცილოც,

როგორც უცნობების ქორწილში შეპარვა.
სასაცილოა, სასაცილო, ორ იდეას შორის გახლეჩა.
მეორე მხრივ, იდეებიც ამისათვის არსებობენ! ახლა მიბრძანდით
და კარგი დრო გაატარეთ, მთავარია, არ დაგავიწყდეთ,
დატკბეთ ცხოვრების თქვენეული ფილოსოფიით! განა დიადი იდეები
ყოველდღიურად ცვივა ციდან. ნახეთ, რამხელაა!..

განგაშის საბაბი

ორმოცდაათი წელი გავიდა,
რაც ვცხოვრობ ასეთ მიყრუებულ ქალაქებში;
მე მათზე ადრეც გიამბობდი.
ამ ხნის მანძილზე არაფერი შეიცვალა. დღემდე არ ვიცი,
როგორ მივიდე ფოსტიდან ბაღამდე, სადაც დგანან
საქანელები.
ვაშლის ხეები ყვავილობენ სიცივეში, უცნობია, რა
აიძულებთ.
გაღინღლული ჩემი თავი დაემსგავსა ბაბუაწვერას.

ვთქვათ, ეს ლექსი არის შენზე – თუ ჩაამატებდი
მასში იმას, რაც დავტოვე ტექსტის მიღმა:
ტკივილის აღწერას, სექსს, გულგრილობას,
რომელსაც ადამიანები ერთმანეთის მიმართ იჩენენ?
არა, ესენი სხვა წიგნებშიც უნდა მქონდეს. ამ ლექსის
მიღმა
მე დაგიტოვე მხოლოდ ქათმის სენდვიჩები
და შუშის თვალი, რომელიც მიმზერს ბუხრის თაროდან
გაოგნებული, და არასდროს დახამხამდება.

სადავო ძალაუფლების ხიბლი

ძალი და დიდება. თვითნასწავლი მედიკოსები
კანცელარიის პალატებში აღნიშნავენ შიმშილის დღეს.
ცენტრალური პარკის გაზონი,
პირველი თოვლის თხელი ფენით დაფარული,
აჯამებს გასულ შემოდგომას და შეაქვს ბოლო
ცვლილებები მომავალი გაზაფხულის
დოქტრინაში,
როგორც ვიღაც, ვინც სიარულს ახლიდან სწავლობს
საბედისწერო ტრავმის შემდეგ. თქვენ ხომ გიყვართ
ბუნებრივობა:
შარდის წვეთები ცივ ჰაერში, მცირე ორთქლი. მდივანი
ქალი
სამუშაო დღის მიწურულს კეტავს კაბინეტს,
რათა ჩამოხსნას საკიდიდან თავისუფლების ქანდაკების
სამოსელი
და კოლეგას შეენაცვლოს ცხრის წუთებზე. თქვენ ხომ
გიყვართ ბუნებრივობა:
საველე ბითლზი ხმას იბოხებს ვიწრო მისახვევში
და ძაღლი უყეფს რეპროდუქტორს. ყველაფერი, რაც
გჭირდებათ, სიყვარულია[4]
არჩევნებმა თვალსაჩინოდ დაგვანახა დაშვებული
შეცდომების უმნიშვნელობა
უბრალო ხალხის სიყვარულთან შედარებით –
ალილუია. ძალი და დიდება.

მაინც, ყველაფერი რა კარგად დალაგდა.
დღეს თუ ილოცე, ჩემო გოგონა?
უჩვენე მოძღვარს შენი გული, ჩაახედე შენს ხელჩანთაში.
ნურასდროს დავკმაყოფილდებით მიღწეულით.

ქარიშხალი ჟანა დ’არკი ეიფელის კოშკს მოათრევს
დასავლეთის ნაპირებისკენ,
პრეზიდენტის საგანგებო განცხადება რედაქტირების
ბოლო ეტაპზეა
და მე არ ვჩქარობ შარვლის შეკვრას,
ჩემო სიყვარულო.

სირინგა

[5]

ორფეოსს მოწონდა უდარდელი თვითმყოფადობა
ყოველივესი ცისქვეშეთში. ეჭვი არაა, მათი ნაწილი იყო
ევრიდიკეც. მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი შეიცვალა. კლდეებს
ფშვინა მისი რისხვა. ხევები და გორაკებიც
ვერ უძლებდნენ. ცა კანკალებდა, ჰორიზონტებს შორის
გაკიდული, ცოტაღა აკლდა, შელეოდა მთლიანობას.
მაგრამ ურჩია აპოლონმა: «ყველაფერი დატოვე მიწაზე.
შენი ბარბითიც. რაღად გინდა? რატომ უნდა შეეხო სიმებს,
თუკი არავინ აცეკვდება რამდენიმე გაპუტული ჩიტის გარდა
და ვერც წარსულს გააცოცხლებ». რატომაც არა.
რათა ქვეყნად ყველაფერი შეიცვალოს.
წლის დროები აღარ არიან იგივენი, რაც იყვნენ დღემდე.
მაგრამ ასეთია საგანთა ბუნება – ყველაფერი იხილო ერთხელ,
ვიდრე ხდება, ვიდრე ერწყმის დანარჩენ საგნებს, რათა ერთად
გაგრძელდნენ და შეიცვალონ. აი, სად შეცდა ორფეოსი.
გასაგებია, ევრიდიკე შებრუნდა ჩრდილში.
მაგრამ ეს მაინც მოხდებოდა, გინდაც უკან არ მიეხედა.
და რა აზრი აქვს იდგე ასე, ქვის სვეტივით, როცა ბორბალი
დაწერილი ისტორიის
მოგორავს განზე, მორყეული, და თვითონვე უძლურია, ახსნას გასაგებად
თუნდაც ყველაზე საგულისხმო ცვლილებები მისივე კურსის.
მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული რჩება ტვინში, და კიდევ

რაღაც,
რასაც ცხოვრებას უწოდებენ. ოღონდ სხვები. სწორი სიმღერა,
როცა ნოტები იფრქვევიან ნაცრისფერი შუადღის ჭიდან
და სიკაშკაშით აჭარბებენ მოყვითალო მინდვრის ყვავილებს
ქვის სამტეხლოს მიმდებარედ, უკვე გულისხმობს საგანთა წონის სხვა სისტემას.
და არ არის საკმარისი
მხოლოდ სიმღერას განაგრძობდე, ამას მიხვდა ორფეოსი
და დიდად აღარ უარობდა, ტკივილების საზღაურად რგებოდა სამოთხე,
როცა დაფლეთდნენ მენადები[6], რომლებსაც გონი სანახევროდ დაუბინდა
მისმა მუსიკამ, ანუ იმან, რაც დამართა ამ მუსიკამ.
არსებობს აზრი,
რომ ორფეოსი დაისაჯა იმისათვის, რაც დამართა ევრიდიკეს,
მაგრამ მეტად სარწმუნოა, რომ მიზეზი იყო მუსიკა
და ის, თუ როგორ ვითარდება მელოდია, როგორი სიმბოლატურია
ცხოვრებისა, და როგორი შეუძლებელი – მისგან თუნდაც ერთი ნოტის გამორჩევა
და თქმა, კარგია ის თუ ცუდი. უნდა ელოდო,
ვიდრე თავისით დასრულდება. «დასასრული ყველაფერს შეკრავს»
და იმაზეც მიანიშნებს, რომ «სურათი» არასანდოა,
რადგან, თუმცა წელიწადის დროები და მოგონებები
იკვეთებიან ერთ სურათში, მაინც შეუძლებელია
შეჩერებული წამის დაცვა; გადანახვა. მაინც გარბის, მაინც გისხლტება.
და გვაქვს სურათი მდინარების, დეკორაციის, იმის, რაც

არის და მოკვდება,
და მათ ფონზე – აბსტრაქტული მოქმედება, დატანილი მოუხეშავი,
უდიერი მონასმებით. სულ ესაა. მოითხოვო ამაზე მეტი
იგივეა, თავად იქცე დინებისგან გადახრილ ლერწმად
ან წყალქვეშა ბალახებად, რომლებიც თითქოს ცეკვავენო, ისე მისდევენ
ღონიერ ნაკადს. მაგრამ ამით იწურება წარმოდგენაში
შენი როლი. შემდეგ არის ნაცრისფერი დაბალი ზეცა,
სადაც ჯერ ოდნავ ილანდება ელექტრული კრუნჩხვის ნათება,
რათა იფეთქოს ნაღებისფერ, დაცერებულ ნიაღვრებად. ამ დროს ცხენები,
ნახეს რა მხოლოდ მათი წილი სიმართლისა, თავს ირწმუნებენ:
«მე ვარ განსაკუთრებული. არაფერი ამის მსგავსი არ მემუქრება.
თუმცა კი მესმის ჩიტის ენაც, და ქარიშხალში მოყოლილი
ჩირაღდნების ბედისწერაც გამეგება, ყველაფერი
დასრულდება მაინც მუსიკით,
როგორც ზაფხულის ქუხილის შემდეგ ამოვარდნილ ქარაშოტში
უადვილდებათ ხეებს რხევა, და ჩრდილების მაქმანები
ცახცახებენ სანაპიროზე,
როგორც ახლა, როგორც ყოველდღე».

და როგორი გვიანია ასეთებზე სინანული; არ არის შვება
არც იმაში, რომ ყოველი სინანული, როგორც წესი, გვიანია,
ზედმეტად გვიანი!
რაზეც ალბათ ორფეოსი, ლურჯი ღრუბელი თეთრი მაქმანით,
მოგვიგებდა: ეს არც არის სინანული, არამედ არის

ზედმიწევნითი, მეცნიერულად აღნუსხული ჩამონათვალი
უტყუარი ფაქტებისა, გზად ნანახი ქვების აღწერა.
და აღარ აქვს მნიშვნელობა, როგორ გაქრა ყველაფერი
თუ იქ წავიდა, სადაც მუდამ მიილტვოდა. რაც ლექსისათვის
აღარ არის არსებითი. მისი საგანი
ბევრად მნიშვნელოვანია, და არ არის საკმარისი, მხოლოდ უყურო,
როგორ მიითრევს ცეცხლოვან კუდს ავბედითი კომეტის მსგავსად,
რომელსაც მოაქვს ტკივილი და კატასტროფა, მაგრამ ისე იბუგება საკუთარ თავში,
რომ მისი ზრახვა, სულერთია, კარგი თუ ცუდი,
აღარასდროს გამჟღავნდება. მომღერალი თავის მიზნებში,
დიახაც, კონსტრუქციულია. ის აშენებს საგალობელს ლოგიკური თანმიმდევრობით,
როგორც ცათამბჯენს, რათა სწორედ ბოლო წუთში აქციოს ზურგი
და სიმღერა მყისიერად ინთქმება წყვდიადში,
რომელიც, თავის მხრივ, დატბორავს კონტინენტს
სიშავით, თუმცა ვერც შეამჩნევს, რადგან ბრმაა. ხოლო მომღერალი
სასწრაფოდ უნდა მიიმალოს, ვერც მოასწროს შემსუბუქება
სტრიქონების ღვარძლიანი ტვირთისაგან. ვარსკვლავად ქცევა
მხოლოდ მცირეთა ხვედრია და მოდის დიდი დაგვიანებით,
როცა მათი ცხოვრება და ჩანაწერება
უკვე აღარ იძებნება ბიბლიოთეკის საცავებში, მიკრო-ფირებზე.
ცოტა თუ ვინმე გაიხსენებს მათ სახელებს. ისინი წვანან
მიუწვდომელ სიცივეში, ვიდრე გუნდი შემთხვევითი
შემადგენლობით

ამღერდება რაღაც სხვაზე, სხვა ამბავზე მსგავსი სახელით
და მონათხრობში ალაგ-ალაგ გაკრთებიან ნაცნობი
მარცვლები
იმის, რაც ერთხელ უკვე მოხდა, დიდი ხნის წინათ,
მომცრო ქალაქში, უგრძნობ ზაფხულში.

ჩემი ეროტიული ორეული

ის ამბობს, რომ დღეს მუშაობას არ აპირებს.
მით უკეთესი. აქ, ამ ჩრდილში,
სახლის უკან, სადაც ქუჩის ხმაური ვერ აღწევს,
შეგვიძლია სათითაოდ გადავხედოთ ძველ შეგრძნებებს,
რაღაც დავთმოთ, რაღაც შევინახოთ.
სიტყვებით თამაში
მე და შენ შორის ხდება ბევრად დაძაბული,
რაც უფრო ცოტა გრძნობა რჩება, რომელიც გვაბნევს.
კიდევ ერთი წრე? არა, ბოლოს, როგორც ყოველთვის,
შენ პოულობ ლამაზ სიტყვებს, რათა მიხსნა,
ვიდრე ღამე დაგასწრებდეს. ჩვენ შევაცოცდით
ჩვენს ოცნებებს, როგორც ყინულის ფილებს, და
მივცურავთ
ვარსკვლავებიდან ჩამოცვენილ კითხვებსა და
ნამსხვრევებს შორის,
რომლებიც აღარ გვაძინებენ, და ჩვენ ვფიქრობთ
ოცნებებზე
ახდენისას. რაღაც ხდება. ეს უკვე შენ თქვი.

ვთქვი, და შემეძლო სულ არ მეთქვა. მაგრამ საჭიროდ არ
ჩავთვალე.
დიდი მადლობა, შენ ძალიან კეთილი ხარ.
მადლობა. შენც.

აქ ხელს მოაწერთ

როგორ შემიძლია ვიჯდე ამ ბარში და იმავდროულად ვიყო
განდეგილიც?
ჭიანჭველების კოლონია მარშირებს ჩემკენ, მოიზლაზნება
შორეთიდან, სადაც ჩანან პატარები ჭიანჭველებივით.
მათ წინამძღოლს მოაქვს ტოტი, ვერხვივით მაღალი.
ის, როგორც ვხვდები, ჩემთვის არის განკუთვნილი.
რასაც ვერ ამბობს წინამძღოლი, რადგან პირით უჭირავს
ვერხვი.
კარგით, ახლა დავივიწყოთ ეს სურათი და ყურადღება
მივაპყროთ პარიზს.
ჭიანჭველები სეირნობენ შანზელიზეზე
თოვლში, წყვილ-წყვილად ან სამ-სამად, და საუბარში
ავლენენ ისეთ გულითადობას, რასაც მათგან არვინ
ელოდა.
შედარებით მოზრდილები სადაცაა მიატანენ საფრანგეთის
ქალაქების
ალეგორიულ ძეგლებამდე (ესენია?) თანხმობის სკვერში.
«გახსოვს, გითხარი, რომ ის იყო მეხთამტყორცნელი,
ახლა კი მოკალათებულა თავის მანსარდაზე
და უკვეთავს მსუყე კერძებს მიმდებარე რესტორიდან,
თითქოს ღმერთს ეთქვას, მოკეტეო».
«როგორ მაგონებ მადამ დე სტალ ოვერბეკის ადრეულ
პორტრეტს –
ცოტათი სერიოზული და ნამძინარები.
დაიმახსოვრე, რომ ყოველთვის შეგიძლია მოხვიდე
ჩემთან
და მიამბო, რა გაწუხებს, მთავარია, არ მთხოვო ფული.
დღისით თუ ღამით, ჩემი კარი ღიაა შენთვის,
ღმერთო ჩემო, როგორ მომწონხარ».

ბარი იყო უჩვეულოდ კომფორტული.
ვფიქრობდი, დავრჩენილიყავი. იყო მაღვიძარაც.
კლიენტებს დროის გამოცნობას სთავაზობდნენ
(მაღვიძარა მუდამ ურევდა).
მალე ყველაზე მხიარულმა ბატონებმა წამოიწყეს
«მარსელიოზა»
და ერთმანეთს ულოცავდნენ უცნაურობებს,
მაგალითად, წინდების ფერს, და სვამდნენ ღვინოს
საერთო დოქიდან.
«რა ვქნა, მომწონს, როგორც იქცევა,
განსაკუთრებით – აგვისტოში, როცა ზაფხული უკვე მიდის,
შემოდგომა კი ჯერ ძლივს ბჟუტავს მის თვალებში;
პროგნოზირებული ყინვების ქრონიკა».
«დიახ, მან ერთხელ დააპირა, ეყიდა ყველა შოკოლადი
ავტომატიდან,
მაგრამ უეცრად რაღაც მოხდა, და კედლები შემოინგრა
(ვინ იფიქრებდა,
თუ მდინარე ასე სწრაფად დიდდებოდა) და ერთმანეთის
მიყოლებით წალეკა ხალხი,
ვინც ერთმანეთს, მოფერებით, შინაური ცხოველების
სახელებით იხსენიებდა.
«ეს აგნუსია, აქილევსო». მაგრამ შემდეგ ყველაფერი ისე
ასწრაფდა,
აღარ ვიცოდი, სად მივქრივართ, ტროტუარი სად
მიგვაქანებს».

დილეგში იყო სრული სიმშვიდე.
ისევ «ჟან-კრისტოფს» ვკითხულობდი. ვერ დავამთავრე.
დროა, გახვიდე სინათლეში და მიულოცო
ყველას, ვინც დარჩა ამ ქალაქში. ვინც გადაურჩა
მზის დაბნელებას. მაგრამ მე ვარ მონუსხული მხოლოდ
შენით, მუდამ ვიყავი.

ჩადგი სანთელი ჩემ გვირგვინში, მე ვიქნები მარად შენი
და მე გაკოცებ.

თოზან ალქანი

ლექსები თურქულიდან თარგმნა ოქტაი ქაზუმოვმა

თურქი პოეტი და მთარგმნელი თოზან ალქანი 1963 წელს დაიბადა. იგი 20 წელია სტამბულის უნივერსიტეტში ასწავლის. თარგმნის ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურენოვან ლიტერატურას. თარგმნილი აქვს ისეთი ავტორების ლექსები, როგორიცაა: ანატოლ ფრანსი, შარლ ბოდლერი, ჯორჯ გორდონ ბაირონი, ვიქტორ ჰიუგო, ოსკარ უაილდი, უილიამ ბლეიკი, ემილი დიკინსონი, ტრისტან ტცარა, ფილიპ სუპო, დევიდ ჰერბერტ ლოურენსი, უილიამ ბატლერ იეიტსი, ანტონიო მაჩადო, და ფედერიკო გარსია ლორკა. პოეტის ლექსები თარგმნილია მრავალ ენაზე. გამოცემული აქვს პოეტური კრებულები: «დრო და ნიღაბი» (2003), «გულის ადრეული საღამოები» (2005), «ქარი» (2007), «სიკვდილი მიზანში მოარტყამს» (რჩეული ლექსები ინგლისურად, 2009), «ღია კარი» (2014). თოზან ალკანი თურქული ლიტერატურული ჟურნალი «CN»-ის მთავარი რედაქტორია. თურქული პენ-ცენტრის, თურქეთის მწერალთა სინდიკატის და თურქი მწერლების ასოციაციის წევრია. მონაწილე იყო თბილისის მე-3 საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის.

დუვარდიბი

[7]

შენ ახლა მოკვდი
და ყოველი განთიადი დედამიწაზე
ჩემშიაც კვდება

კედლის ძირში კი ერთი მუჭა ხალხი მოვგროვდით
და გაუჩერებლად ვლაყბობთ ცხენებზე
საფლავის ქვის სისქეზე და
იმაზე რომ ბეტონში მაინც გაჟონავს წყალი

სახლს დაცლიან
ხოლო ჭერმებზე სიტყვასაც კი არავინ დაძრავს
თითქოს ჭერმები არც არსებულან

ქალი თითებით თმას ივარცხნის
თავთან უწყვია წმინდა წიგნები
მოგონებათა ტყე გადასწვია

ვჩერდებით და თავიდან ვიწყებთ
გაფუჭებული მაგნიტოფონივით ან გაჩერებული საათივით
რომლის ისარიც ერთ წერტილზე ირხევა და წინ კი ვერ
მიდის.
ეს ყველაფერი კი საბაბია, რომ დღის საზრუნავს გვიან
შევუდგეთ
ამასობაში კი ჭერმები მწიფდებიან
და კვდებიან

ჩვენ კედლის ძირში მომლოდინენი
ნაღვლიანად ჩავცქერივართ მიწის პირს მაგრამ
მიწის პირისგან ჩქამი არ ისმის

კრინტი არ იძვრის.

სიმძიმე

უკვე წლებია დავყუნცულვარ
ძაფების დამრთველი ქალებივით ერთ ალაგას
და ამ სახლის, უფრენობისგან დაობებულის
დერეფნებში, უფსკრულისაკენ გამავალში,
დროს რომა აქვს, იმ სატკივრის შესრუტვებით და
სუნთქვის მალიმალ შეკავებით ნელ-ნელა ვკვდები.

რომ მაპატიონ – გვიანია,
რომ ვაპატიო – ჯერ კიდევ ადრე.
ორ დღესასწაულს შორის გაკვეხილ
ცხოვრებასთან შეუჩეხებლად
საკუთარი თავისათვის გადანახული ნებისმიერი
უმანკო სიტყვა
პირველ რიგში მევე დამჭრის,
ანუ საკუთარ ჩრდილზე ნამდვილი არავინაა.

ამის იქით არარაობა იბატონებს,
რის მიხვედრასაც ვცდილობ, გამოდის სულ უაზრობა:
წვიმა – წამწამი, ზღვა – ხმელეთი, ხოლო ბავშვი –
ქვიშის საათი.
სისხამი დილა უნდა იყოს ამ ადგილებში,
კეთილო ჩიტებო, დილა მშვიდობის,
უნდა წავიდე შესახვედრად იმ განთიადის.

ქალაქი

კავაფისს

შენ ქალაქი მოგივა შორეთიდან
შავგვრემან სიყვარულს მოიკიდებს და მოგივა

უპატრონო ხის ტოტებიდან თავის სიმწარეს
თუთასავით ჩამოყრის და მოგივა

წლების შემდეგ ერთ ნისლიან დილაჟამს
დაჭრილი ბედაურივით კარზე მოგადგება მოგივა

კალმით და ფურცლით შექმნილთა
სამსხვერპლო მაგიდაზე მტვრიანზე
თეთრ სუდარას გამოხევს და მოგივა

სიყვარულში წაგებულ მამულს მოიგებს
და წარსულის მივიწყებიდან მოგივა

ენის წიაღიდან ასოთა სისწრაფიდან
სიტყვაზე გაბუტული ფრთიანი
გამონათქვამებიდან მოგივა

შენ ქალაქი მოგივა შორეთიდან
ხალხს გამოივლის და მოგივა

სამხედრო სამსახურზე უარისგება

მოდი დაჯექი აგერ
ეგ სისხლიანი მანდილი ჯიბეში ჩაიჩურთე
კარგია ზაფხულის ზამთარში გამოტარება
მერე კი ხალხთან დუელის გამართვა
ჩაჩუმდი და მკვდრებზე იფიქრე
საკუთარ მდგომარეობაზე ჩაფიქრებულებზე

შენს თავს შეხედე
შორიდან საკუთარი თავის მოთვალთვალეს:
თავში ჩამდგარი ხრაშუნი
ობიანი მოგონებების შავი ხვრელები –
ნეტა წყვდიადში ვინ დააჯდა ყვავილს
ან ციცინათელებმა რად მიივიწყეს ღამე

რას დგახარ წამოდექი
ნუ იტყვი მშვიდობას რად უნდა რეკლამაო
ნუ იტყვი კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო...
უსმინე რას უარყოფს შენი სინდისი
გამოიღვიძე მორიგეობა დასრულდა მთაზე
ჩამოიღე თოფი და ქალის ფეხები დაიწყვე მხრებზე.

ცისქვეშეთის სევდა

შენს ხმაში წვიმა მოქუჩულა უკვე რამდენი
ცისქვეშეთი კი შენგან ორი ქუჩის მიღმაა
დრო მანდედან ერთვის ცხოვრებას
შენს დაღლილ მკერდზე
კი ჩიტები დაფრთხიალებენ

ხეს ქერქში აქვს გული ხოლო
ცის კაბადონი ღრუბელს უპყრია და დაატარებს
ვინ იცის ქარი საიდან მოჰქრის
დღეს შუაზე ვყოფთ ვანაწილებთ
ზეცასა და მიწას შორის

მაშინ როცა უთვალავი უძილო ხეა
ტყე ღამის წყვდიადში შთენილა მარტო
წვიმა ზის და ჩვენ გველოდება
ოცნებებისაგან თითქოს ახლა გამორკვეულა
და დამფრთხალაო.

6. თეატრი

ალინა ქადაგიშვილი

ხუთი საჩუქარი, ხუთი ამბავი...

მკითხველო, არ ელოდო ჩემგან პომპეზურ შესავალ სიტყვას იმის შესახებ, თუ რამდენად ღარიბია ჩვენში კულტურული ცხოვრება და როგორ გვჭირდება მაღალი საშემსრულებლო დონის საერთაშორისო ფესტივალების ჩატარება საქართველოში, ხოლო ქვეყნის გარეთ – მათში მონაწილეობის მიღება. სინამდვილეში ასეთი ფესტივალები ჩვენთან არც ისე ცოტაა, მაგრამ რატომღაც, მათი უმრავლესობა – თეატრის, მუსიკის, კინოს, ფოტოგრაფიისა თუ სხვა – ყველა შემოდგომაზე ტარდება, ერთად იყრის თავს და მაყურებელს ურთულესი არჩევანის წინაშე აყენებს. ნურც იმას იფიქრებ, რომ სულ ახლახან თუმანიშვილის თეატრში მომხდარი კონფლიქტის შესახებ ვისაუბრებ, თუმცა კი ჩემთვის გაუგებარია, რატომ ან როგორ უნდა შეცვალო ისეთი სამხატვრო ხელმძღვანელი, როგორიც ქეთი დოლიძეა... ჯერ კიდევ 1988 წელს, როდესაც ხელოვნების ფესტივალი «საჩუქრის» იდეა ყალიბდებოდა, თავად მიხეილ თუმანიშვილმა მიანდო მას, იმხანად უკვე გამოცდილ რეჟისორს, ამ ფესტივალის გაძღოლა. ამრიგად, თითქმის ოცდაათი წელია, რაც თეატრი და ფესტივალი ერთმანეთს განუყოფლად დაუკავშირდა, ახლა კი «საჩუქარმა» საკუთარი იუბილე – ოცი წლისთავი (2008-2011 წლებში ის დროებით შეჩერებული იყო) «ქუჩაში» აღნიშნა, რადგან ქეთი დოლიძის სიტყვებით, მას ბინა აღარსად აქვს... მჯერა, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება. გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ქალბატონ ქეთის და ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფს თავდაუზოგავი შრომისთვის. წლევანდელი «საჩუქრის» სლოგანიც ასეთი იყო: «შემოქმედებას სიმამაცე სჭირდება!»

ფესტივალი წლეულს 15 ოქტომბრიდან 12 ნოემბრამდე გაგრძელდა და როგორც ყოველთვის, საინტერესო წარმოდგენებით გამოირჩეოდა, რომელთაგანაც რამდენიმე უცხოურ ნაწარმოებზე გავამახვილებ ყურადღებას. ამ მიმოხილვას თვალსაჩინოებას შესძენს ჩემი მეგობრის, ფოტოგრაფ ლუსი კანას დეტალური და ექსპრესიული ფოტორეპორტაჟი.

ამბავი პირველი - Continu, (20, 21 ოქტომბერი)

საშა ვალცი, ბერლინის სახელმწიფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელსაც მოიხსენიებენ, როგორც თანამედროვე ცეკვის სტილის უმაღლეს კანონმდებელს ევროპაში, ლეგენდარული პინა ბაუშის შემდეგ, შარშანწინ პირველად იყო ჩამოსული თბილისში ფესტივალის ფარგლებში და რუსთაველის თეატრში გამართული მისი წარმოდგენის შემდეგ ჟურნალისტებს საშუალება მოგვცეს, გავსაუბრებოდით ავტორს. თხელი აღნაგობის ქალბატონი საქართველოში სტუმრობით კმაყოფილი ჩანდა და საუბარშიც ისეთ ცეცხლს ანთებდა, როგორიც ცოტა ხნის წინ სცენიდან ვიგრძენით. «დღიური პირველი. რვას აკლია ოცი წუთი» – ასე ერქვა მის ნამუშევარს, რომელიც თითქმის თანაბრად შეიცავდა დრამატურგიის, პანტომიმისა და ბალეტის ელემენტებს. ავტორმა ნათლად გვაჩვენა, რომ ადამიანების მცირე ჯგუფის ამბავი, კერძოდ კი ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცების, რომლებიც ერთ ბინას იყოფენ, მხოლოდ მათ არ ეხებათ და ამ კონკრეტული სიტუაციის დეტალური აღწერით ჩვენი ეპოქის გამოწვევათა მცირე კონცენტრატი გაგვასინჯა... მახსოვს, რომ უშუალოდ წარმოდგენის შემდეგ ადრენალინის მაღალი დოზის გამო ჩემს შეფასებებში ემოციები ჭარბობდა, შთაბეჭდილების გააზრება მხოლოდ მოგვიანებით გახდა შესაძლებელი და ეს ნაწარმოები

ნაწყვეტების სახით ახლაც კი შემიძლია წარმოვიდგინო; დრო უტყუარი მსაჯულია.

«Continu» სრულიად განსხვავებული ტიპის ნამუშევარია. ესაა შეჯამება «საშა ვალცის და სტუმრების» ათწლიანი შემოქმედებისა. თუ მკითხავთ, რა არის მისი შესწავლის საგანი, გიპასუხებთ – კაცობრიობა! სიკვდილი და სიცოცხლე, ომი და მშვიდობა, მონობა, მიგრაციები, დიქტატურული რეჟიმები და მათ საპირწონედ, ხალხთა ბრძოლა თავისუფლების, ბედნიერების მოსაპოვებლად, მაგრამ აგრეთვე გრძნობათა ბუნება, ადამიანების ურთიერთობები, მისწრაფებანი... ოპერის თეატრის სცენაც კი ძლივს იტევდა ამ გრანდიოზულ სანახაობას...

საშა ვალცმა «Continu»-ზე მუშაობა 2009 წელს დაიწყო, როდესაც შეუდგა ორი ახალი მუზეუმის: ბერლინში დავიდ ჩიპერფილდის Neues Museum Berlin-ისა და რომში ზაჰა ჰადიდის MAXXI-ს მხატვრულ ინაუგურაციას. 24 მოცეკვავის მეშვეობით, მან შექმნა ფართოფორმატიანი, არქაული ჯგუფური ქორეოგრაფია, რომლის შთაგონების წყაროს ვარეზეს ეპოქალური სიმფონია «არკანა» წარმოადგენდა. ამ ორი მუზეუმის უაღრესად გაშლილი სივრცე ნამუშევარს მრავალმხრივ შეესაბამებოდა: პირველ რიგში შინაარსობრივად და კონტექსტუალურად, როგორც ქორეოგრაფიის ენაზე მოთხრობილ ადამიანურ ისტორიას, მეორე მხრივ კი საშა ვალცს სურდა თავისი წარმოდგენისთვის არქიტექტურული დატვირთვა მინიჭებინა. მოგვიანებით ამ ნამუშევარს დაემატა იანის ქსენაკისის, კლოდ ვივიერისა და ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის მუსიკალური კომპოზიციებიც, დადგმა რამდენჯერმე შეიცვალა, ხოლო საბოლოო ვერსია 2011 წლის ზაფხულში, ზალცბურგში აჩვენეს. მასში შევიდა იანის ქსენაკისის სოლო დასარტყამი ინსტრუმენტისთვის,

რომელიც სცენაზე ცოცხლად სრულდება და ქართველ მაყურებელს ჰქონდა საშუალება, დამტკბარიყო ამ უაღრესად ექსპრესიული მუსიკითა და არტისტული სანახაობით.

წარმოდგენის სათაური ინგლისურიდან ითარგმნება, როგორც «გაგრძელება», შესაძლოა, ამით მისი მომავალიც ნაწინასწარმეტყველებია. «Continu»-ს მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად შეიძლება აიხსნას: ეს არის როგორც სიცოცხლის უსასრულო განახლება, ასევე ქორეოგრაფიის, მუსიკისა და ვიზუალური ხელოვნების უწყვეტი ზემოქმედება ადამიანზე. ხოლო თუ სათაურში ერთ ასოს შევცვლით, Contenu-ს მივიღებთ, რაც ფრანგულად შინაარსს, ცნების შემცველობას, არსს ნიშნავს (ინგლისურად – Content). რამდენჯერაც ამ ინგლისურ სახელწოდებას თვალს გადავავლებდი, გაუცნობიერებლად ორაზროვნად აღვიქვამდი თურმე. არ ვიცი, რამდენად შეესაბამება ჩემი ეს ასოციაცია მისი ავტორის ჩანაფიქრს, მაგრამ ის შორს არ უნდა იყოს ამ ნაწარმოების იდეასთან – 95 წუთში მოგვითხროს უმთავრესი.

ქეთი დოლიძე: «საშა ვალცის «Continu» არის სრულყოფილი ნაწარმოები. სულ ვფიქრობ, რისი გაგრძელებაა, სიცოცხლის თუ სიკვდილის, რომელიც სიცოცხლეში გადადის; სიცოცხლის, რომელიც სიკვდილით მთავრდება? ადამიანებს ხვრეტენ, მაგრამ შემდეგ ისინი ხვდებიან სამოთხეში, სადაც რაღაცის იმედი იბადება. ტრაგიკული სპექტაკლია, მე რომ მკითხოთ, ძალიან ტრაგიკული. მაგალითად, როდესაც საშა მუშაობდა იმ ნაწყვეტზე, სადაც ადამიანებს ხვრეტენ, თითქოს უნდა ჩაეწერათ ნამდვილი სროლის ხმა, მაგრამ მერე საშამ ამაზე უარი თქვა, როგორც დიდმა ხელოვანმა და ამას ახმოვანებს თვითონ მსახიობი. როდესაც მისი პირიდან ხავილივით ამოდის სროლა, ეს

ბევრად უფრო შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანია. და შემდეგ მოდის ძალიან მოკლე ნაწილი – «თეთრი» ანუ «სამოთხე».»

მართლაც, «Continu» ორი ნაწილისგან შედგება – პირველი («შავი»), მეორეზე გაცილებით დიდხანს გრძელდება და სიმბოლურად ჯოჯოხეთს, კაცობრიობის წარსულს ასახავს. მეორე ნაწილი «თეთრია», ესაა სამოთხე, სავარაუდოდ, მომავალი. ის უფრო ნათელია, ნაკლებ დრამატული და ესთეტიკური თვალსაზრისით უფრო ლამაზიც. საშა ვალცი ერთ-ერთ მოკლე ინტერვიუში საუბრობს ამ ურთულესი ქორეოგრაფიული ნაწარმოების სტრუქტურაზე, არქიტექტურულ წყობაზე, სხეულებისა და სივრცის დიალოგზე. «შავ» ნაწილში სივრცე შესამჩნევად ცარიელია, რადგან შავად შემოსილი სხეულებით არის სავსე... «Continu» ჩაფიქრებულია, როგორც არქიტექტურული ნაწარმოები. როგორც არქიტექტურაში, ისევე აქაც გვაქვს სუბსტანცია, მატერია, კონკრეტული, რეალური, მყარი, მაგრამ სხეულებს შორის არსებული სივრცე სავსეა იმით, რითაც ისინი ცხოვრობენ, რასაც აკეთებენ ამ სივრცეში და მე ვფიქრობ, რომ რასაც თქვენ ხედავთ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც სივრცის ხელახლა გამოგონება, ახალი სივრცის შექმნა... მაგალითად, ფაშისტური რეჟიმი (ამ დროს აჩვენებენ კადრებს წარმოდგენის პირველი ნაწილიდან). თუ შეხედავ ფაშისტურ არქიტექტურას, აქ ყველაფერი ზეაღმატებულია, მიისწრაფვის, იყოს იდეალისტური, ჰუმანური, ბუმბერაზი. პროპორციების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ ხელოვნების აღქმისას მასთან შედარებით თავი ერთი ბეწო გგონია... ის შეკითხვები, რასაც არქიტექტურა სვამს ჩვენს წინაშე, ჩემთვის ძალიან მიმზიდველია. როდესაც მუშაობ სხეულთან, მუშაობ ენერგიასთან და როდესაც ესაა

ადამიანთა ჯგუფი, სადაც ამდენი განსხვავებული ენერგია, ინდივიდი იყრის თავს, შენ ამ ადამიანებს აკავშირებ, შედეგად უზარმაზარ ენერგიას იღებ.

თუ საშა ვალცს დავუჯერებთ, მაყურებლის ენერგიაც ყოველთვის ზემოქმედებს წარმოდგენაზე, რომელსაც, თავის მხრივ, საკუთარი სამყარო, წიაღი გააჩნია, რამდენადაც ყველაფერი ურთიერთკავშირშია და ერთმანეთზე გავლენას ახდენს. «Continu»-ს ფინალი ერთდროულად უმშვენიერესი და მეცნიერულად ზუსტი იყო და როცა ქართველი მაყურებელი ფეხზე მდგარი ტაშს უკრავდა, გამიჭირდა დარბაზიდან კი არა, სპექტაკლიდან ერთბაშად გამოსვლა, ენერგიის ასეთი მოზღვავების შედეგად, ცოტა არ იყოს, გაბრუებული ვიყავი...

ამბავი მეორე - «კუმკუატის მარცვალი» (29 ოქტომბერი)

წლევანდელი «საჩუქრის» მოლოდინს იაპონელების ჩამოსვლა აშკარად ამძაფრებდა... «კუმკუატის მარცვალი» – ასე ერქვა მათ საიდუმლოებით მოცულ წარმოდგენას. იმისი დაჯერებაც კი ჭირდა, რომ შეიძლებოდა რუსთაველის თეატრის სცენაზე ერთ მშვენიერ საღამოს უშიო ამაგაცუს ლეგენდარული დასი გვენახა. ასე რომ, 29 ოქტომბერს თეატრის დარბაზში ფეხზე დგომაც კი დიდი ფუფუნება იყო ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის.

წლევანდელი ფესტივალის ბუკლეტში ვკითხულობთ: «ამაგაცუ იმ იაპონელ ხელოვანთა მეორე თაობის წარმომადგენელია, რომელმაც საკუთარი ხელოვნებით არა მხოლოდ გამოთქვა პროტესტი ჰიროსიმასა და ნაგასაკიზე განხორციელებული ატომური თავდასხმის წინააღმდეგ, არამედ მსოფლიოს 700-ზე მეტ ქალაქს «წყვდიადის ცეკვით» ტაბუდადებულ თემებზე ესაუბრა. ხელოვნების ამ მიმდინარეობის სრული დასახელება

«ANKOKU BUTOU» ასეც ითარგმნება – «წყვდიადის ცეკვა» და იგი იაპონური თეატრალური კულტურის, ცეკვის, ამბის თხრობის თანამედროვე მანერის, ფილოსოფიის, მრწამსის სასცენო იმპროვიზაციაა. პირველად წარმოდგენა იაპონიაში 1959 წელს გაიმართა, ტაცუმი ჰიჯიკატას და მისი პარტნიორის, კაზუო ონოს მიერ. ჰიჯიკატა «ბუტო»-თი ცდილობდა გაეღვიძებინა პასიური გენეტიკური ძალები, რომლებიც თანამედროვე ადამიანის გონებაში ღრმად ჩაფლულიყო. წყვდიადი კი ასოცირებული იყო შეუცნობელთან, რომელიც ამოუცნობი იყო როგორც მსახიობებისთვის, ასევე მაყურებლისთვის.»

უშიუ ამაგაცუმ 1975 წელს შექმნა საკუთარი დასი «სანკაი ჯუკუ», რომლის სახელწოდებაც იაპონურიდან ითარგმნება, როგორც « მთისა და ზღვის სკოლა». ხელოვანი დიდხანს მუშაობდა საფრანგეთში. 1981 წლიდან მოყოლებული, მან პარიზის ცნობილი «ტეატრ დე ლა ვილის» დაკვეთით 14 წარმოდგენა დადგა (რაც ფრანგული თეატრის მემკვიდრეობად იქცა) და ავინიონის ფესტივალის სასურველი სტუმარიც გახდა.

«კუმკუატის მარცვლის» პრემიერა 1978 წელს შედგა, ხოლო ახალი ვერსია მაყურებელმა პირველად 2005 წელს იხილა ქალაქ კიოტოში. მისი ავტორი, უშიო ამაგაცუ უპირისპირდება პოლიტიკური აგრესიის ყველა ფორმას, ყოველგვარ ძალმომრეობას, მათ შორის ნაციონალიზმს, დიქტატურასა და სეპარატიზმსაც. მას ყოველგვარი «იზმების» გარეშე უნდა, უყვარდეს თავისი ქვეყანა. «წითელი წრე, რომელიც მუდმივად ჩნდება სცენის სიღრმეში, იაპონიის დროშის სიმბოლოდ იკითხება და ამავდროულად ახალგაზრდა რეზერვისტის განწყობის მომწიფებასთან ასოცირდება, რომელიც განგაშის ძახილზე მზადაა დადგეს სამშობლოს დასაცავად,

იბრძოლოს საკუთარი ბედისწერისთვის.» – ასე იწყება «კუმკუატის მარცვალი». წარმოდგენის მოთხრობას აზრი არა აქვს, რადგან საქმე სულ სხვა, არავერბალურ კულტურულ მოვლენასთან გვაქვს, რომელიც ეყრდნობა ტრადიციულ რიტუალებსა და მედიტაციას.

95 წუთის მანძილზე შესვენების გარეშე თვალს ვადევნებდით როგორ ნელა, სხეულის თითოეული კუნთის დაძაბვით მოძრაობდნენ სცენაზე თეთრად შეღებილი ადამიანები (დასი მხოლოდ მამაკაცებისგან შედგება). მათი სახეები იგივე ნიღბებია, რომლებიც მოთამაშის სურვილისამებრ მყისიერად იცვლის გამომეტყველებას, სიცილიდან ტირილში გადადის და ირონიიდან სევდაში. ნაწარმოები რამდენიმე, ჩემი აზრით, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ეპიზოდისგან შედგება. ერთგან თითქოსდა ბერძნული ქანდაკებები «ცეკვავენ» გამაყრუებელი და თავზარდამცემი ელექტრონული მუსიკის ფონზე. სინამდვილეში მათი მოძრაობა შენელებულ კადრს, მართლაც რომ უსულო საგნების გაცოცხლების მცდელობას მოგვაგონებს. სხვაგან ყმაწვილისა და ფარშევანგის დუეტს ვხედავთ, რომელიც ხან შიშით, ხანაც სინაზით გვავსებს; სასიყვარულო, სექსუალური სცენები სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში გადადის და პირიქით. მონაცვლეობით ვისმენთ იაპონურ ტრადიციულ მუსიკას, მერე კლასიკურს, ხანაც ულტრათანამედროვეს. ესთეტიკური თვალსაზრისით ამაზე უფრო დახვეწილი სანახაობა ძნელად თუ მოიძებნება...

ქეთი დოლიძე: «მეორე უმაღლესი წერტილი ამ ფესტივალისა, საშა ვალცის «Continu»-ს შემდეგ იყო «სანკაი ჯუკუს» «კუმკუატის მარცვალი». იცით, მე სულ მგონია, რომ ისინი არიან უცხოპლანეტელები, არ არიან ჩვეულებრივი

ადამიანები. მე ვნახე, რომ მათ წარმოდგენამდე ორი საათით ადრე ყველასთან შეწყვიტეს კონტაქტი, ორ საათს გრძელდებოდა მედიტაცია. ეტყობა კიდეც სპექტაკლს. თუ მედიტირების რაღაც სეანსს არ გადიხარ, იმას, რასაც ისინი აკეთებენ სცენაზე, ვერასოდეს გააკეთებ. რაღაც ზებუნებრივი ძალა უნდა მოიკრიბოს ადამიანმა... როგორ ფლობენ ისინი სხეულს, როგორ ფლობენ თხრობის ურთულეს საშუალებებს, რამდენად მეტყველია მათი სახის თითოეული ნაკვთი! (ყოველთვის მსხვილ ხედზე მუშაობენ.) როცა წარმოდგენისთვის ემზადებოდნენ, მაშინ არც გვიფიქრია, მერე როგორ დაშლიდნენ სცენას. თვითონ ააწყვეს მთელი სცენა, დეკორაციაც. სპექტაკლის დამთავრებისას ყველაზე მეტად იმან გაგვაგიჟა, რომ ჭიანჭველებივით უცებ შევიდნენ, მიიღეს შხაპი და მერე ჭიანჭველებივით შეესივნენ და უცებ დაშალეს ყველაფერი. ჩვენ ვუთხარით, იატაკი მაინც დაგვიტოვეთ, ნუღარ წმენდთო. საოცარი დასი იყო!»

მოდით, ვიყოთ გულწრფელნი საკუთარ თავთან – იაპონური აზროვნება იმდენად განსხვავდება ევროპული და აზიური მენტალიტეტისგან, რომ ჩვენთვის, საგანგებო შესწავლის და მომზადების გარეშე მართლაც, ძალზე რთულია, მათი კულტურული კოდების იდენტიფიკაცია. თუმცა, «რთული» არ ნიშნავს «შეუძლებელს»...

ბუტოს ჟანრიც ხომ სწორედ ასე გაჩნდა: მისი ფუძემდებლები არ ცდილობდნენ სხვა ენაზე «ეთარგმნათ» საკუთარი ნააზრევი, რათა მსოფლიოს უდიდესი ნაწილისთვის გასაგები გამხდარიყვნენ, არამედ პირიქით, იაპონური ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ენის შესწავლას სთავაზობდნენ სხვა ხალხებს, როგორც სამყაროს შეცნობის კიდევ ერთ გასაღებს. ჩემს შეფასებას ერთგვარად განავრცობს ეს თვალსაზრისი: «სანკაი ჯუკუს» «კუმკუატის მარცვალი» არათუ გვაუცხოვებს იაპონური ურთიერთობისა და ანალიზის, მედიტაციისა და შინაგანი ლოცვის კულტურას, არამედ გვიწვევს, გამოვცადოთ «ფეხის წვერებზე შემოსული» ურთიერთობის ეს ახალი მედიუმი, როგორც სიზმარი, სავსე იუმორითა და ტრაგიზმით, რომლის თარგმნაც შეუძლებელია.»

სტატიის წერისას სპექტაკლის შესახებ გამოხმაურებებს თვალი გადავავლე, ვეძებდი პასუხებს სრულიად ბუნებრივ და მარტივ კითხვებზე: რატომ ჰქვია ამ წარმოდგენას «კუმკუატის მარცვალი», ხოლო ქვესათაურად მიწერილი აქვს: «ყმაწვილის ოცნება (თუ სიზმარი?) სიცოცხლისა და სიკვდილის საწყისებზე» ; რას უნდა ნიშნავდეს მეორე ეპიზოდში მოძრავი ქანდაკებების სახეებზე მიწებებული «რაღაც» უფორმო, მოვარდისფრო მასა? (რომელიც ახლაც შიშის ზარს მცემს, რადგან თავის ტვინს მაგონებს); და კიდევ, რას აკეთებს სცენაზე ფარშევანგი, რომელიც რამდენიმე წუთის მანძილზე სრულიად უმოძრაოდ დგას?

(სხვათა შორის, ფარშევანგის ამბავი არავის ტოვებს გულგრილს). ჩემი შეკითხვების სრული ჩამონათვალი უსაშველოდ გრძელი გამოვიდოდა, ამიტომ აღარ გავაგრძელე... შემდეგ კიდევ ერთხელ, დაკვირვებით გადავიკითხე საკუთარი ნაწერი და შეკითხვის დასმის სურვილი საერთოდ გამიქრა. «წყვდიადის ცეკვა» განმარტებებს არ იძლევა. ირაციონალური ხელოვნება სიზუსტეს გამორიცხავს. რამდენი მაყურებელიცაა, იმდენი თვალსაზრისია და ეს შესანიშნავია! უკლებლივ ყველა ავტორი წარმოდგენის შესახებ საკუთარ სუბიექტურ მოსაზრებას, შთაბეჭდილებას გადმოსცემდა, თითქოს ყველა მათგანი გამოცანის ამოხსნას ცდილობდა, ეს ყველაფერი მართლაც მომაგონებს სიბნელეში ხელის ცეცებას...

ამბავი მესამე - «ანა კარენინა» (3, 4 ნოემბერი)

4 ნოემბრის საღამოს მარჯანიშვილის თეატრში რომ მივდიოდი, ერთდროულად ვგრძნობდი დიდ დაინტერესებას (იმიტომ, რომ «ანა კარენინაა» – თანაც რუსების) და უნდობლობას, სკეპტიციზმს (ამავე მიზეზით). ფესტივალის ბროშურაში დაბეჭდილი ფოტოებით თუ ვიმსჯელებდით, სპექტაკლი, რომელსაც სანკტ-პეტერბურგის საფესტივალო თეატრი «ბალტიის სახლი» წარმოგვიდგენდა, სულ ცოტა, დამაინტრიგებელი უნდა ყოფილიყო...

მოგეხსენებათ, ტოლსტოის ეს რომანი ორსიუჟეტიანია. მასში შამპუნისა და ბალზამის პრინციპითაა გაერთიანებული ორი რომანი, თხრობის ორი ხაზი, რომელიც მხოლოდ ზოგჯერ, მხოლოდ ოდნავ თუ გადაიკვეთება – ანა კარენინას და ლევინის ხაზი. ამასთან, ეს ორი უმთავრესი პერსონაჟი ერთმანეთს მხოლოდ

ნაწარმოების დასასრულისკენ გაიცნობს, მაგრამ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანდა, მით უმეტეს, რომ პიესის ავტორმა ელენა გრემინამ ტოლსტოის ნაწარმოებიდან მხოლოდ ანას ხაზი შეინარჩუნა, ისიც კი საგრძნობლად შეამცირა და... მართალიც აღმოჩნდა.

ქეთი დოლიძე: «ანა კარენინას» ეს ინტერპრეტაცია მე ძალიან მომეწონა, რადგან ეს არის კვინტესენცია იმისა, თუ რას უნდა მიაქციო ყურადღება დღეს ამ ნაწარმოებზე მუშაობისას: ადამიანი, ქალი განწირულია, როდესაც ცდილობს მიაღწიოს იდეალურ სიყვარულს, რომელიც თითქოს არ არსებობს, რადგან საბოლოოდ ყველა წირავს მას, უპირველეს ყოვლისა, თვითონ წირავს საკუთარ თავს. ბოლოს და ბოლოს, ანა კარენინა სულ რაღაც 27 წლისაა, ვრონსკი 23-ის, კარენინი კი, სხვათა შორის, 43-ის (ეს ჩვენთანაა, რომ თამაშობენ ანას 45-50 წლის ასაკში და ამაზე არ ფიქრობენ). 27 წლის ქალი შეიძლება იყოს ასეთი თავგანწირული. თავის დროზე უსიყვარულოდ, გარიგებით გათხოვდა... სპექტაკლის რეჟისორმა ალექსანდრე გალიბინმა მიაღწია და გვაჩვენა, რომ ანა ყველაფერს წირავს იდეალურ სიყვარულს, ომს უცხადებს საზოგადოებას, რომელიც საბოლოოდ მას კლავს, ისევე როგორც მისი ორივე მამაკაცი... ალბათ, ის ზედმეტად იდეალურ სიყვარულს ეძებდა, უკომპრომისო ადამიანები კი ცხოვრებაში ვერასოდეს იმარჯვებენ. ამიტომ ანას ურჩევნია თავი მოიკლას, ვიდრე ასე იცხოვროს, განხიბლულმა და ნაღალატევმა. ჩემი არჩევანი იმანაც განსაზღვრა, რომ ეს არ იყო ამ რომანის ტრადიციული ინტერპრეტაცია, სადაც ცალსახად მოცემულია სიუჟეტის დასაწყისი, განვითარება და ა.შ.»

მაინც რა ვერ აპატიეს ანას? ქმრის ღალატი? არა! - იმდროინდელ მაღალ საზოგადოებაში, რომელსაც ის და

ვრონ
სკი
ეკუთ
ვნოდ
ნენ,
ჩვეუ
ლებ
რივ
მოვ
ლენა
ს,
ერთგ
ვარ -
დაუწ
ერელ კანონს წარმოადგენდა, რომ გათხოვილ ქალს საყვარელი ჰყოლოდა. თვით ქმარიც კი მზად იყო, თვალი დაეხუჭა ამ ვითარებაზე, ოღონდ კი ანას ოჯახი არ მიეტოვებინა... ქალს ვერ აპატიეს მისი სურვილი, სიყვარულით გაეკეთებინა არჩევანი და არ ეთვალთმაქცა, არ ეთამაშა ერთგული მეუღლის როლი, არ ეცხოვრა ორმაგი ცხოვრებით, ორმაგი სტანდარტებით. ანა უნებ-ლიეთ აღმოჩნდა პროგრესულად მოაზროვნეთა რიგებში და ამის გამო დაისაჯა. ის, რაც საზოგადოებას ამაზრზენად მიაჩნდა მე-19 საუკუნეში, სულ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, მე-20 საუკუნეში, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და ახლა აღარავის აკვირვებს. მაგრამ აქ ერთი პრობლემაა: ასეთი ნაბიჯი ანამ გრძნობების საფუძველზე, სტიქიურად გადადგა, ისე, რომ საამისო ძალები არ გააჩნდა. ასეთი ცხოვრებისთვის არ იყო მზად ვრონსკიც, რომელსაც აღარ აკმაყოფილებდა მხოლოდ ანას რჩეულის როლი, მით უფრო, რომ მაღალმა საზოგადოებამ ზურგი აქცია.

ანას ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მას ვერ გაუგია, რა უნდა: საზოგადოებრივ აზრს ყურად არ იღებს და ამავდროულად სურს, რომ საკუთარ წრეში კვლავ მიღებული იყოს; ქმარს ღალატობს, ვაჟიშვილს ტოვებს და საყვარელთან მიდის, მაგრამ ქმრისგან მოითხოვს, სერიოჟა დაუთმოს (რომელსაც კარენინი შურისძიების იარაღად იყენებს); მით უფრო ვერ გაუგია ანას, რა სურს მის რჩეულს – მცდარად მიაჩნია, რომ შეუძლია, შეუცვალოს მას მთელი სამყარო და დაჟინებით მოითხოვს, რომ ყველაფერი ისე იყოს, როგორც ადრე, როცა მათი სიყვარული ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა... მაგრამ სადღაა ის ქალი, რომელიც ახალგაზრდა ოფიცერს ასე თავდავიწყებით შეუყვარდა? იმ მშვენიერი, ამაყი, იდუმალი, ღვთაებრივი ქალბატონის ნაცვლად მის გვერდითაა ისტერიული, ცხოვრებისგან გათელილი და ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი არსება, რომელიც მამაკაცში სიბრალულს უფრო იწვევს, ვიდრე სიყვარულს, მით უფრო, რომ ბობოქარი ვნებების ხანა უკვე ჩავლილია. სპექტაკლში არის ერთი შესანიშნავი მიგნება, რომელიც კლასიკასა და თანამედროვეობას შორის გადებული ხიდია, ხატოვანი აზროვნების ნიმუში: ვრონსკი ამაოდ ცდილობს, დააწყნაროს და გააჩუმოს მოთმინებადაკარგული საყვარელი, რომელსაც მხოლოდ საკუთარი ხმა ესმის, ამიტომაც საყვირს ჩაჰბერავს და მხოლოდ ამით შეწყვეტს საყვედურების უსასრულო ნაკადს. ანას სამართლიანად მიაჩნია, მისი სატრფოც ისევე დაიტანჯოს, როგორც თავად იტანჯება, რადგან სინამდვილეში, ქვეცნობიერად, სინანულსა და სინდისის ქენჯნას განიცდის (ამიტომაც ვერ შეძლო მისი და ვრონსკის საერთო შვილის, პატარა ანიას შეყვარება) და მისგანაც იმიტომ მოითხოვს უპირობო სიყვარულს, რომ ამქვეყნად სხვა აღარავინ გააჩნია... როგორც მე დავთმე

ყველა და ყველაფერი შენს გამო, შენც ისევე უნდა დათმოო, ეუბნება.

წარმოდგენის ერთ-ერთი ყველაზე გულსაკლავი მომენტია ანას მშობიარობა: ბნელა, მთავარი გმირი დარბაზში ჩადის, მაყურებელთა რიგებს შორის დადის და მოთქვამს, იტანჯება, თითქოს ჩვენგან ითხოვდეს შველას. მის სასთუმალთან მოსულ კარენინს ხან პატიებას სთხოვს, ხან სიყვარულს ეფიცება, აღსარებას აბარებს... განა ეს ანაა? არა, ეს ანა კარენინას ლანდია, მისი გაღვიძებული სინდისი, სიცხიან ბოდვაში გაცხადებული მისი თვითგვემა...

ბოლოს და ბოლოს ანას თავად სიყვარულის იდეაში შეაქვს ეჭვი და ამჯერად მართალია – ადამიანი სუსტია ასეთი ყოვლისმომცველი გრძნობისთვის... ოღონდ ის, რაც მას სიყვარული ეგონა, სინამდვილეში იყო ვნება და უსამანო ფლობის სურვილი.

არა, უდიდესი რუსი კლასიკოსის რომანის ანალიზი ჩემს მიზანს არ წარმოადგენს. იმას მოგითხრობთ, რაც თითქმის ორი საათის მანძილზე, სპექტაკლის მსვლელობისას ვნახე და შევიგრძენი. დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინც გამიჩნდა, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ანას ვაჟის, სერიოჟას თემას სათანადო ყურადღება არ მიაქციეს და მეორეც, პიესის პერსონაჟებიდან ნამდვილად მკაფიო და რელიეფური გახლდათ მხოლოდ ანა კარენინა, ხოლო დანარჩენები, თვით ვრონსკიც კი – მის ჩრდილში მოექცნენ, თუმცაღა, შესაძლოა, ეს ნაწილობრივ ტოლსტოის «ბრალიცაა».

სამაგიეროდ, წარმოდგენის ავტორებმა შეძლეს საკმაოდ ზუსტად გადმოეცათ ის ატმოსფერო, რომელსაც ტოლსტოი ქმნის: თითქოს ორთქლმავლის კვამლში გახვეული

რეალობა, ის, რასაც ხედავს ანას დაბინდული გონება; სასიყვარულო ისტორია, რომელიც რკინიგზის სადგურზე, ავისმომასწავებელი ტრაგიკული შემთხვევით დაიწყო და რამდენიმე წლის შემდეგ იქვე, ქალის თვითმკვლელობით დამთავრდა, ეს იყო ის თოფი, რომელსაც ნაწარმოების ბოლოს უნდა გაესროლა...

სპექტაკლი მომხიბვლელია მისი ფორმის გამოც. მთხრობელის როლს, რომელსაც ტრადიციულად შინაარსის გადმოცემა, პიესის სურათების, მოქმედებების, მიზანსცენების (პიესა ერთმოქმედებიანია და მის ცალკეულ ნაწილებს შორის მკაფიო საზღვარი არ არსებობს) ერთმანეთთან გადაბმა ევალება, «ანა კარენინაში» ასრულებს «მასოვკა». მოკლე შინაარსი მართლა მოკლე რომ გამოვიდეს, საამისოდ გალექსილია და რეპს მოგვაგონებს, ამას ზედ ერთვის მსახიობების რიტმული მოძრაობები, დეკორაციების ცვლილება და მთელ დადგმას ძალიან თანამედროვე იერი ექნებოდა, რომ არა მათი ტანსაცმელი – ყველანი შავებში არიან გამოწყობილი, ამასთან ქალებს უფორმო კაბები და «ფარაჯები» აცვიათ, ხოლო მათი ვარცხნილობა ხაზგასმით «მდაბიური», «შინაურულია». ასე უცნაურად იცვლება რეპი რუსული სახალხო წარმოდგენით, რომელიც ზოგჯერ უადგილოდ მხიარულია ანდა ირონიული...

დადგმის ავტორი, ალექსანდრე გალიბინი: «ჩვენ სამსჯავროზე გამოვიტანეთ ტრაგედიის ჟანრი. მსგავსი ჟანრის სპექტაკლები ჩვენს თეატრში არ გვაქვს. (...) ჩვენ ვეცადეთ უფრო მეტად გაგვეშალა და მაყურებლამდე მიგვეტანა სწორედ ის ვერსია ლევ ტოლსტოის ნაწარმოებისა, რომელიც მან სტრიქონებს შორის ქვეტექსტად მოიაზრა. რომანის სიმბოლიზმიდან დაწყებული ეგზისტენციალური თემებით დამთავრებული.

ჩემი აზრით, ყველაფერი, რაც სცენაზე ხდება, არის მთავარი გმირის ცნობიერების ნაკადი.»

გალიბინი ტრაგედიაზე საუბრობს, მისი «მასოვკა» მკვეთრად გამოხატული ეროვნული ხასიათით, იგივე ქოროა, რომელსაც ბერძნულ ტრაგედიებში არა მხოლოდ ამბის თხრობა ევალებოდა, არამედ საზოგადოების, ხალხის აზრის გამოხატვაც. და ეს მასად, გუნდად და კორდებალეტად ქცეული ადამიანები განსჯიან, დასცინიან კარენინას, ჭორაობენ მასზე!

გთავაზობთ ნაწყვეტს სპექტაკლის ერთ-ერთი შეფასებიდან: «რეჟისორი დარწმუნებულია, ასეთი ანა აუდიტორიას ჯერ არ უნახავს. როგორია მისი ანა? «ქალი მომავლისა და წარსულის გარეშე, ქალი, რომელიც ანადგურებს, მისტიური ფიგურა, დემონური პერსონაჟი. (...) ეს არ არის სიყვარულის ისტორია, არც ისტორია ღალატზე, ეს არის ტრაგედია: საერთო ადამიანური სევდა, ძველი ბერძნული, სამყაროს დასაწყისიდან. ეს არის გუნდური მრავალხმიანობა ანას ცნობიერებაში, მრავალხმიანობა მისი ვნებებისა და სურვილების, რაც მას უბიძგებს, ინებივროს სხვის მკლავებში და შემდეგ ცხოვრებისგან ზურგნაქცევი დარჩეს.»

ანას «დაცემა» ცხადი გახდება, თუ სპექტაკლის ორ სცენას ერთმანეთს შევადარებთ. შეხედეთ მეჯლისზე მისულ კარენინას, მისი ღირსება ჯერ არ შელახულა, ყველაფერი ამაზე მეტყველებს: მომაჯადოებელი გარეგნობა, თავდაჯერება, სიმშვიდე, კეთილგონივრული ჩაცმულობა (გრძელი შავი კაბა)... წარმოდგენის ბოლოს ეს ყველაფერი სადღაც გამქრალა, მას მოკლე წითელი კაბა აცვია და რამდენადაც გამომწვევია მისი ვარცხნილობა და მაკიაჟი, იმდენად ვულგარულია ქცევა. საზოგადოებრივმა აზრმა

ანა კარენინა ზნედაცემულ ქალად შერაცხა და გარიყა, ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ თავადაც დაიჯერა – მე ცოდვილი ვარ და ბედნიერი ვერ ვიქნები! თავს მოვიკლავ, რადგან ეს დავიმსახურე; სასტიკად დავსჯი ვრონსკის, რომელსაც ჩემი სიკვდილი ჩვენს გაცნობას მოაგონებს; ყველასათვის ასე აჯობებს – ფიქრობდა ანა. მართლაც, ასეთია მწარე ფინალი – ახალგაზრდა ქალის ამ ტრაგიკულმა აღსასრულმა გამოაფხიზლა გარშემომყოფნი, საზოგადოებამ მიიღო ეს მსხვერპლშეწირვა! და რაც ყველაზე უფრო შემზარავია, ანამ მიზანს მიაღწია – თუნდაც სიკვდილის შემდეგ დაიბრუნა ვრონსკის სიყვარული.

ამბავი მეოთხე - B POLAR (7, 8 ნოემბერი)

სულ ტყუილად წუწუნებენ გაუთავებლად: რა გვეშველება, ხალხი კლასიკას აღარ კითხულობსო... კითხულობენ! «ანა კარენინას» მაგალითი გამონაკლისი როდია. შორს რომ არ წავიდეთ, აგერ ისრაელიდან, ნეგევის უდაბნოს მთავარი ქალაქიდან, ბერ-შევადან ჩამოსულმა თეატრალურმა დასმა «B POLAR» გვაჩვენა, რომელიც თურმე ნიკოლაი გოგოლის «შეშლილის წერილებმა» შთააგონა მის ავტორს...

დიდი რუსი კლასიკოსის ეს ნაწარმოები პაციენტის თვალით დანახული ბიპოლარული აშლილობის ერთ-ერთი პირველი ლიტერატურული ნიმუშია. ხოლო სპექტაკლი «B POLAR», რომელიც თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში 7 და 8 ნოემბერს გადიოდა, უბრალო კლერკის ამბავს გვიამბობს, დაბადებიდან სიკვდილამდე. ახალგაზრდა კაცს თავისი უფროსის ქალიშვილი შეუყვარდება, რაც მასში ბიპოლარულ აშლილობას იწვევს.

გოგოლის სახელის ხსენება ჩემში დღესაც სიხარულის წინათგრძნობასთანაა დაკავშირებული. კითხულობ და იცინი დაოსებამდე, სანამ პირველი შთაბეჭდილება არ გაგივლის და სიტყვის უბადლო ფლობის მიღმა არ დაინახავ ცხოვრების უმძიმეს სურათებს – როგორი სევდითა და ტკივილით იწერებოდა ეს სტრიქონები! მაშ სიხარულს რატომღა უნდა ვგრძნობდე, გაუგებარია... ილია ჭავჭავაძის ტექსტებიც მსგავს ზემოქმედებას იწვევს და ამის მიზეზი ამ ორი მწერლის უანგარობაა, გულწრფელობა მკითხველთან, საკუთარ თავთან; სიტყვა, რომელიც ზუსტად გასროლილი ტყვიასავით მუდამ მიზანში ხვდება. გოგოლთან დამატებით შემოდის აბსურდისა და კოშმარის, ფანტასტიკისა და საშინელებათა ჟანრის ელემენტები... მწერლის ავადმყოფური წარმოსახვის კვალი მეტ-ნაკლებად ამჩნევია მის სხვადასხვა ნაწარმოებს, რადგან ის თავად გახლდათ ორი, რეალური და გამოგონილი სამყაროს მკვიდრი.

დასი «Ayit»-ი ისრაელის თანამედროვე ექსპერიმენტური თეატრის წარმომადგენელია. მათი ნამუშევარი გოგოლის «შეშლილის წერილებიდან» რამდენიმე დეტალს ინარჩუნებს, უპირველეს ყოვლისა, ნაწყვეტებს ინგლისურ ენაზე ნათარგმნი ტექსტიდან, ხელნაწერების სახით, რომლებიც ვიდეოინსტალაციის მეშვეობითაა ჩართული სპექტაკლში.

მოქმედება, სავარაუდოდ, მეოცე საუკუნეში ხდება. დასაწყისში ვხედავთ მთავარი გმირის ბავშვობას, ვხედავთ მის დედ-მამას, ერთგვარი ოჯახური იდილია სუფევს. ოღონდ ბავშვის როლს წარმოდგენაში თოჯინა «ასრულებს». ამან, ცოტა არ იყოს, გამახსენა რიმას ტუმინასის მიერ დადგმულ «მადაგასკარში» (პიესის ავტორი – მარიუს ივაშკიავიჩუსი) ნაჩვენები მთავარი

გმირის ბავშვობა. სხვათა შორის, ლიტველების ეს სპექტაკლი შარშანწინდელი «საჩუქრის» ფარგლებში ვიხილეთ (ისიც თუმანიშვილის თეატრში), თუმცა იქ ტექსტი დამოუკიდებელი ცოცხალი არსებასავით აღიქმებოდა... «B POLAR»-ში ის მხოლოდ წერილობითი სახით შემოდის. მსახიობები სცენებს უსიტყვოდ, მოძრაობის თეატრის პრინციპების შესაბამისად ასრულებენ, რაშიც ძალიან ეხმარებათ მუსიკალური გაფორმება და ტექნიკურ საშუალებათა მდიდარი არსენალი.

ომიდან დაბრუნებული მამის გალოთებისა და დედის სიკვდილის შემდეგ, მთავარი გმირი მშობლიური სოფლიდან დიდ ქალაქში ჩადის და ნათელი მომავლის იმედებითაა აღსავსე. მალე სამუშაოსაც იშოვნის, სასტუმროში ოთახს იქირავებს და სრულიად ბედნიერია, ღიმილით შეჰყურებს ცხოვრებას. როგორც ხედავთ, სიუჟეტში მრავლადაა ტიპური შემთხვევები, მაგრამ პიესის ავტორებს კლიშეების არ ეშინიათ, პირიქით, არ მალავენ მათ მიმართ ირონიულ დამოკიდებულებას. მალე მონოტონური და დამღლელი სამუშაო ჯოჯოხეთად იქცევა და ჩვენი გმირი გამოძინებასაც ვეღარ ახერხებს, შინ მუდამ სავსე საქაღალდეებით ბრუნდება. ციფრები, ციფრები, ციფრები – ისინი ყველგანაა, თავს ვერ დააღწევ, ყველა გაჩქარებს, რაღაცას მოითხოვს შენგან; სახლი – სამსახური, სამსახური – სახლი... სრულიად გამოფიტული და ნერვული აშლილობის ზღვარზე მყოფი, ხსნას სიყვარულში ეძებს, მაგრამ ამით საბოლოოდ შორდება რეალობას.

წარმოდგენის ავტორია ბერ-შევას საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი და თეატრალური დასის Ayit დამფუძნებელი იოავ მიქაელი.

სპექტაკლი 2015 წელს წლის საუკეთესო ნამუშევრად გამოცხადდა და ისრაელის თეატრალური ჯილდო «ოქროს მაჩვი» გადაეცა.

იოავ მიქაელი: «პიესა ძიებაა, გულწრფელი კვლევა და მცდელობა ახალი არავერბალური ენის აღმოჩენისთვის. მასში გაერთიანებულია ვიდეოხელოვნება, მოძრაობა და მუსიკა, რაც ერთი მხრივ, თეატრსა და კინემატოგრაფიულ მედიას შორის საზღვრებს შლის და მრავალი დისციპლინის შერწყმით, ამბის თხრობის ახალ ფორმას თხზავს.»

ამბავი მეხუთე - «განშორება» (10, 11 ნოემბერი)

ალბათ, ყველას გემახსოვრებათ: ყურადღება, ყურადღება! ჩვენს ქალაქს ცირკი ეწვია, თქვენ ჯადოსნური სანახაობა გელით წინ! იჩქარეთ! ბილეთების რაოდენობა შეზღუდულია! ამ, ერთ დროს ყველაზე პოპულარული სარეკლამო განცხადების თითოეული სიტყვა სიმართლეს შეესაბამება, ოღონდ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ეს ჯადოქრობა მხოლოდ უფროსებისთვისაა განკუთვნილი, ბავშვებს იქ არაფერი ესაქმებათ... ესაა WHS – ცნობილი ვიზუალური თეატრი/თანამედროვე ცირკი ფინეთიდან. 10 და 11 ნოემბერს მან მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე აჩვენა «განშორება», როგორც ასეთი. წარმოდგენამ უკვე იმოგზაურა ფინეთის ნაციონალური თეატრიდან 30 სცენაზე მსოფლიოს გარშემო: ტურინში, ანტვერპენში, პანამაში, სან ხოსეში, ბოგოტაში, ლისაბონში, სარაევოში და ბევრ სხვა ქალაქში.

«მე-19 საუკუნის მაგიური წარმოდგენებით შთაგონებულმა ხელოვანებმა ცირკის, ცეკვის, მუსიკის, ვიდეოარტისა და მოდის დიზაინის გამოყენებით უნიკალური სასცენო ილუზია შექმნეს. «განშორება» ამ თეატრის ერთ-ერთი

ბოლო ნამუშევარია, რომელიც ერთი შეყვარებული წყვილის გაყრის ამბავს მოგვითხრობს. მოგვითხრობს, როგორ იძირებიან ისინი ამის შემდეგ სიზმრისეულ ილუზიებში.»

«WHS»-ის ხელმძღვანელი კალენიო, ვიზუალური ხელოვნების ოსტატი ჰელსინკიდან, თავის ნამუშევრებში კვლევებსა და ცდებს ატარებს, ვიდეოგამოსახულების დამატებითი შესაძლებლობების გამოსავლენად.

ქეთი დოლიძე: «არ ვიცი, რატომ არქმევენ ამას ცირკს. ცირკის ელემენტებია ის, რომ ჟონგლიორულ ტრიუკებსაც იყენებენ. მაგრამ უმთავრესად ეს არის 3D, ტექნოლოგიების გამოყენება. ბობ უილსონი ხომ არ არქმევს თავის სპექტაკლებს ცირკს, მაგრამ ამ ახალგაზრდებმა ასე გადაწყვიტეს. ტექნიკის და განცდების რაღაცნაირი სინთეზია ეს ყველაფერი. სპექტაკლს ერქვა «განშორება» და სევდა, ტრაგიზმი, გარდაუვალობა განშორებისა ზუსტად იყო ნათამაშები ამ ორი მსახიობის მიერ, რომლებიც საამისოდ იყენებენ იმ ტექნოლოგიას,

რასაც «მაშინერი» ჰქვია (ფრანგ. Machinerie), ეკრანებს, თოკებს... ფარდასაც კი. ის მოქმედი გმირივითაა, რომელიც ხურავს მათ ცხოვრებას, რომლითაც ისინი ამთავრებენ ამ ცხოვრებას. ეს ცხოვრება, როგორც ფარდა და ფარდა, როგორც ცხოვრება, რომელიც ხან ემორჩილება მათ, ხან არა და ბოლოს მაინც იხურება. და ამ ფარდის და ამ ცხოვრების ქვეშაა ყველაფერი მოყოლილი, მათი ყოველდღიურობაც, მაგიდაც, ჩაის სმაც, ღვინის სმაც და ამიტომაც აზრობრივი დატვირთვა ამ ფარდისა არის უზარმაზარი».

ორმა ადამიანმა, ქალმა და მამაკაცმა რაღაც მიზეზით დაშორება გადაწყვიტეს, ან იქნებ არც სურდათ, მაგრამ ომმა, გაჭირვებამ, სტიქიურმა უბედურებამ ერთმანეთს დააშორა... სცენაზე «ნაამბობი» განშორება ყოველ ჯერზე განსხვავებულია, ეს ერთი და იმავე წყვილის ამბავია თუ სხვადასხვა ადამიანების? სიყვარული რომ არ ყოფილიყო, განშორებაც არ იქნებოდა და არც ეს ტკივილი, რომ თითქოს საკუთარი სხეულის ნაწილი უნდა მოიწყვიტო სამარადჟამოდ და არ გეთმობა... ერთმანეთს სარკეებში – სიზმრებში უბრუნდებიან განშორებულნი; კაცი ფარაჯის თუ ლაბადის ქვეშ ხელების შეხებას გრძნობს და თურმე საყვარელი ქალი ენატრება... დაშორდა, მაგრამ მოფერება დაუტოვა. მათ ირგვლივ საგნებიც ცოცხლდება – ფარდა თავისით იღება, მაგიდაზე გადაფარებული სუფრა გალღობას იწყებს და დაბლა იღვენთება... მამაკაცი პერანგს აუთოებს, პერანგი კი ეურჩება და ხელს უშლის, ქალის ხელს მოითხოვს... ორივენი იბრძვიან ერთმანეთის, მათი სიყვარულის გადასარჩენად, მაგრამ ეს ნამდვილად ხდება თუ ესიზმრებათ? ან იქნებ, უკვე გარდაიცვალნენ და მხოლოდ ერთმანეთში ცოცხლობენ? ისინი ზოგჯერ ერთიმეორეს ვერ ამჩნევენ, მათ ზოგჯერ რაღაც

ზებუნებრივი ძალა განიზიდავს – რადგან დამდგარა ჟამი განშორების!

P.S. პოსტსკრიპტუმების წერა, ჩემი აზრით, ოდნავ სევდიანი უნდა იყოს, რადგან დამშვიდობებას მოგვაგონებს, მაგრამ ბოლოთქმას მაინც ვამჯობინე, მიუხედავად იმისა, რომ ბოლოთქმა სწორედ რომ თეატრალურად ჟღერს და თემას უხდება. მაგრამ ეს მიმოხილვა, რომელიც თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, როგორც წერილი მკითხველისადმი (და მისდამი მიმართვითაც იწყება) ლოგიკურად, პოსტსკრიპტუმით უნდა დასრულებულიყო.

ძალიანაც ნუ დანაღვლიანდები, მკითხველო: ჩვენ ხომ სულ რაღაც ერთი წლით ვემშვიდობებით საყვარელ ფესტივალს, იმის მოლოდინში, თუ რა ახალ საჩუქრებს მოგვიმზადებს სამომავლოდ...

[1] მეთევზის სავარძელი.

[2] ყველაზე შორეული კუნძული ანტიკურ მითოლოგიაში.

[3] უილიამ ჯეიმსი (1842-1910), ამერიკელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი.

[4] All you need is love – «ბითლზის» სიმღერა.

[5] სირინგა – ფლეიტის მსგავსი ძველერძნული ინსტრუმენტი.

[6] მენადები – «გაშმაგებულნი» (ბერძ.), ღვინისა და თრობის ღვთაების, დიონისეს (ბაკქის), ქურუმი ქალების კრებული, იგივე «ბაკქი ქალები».

[7] ადგილია სტამბულში, «კედლის ძირს» ნიშნავს თურქულად (მთარგმნ.)